ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 27 დღე



ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 162 (12 538) 12 ივლისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## აბრამოვიჩს ლემპარდი ყელში ამოუვიდა

ჩელსის ამბები »»» 6

## ყმაწვილური სულის მეტამორფოზა

ინტერვიუ ლევან ყენიასთან »»» 2




# ფოლკერ ფინკე: უნდა დავრწმუნდეთ, რომ ერთმანეთს ვჭირდებით

ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატის ერთი დღე თბილისში

»»» 8-9

28 ივლისს ალმასკომია

# ზიკო გამოირიცხა

## გრანტის ჩამოსვლას და კუპერის პასუხს ველით

დავით ცაბაძე

თბილისში ერთი დღით მყოფ ფოლკერ ფინკესთან ფედერაციის მოლაპარაკებები გუშინ გვიანობამდე გაგრძელდა.

"ფინკემ, როგორც პროფესიონალმა, ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შევთანხმდით - სამშაბათს, 15 ივლისს ფინკეს სავარაუდო კონტრაქტის სრულ პაკეტს გავუგზავნით, რომელიც ფინანსურ, ტექნიკურ, პროფესიულ... ერთ სიტყვით, ყველა დეტალს მოიცავს. ფინკე კი რამდენიმე დღეში საბოლოო პასუხს იტყვის", - გვითხრა წუხელ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს. ქავთარაძის თქმით, ექტორ კუპერის პასუხს ველით, გრანტმა კი დღეს უნდა მოიწეროს, როდის ჩამოვა თბილისში. ზიკოს ვარიანტი გამოირიცხა. როგორც ჩანს, ბრაზილიელ მწვრთნელს ქართული მხარის მიერ შეთავაზებული პირობები არ მოეწონა.

"28 ივლისს ალმასკომის სხდომაა და დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ალმასკომს ეროვნული ნაკრების თავკაცობის, სავარაუდოდ, ერთ კანდიდატურას წარვუდგენთ" - გვამცნო ქავთარაძემ.

# მაკა დამარცხდა

წუხელ, პალერმოში, WTA-ს ტურნირის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. ქართველი გულშემატკივრის ინტერესს მაკა ჩახნაშვილისა და მსოფლიოს 21-ე ჩოგნის, იტალიელი ფლავია პენეტას დაპირისპირება იწვევდა. პენეტა ამ ტურნირის პირველი ჩოგანია. ჩახნაშვილმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იოლად დამარცხდა — 1:6, 1:6.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყმაწვილური სულის მეტამორფოზა

## ლევან ყენიას ოცნება შეეცვალა

**ლევან ყენია უკვე გელზენკირხენის "შალკეს" პირველი გუნდის ფეხბურთელია და, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ინტერესით ველით ბუნდესლიგის დაწყებას. ყენია საქართველოს ნაკრების იმედია, ძალიან ფასეული ფეხბურთელია და მის კარიერაში ახლა სულ სხვა, არაჩვეულებრივი ეტაპი იწყება - 18 წლის ქართველი ბუნდესლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბში რომ მოხვდება, უკვე მჭექი, არაჩვეულებრივი ამბავია. ყენიას გუშინ დავურეკეთ გელზენკირხენში.**



**- როგორ შეეწყვე "შალკეს" პირველ გუნდს? მანამდე "ხუმარათა" 19-წლამდელებში იყავი და ეს ალბათ გიადვილებს ადაპტაციას...**

- მასეა, პირველ გუნდში თავს ნორმალურად ვგრძნობ, არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ აქ უცხო ვარ.

**- ამაში ალბათ ლევან კობიაშვილიც გეხმარება.**

- რ ათქმა უნდა, კობიაშვილი პატარ-პატარ რჩევებსაც მაძლევს და თუ რამეს ვერ გავიგებ გულდასმით მიხსნის - გერმანულს ჯერ სრულყოფილად ვერ ვფლობ.

**- "შალკეში" უკვე ორი ამხანაგური მატჩი ითამაშე - სამოყვარულო "ერკენშვინკთან" და რეგინალლიგის "ვატენშაიდთან" - კმაყოფილი ხარ საკუთარი თავით?**

- ვფიქრობ, ორივე შეხვედრაში ნორმალურად ვითამაშე, მწვრთნელის დავალების შესრულება არ გამჭირვბია. პირველ მატჩში საყრდენ ნახევარმცველად ვითმაშე, მეორეში - პლეიმეიკერად.

**-"შალკეს" ჰოლანდიელ მწვრთნელ ფრედ რუტენს ჩამშლელ ნახევარმცველადაც უნდიხარ?**

- ჯერ ვერ დავადგინე. მწვრთნელს უნდა, რამდენიმე ვარიანტი მოსინჯოს, ყველაფერი ალბათ სეზონის დასაწყისში გამოჩნდება.

**- ზოგადად, რუტენს მოსწონს პლეიმეიკერით თამაში?**

- ეგეც არ ვიცი, თუ მწვრთნელი გამთამაშებლის ნაცვლად სხვა პოზიციაზე დამავალებს თამაშს, რა თქმა უნდა, გამიჭირდება. მოკლედ, ყველაფერს დრო გამოაჩენს.

**- რუტენს ცალკე შენთვის ჯერ არაფერი უთქვამს?**

- არა, ასეთი საუბარი არ ყოფილა.

**- როგორ ატყობ, ამ დროისთვის მზად ხარ ბუნდესლიგაში სათამაშოდ?**

- "შალკეში" ბუნდესლიგური მატჩებისთვის ადგილი რომ დავიკვიდრო, ამისთვის დრო დამჭირდება. კონკურენცია გაიზარდა, "შალკეში" პსვ-დან ჯეფერსონ ფარფანი მოვიდა და წინა ხაზში კიდევ უფრო გამწვავდება ბრძოლა ადგილის მოსაპოვებლად. ფარფანი უფრო მარცხნიდან უტევს, პლეიმეიკერი არ არის. გამთამაშებლად ჰალილ ალტინტოპს და ივან რაკიტიჩსაც შეუძლიათ თამაში.

**- როგორია შალკელი ლევან ყენიას დღის რეჟიმი?**

- ძალინ დატვირთული ვარ, მოსამზადებელი პერიოდია და ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, ამხანაგური მატჩის დღესაც ვვარჯიშობთ, ოღონდ ერთხელ. მოკლედ, მთელი დღე დაკავებული ვარ.

**- "შალკეს" გულშემატკივრებისგან უკვე გრძნობ ყურადღებას?**

- ძალიან ბევრი გულშემატკივარი გვყავს. ისინი ვარჯიშებზეც დადიან და ხელს გვართმევენ. "შალკეს" ვარჯიშზე უფრო მეტი ხალხი დადის, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე.

**- ლევან კობიაშვილი გელზენკირხენთან ახლოს, დიუსელდორფში ცხოვრობს, შენ კი გელზენკირხენი აირჩიე - რატომ?**

- მაინც პირველი სეზონი უნდა ვითამაშო გელზენკირხენის გუნდში და ჯერჯერობით ასე მირჩევნია, ისე კი დიუსელდორფი საცხოვრებლად მართლაც უკეთესი ადგილია. უკვე კლუბის ბაზაზე კი არა, ბინაში ვცხოვრობ, მალე ჩემებიც ჩამოვლენ თბილისდან და მარტო აღარ ვიქნები.

**- უკვე გერმანიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ხარ და ოცნება სანახევროდ აისრულე...**

- მასეა, ოცნების პირველი ნაწილი უკვე ავისრულე, ბოლო ნაწილი მიუნხენის "ბაიერნი" იყო, მაგრამ ეს ოცნება შემეცვალა - ახლა მადრიდის "რეალისკენ" ვიხრები.

**- ოცნების შეცვლა ევროპის ჩემპიონატის ფინალმა ხომ არ გამოიწვია?**

- ესპანეთმა მართლაც ბევრად უკეთესად ითამაშა, თუმც ისევ გერმანიის ნაკრების გულშემატკივრად ვრჩები. უბრალოდ, დავფიქრდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ესპანეთში თამაში და ცხოვრება უფრო საჩემოა, ვიდრე გერმანიაში.

**დავით თავართქილაძე**

ამერი

# ამერში მოფულიანება უკვე დაიწყო



გიორგი ჩიხრაძე

ამერული სიტუაცია კვლავაც დაულაგებელია. გუნდი ფეხბურთელთა ნაწილმა უკვე დატოვა და არც დანარჩენთა წასვლაა გამორიცხული. კლუბის ხელმძღვანელობა ვითარების გამოსწორების იმედს არ კარგავს. მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძეც გაურკვევლობაშია, მაგრამ ოპტიმიზმს ისიც ინარჩუნებს.

- სავარჯიშო პროცესი ჯერაც არ აღდგენილა. სანამ გუნდში ასეთი სიტუაციაა, ამაზე ვერ ვიფიქრებთ. მაგრამ ჩვენი ვარაუდით, წვრთნა ორიოდე დღეში უნდა განვაახლოთ.

**- თუ ყველაფერი დალაგდა, შეკრებაზე სად გაემგზავრებით?**

- ეს საკითხი ჯერ არ განგვიხილავს.

**- ითქვა, რომ ვარჯიშის ჩაშლის მოთავე ფეხბურთელები მკაცრად დაისჯებიან.**

- ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, ვარჯიშში კი მთელმა გუნდმა გააცდინა და არა რამდენიმე მოთამაშემ. ვცდილობთ, ამ მდგომარეობიდან მაქსიმალურად მშვიდად გამოვიდეთ.

**- რამდენიმე ამერელი ახალციხის "მესხეთში" აპირებს თამაშს. მათი დაბრუნება გამორიცხულია?**

- ის ფეხბურთელები, რომელთაც ჩვენთან კონტაქტი არ დასრულებიათ, აუცილებლად დაგველაპარაკებიან. გუნდის კაპიტან გიორგი დავითნიძეს კი "ამერთან" ხელშეკრულება ამოეწურა და ახალ ადგილსამყოფელს უპრობლემოდ იპოვის.

**- დაფინანსების თაობაზე რა ისმის?**

- თანხის ნაწილი კლუბმა უკვე მიიღო, ნაწილიც სულ მალე ჩაერიცხება. წესით და რიგით, ყველაფერი მალე უნდა მოგვარდეს, ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში უნდა შევხვდეთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დევდარიანის კვირა



დანიურ „ორჰუსში" რუსთავის „ოლიმპის" ნახევარმცველი **დავით დევდარიანი** ისინჯება. 6 ივლისს კლუბმა კიდევ ერთი კვირით გააგრძელა სინჯების ვადა. ამის მიზეზზე გუნდის სპორტულმა დირექტორმა **ბრაიან სტენ ნილსენმა** ისაუბრა: „*დავით დევდარიანი კიდევ ერთ კვირას დარჩება ჩვენთან. ქართველი ნამდვილი ტალანტია, ჩვენ გვსურს მას უფრო კარგად დავაკვირდეთ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ*". გუშინ „ორჰუსი" საკონტროლო მატჩში **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგს" შეხვდა და 1:2 დამარცხდა. დევდარიანი „ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა. „ვიბორგმა" კი წინასასეზონოდ პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბუკმეკერები ფოფხაძის გუნდს უმაღლესში დაბრუნების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად სახავენ, „ვიბორგის" გაჩემპიონებაზე პირველ დივიზიონში ფსონებს 3/1-ზე იღებენ, რაც "სილკებორგის" (2/1) შემდეგ მეორე შედეგია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**
რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# კახა ცხადაძე ეროვნულ ნაკრებში?

## ახალკაცმა მითხრა, რომ მისი წინადადება ძალაშია

კახა ცხადაძემ ორიოდე დღით მოიცალა და თბილისში ჩამოვიდა. ბაქოს "სტანდარდის" მწვრთნელი რუსთავის "ოლიმპისა" და ბაქოს "ოლიმპიკის" მატჩსაც დაესწრო, რომელშიც ქართველებმა 3:0 მოიგეს.

ინტერვიუ სწორედ მატჩის შემდეგ ჩავიწერეთ, აზერბაიჯანულ და ქართულ ფეხბურთზე, ჩვენი მეზობლების წარმატებებზე, თავად კახას სამომავლო გეგმებსა და სანაკრებო პერსპექტივაზე.



**- აზერბაიჯანული ფეხბურთის ბოლოდროინდელ პროგრესზე ბევრი გვსმენია, მაგრამ რუსთაველებთან ბაქოს "ოლიმპიკის" წაგებამ დაგვაფიქრა - აზერბაიჯანელებთან ჩამორჩენა მითი ხომ არ არის?**

- მითი ნაღდად არაა, თუმცა ჯერ საშუალო ევროპულ დონეზე არ არიან. რუსთაველებთან მატჩით აზერბაიჯანულ ფეხბურთზე დასკვნებს ნუ გამოიტანთ. "ოლიმპიკში" შარშანდელი შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალეს და "ოლიმპთანაც", უმთავრესად, გასასინჯი ფეხბურთელები ათამაშეს. ეს გუნდი აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ განსაკუთრებულად კარგი თამაშით არ გამოირჩეოდა. იყო საშუალო დონის გუნდი, რომელიც ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობდა და მოწინააღმდეგის შეცდომაზე იყო ჩასაფრებული. მგონი, 1:0-ის მოგებებით, ქვეყნის რეკორდი დაამყარა. საფეხბურთო პროფესიონალიზმი ჯერ კიდევ აკლიათ, მაგრამ აზერბაიჯანული ფეხბურთის პროგრესი რომ მითი არაა, ჩემპიონატის მატჩებიდანაც ჩანს – ბევრი ლამაზი და საკმაოდ მაღალი დონის თამაშია. დიდი ფული დააბანდეს და ეს შედეგს მოიტანს.

**- სხვათა შორის, რუსულენოვან აზერბაიჯანულ ვებგვერდებზე რამდენჯერმე წავიკითხე თქვენი ინტერვიუ - მკვახე გამოთქმებს და კრიტიკას იქაც არ ერიდებით. ამ დროს, აზერბაიჯანელებს ჰგონიათ, რომ უკვე მაღალ დონეს მიაღწიეს. იქაური მოხელეები თქვენი კრიტიკით ხომ არ ღიზიანდებიან?**

- კრიტიკა ადამიანებს არ სიამოვნებთ, მაგრამ გაღიზიანება ვერავის შევატყვე. ვარსკვლავებს არ წყვეტენ, მაგრამ ფულის დაბანდებით წინ მიდიან და პროგრესი სახეზეა. თანაც, ახლა ლეგიონერებზე ლიმიტი საერთოდ გააუქმეს და შეიძლება, მთელი შემადგენლობა უცხოელებისგან დააკომპლექტო. რა თქმა უნდა, ეს საკლუბო დონეს აწევს. მთავარია, გქონდეს ფინანსები.

**- თქვენი "სტანდარდი" მდიდარ კლუბად ითვლება?**

- საკმაოდ დიდი ბიუჯეტი აქვს, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ლეგიონერებზე გართულება არ აქვს. მითხრეს კიდეც, დღესვე შეგვიძლია დიდი ფული დავხარჯოთ, მაგარი ფეხბურთელი ჩამოვიყვანოთ, მაგრამ ჯერ ინფრასტრუქტურის შექმნა ურჩევნიათ. მხოლოდ ამის შემდეგ აპირებენ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას. ამიტომ მჯერა, რომ "სტანდარდი" ერთწლიანი გუნდი არ იქნება. 26 წლის პრეზიდენტი გვყავს, რომელიც ძალიან სწორად აზროვნებს და გუნდს ერთად ვაშენებთ.

ზოგან სხვაგვარად ფიქრობენ. მაგალითად, "ოლიმპიკს" შარშანდელი ვიცე-ჩემპიონობა ძვირი დაუჯდა, ლეგიონერებზე დიდი ფული დახარჯეს, მაგრამ გუნდი მაინც ვერ ჩამოაყალიბეს.

**- თუ ჩემპიონობისთვის არ იბრძოლებთ, წლეულს რა მიზნები გექნებათ?**

- შარშანდელი სეზონი მეცხრე ადგილზე დავასრულეთ, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ თანამედროვე ფეხბურთს ვთამაშობდით. წლეულს ხუთეულში მოხვედრა გვინდა, მეცხრე ადგილი არავის დააკმაყოფილებს. ბიუჯეტი გაიზარდა, მაგრამ ევროთასებზე მოხვედრა ჩვენი თვითმიზანი არაა.

**- თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი მეკარე მიხეილ ალავიძე უკვე დაიმატეთ, თუ ჯერ კიდევ აკვირდებით?**

- ის ჩვენთან ვარჯიშობს და ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი ფეხბურთელი და პიროვნება დავიმატეთ. სხვათა შორის, აზერბაიჯანში ყველას უკვირს, რომ "სტანდარდი" ქართველებით არ გავტენე. პირველი უცხოელი მწვრთნელი ვარ, რომელმაც გუნდში თავისიანები მასიურად არ მოიყვანა.

**- სხვათა შორის, ეს მართლაც გვიკვირს, რომ მხოლოდ მეკარე მიიწვიეთ. არადა, სხვა გვარებსაც ახსენებდნენ.**

- მე ფეხბურთელში ყველანაირად უნდა ვიყო დარწმუნებული - მის კლასში, წესიერებაში, ხასიათში, ადამიანობაში.

**- გიორგი სეთურიძის დამატების იმედი საბოლოოდ გადაგეწურათ?**

- სეთურიძეზე საუბარი იყო. ჩვენი მარჯვენა მცველი ნაკრების კანდიდატია და გვქონდა შიში, რომ მას "სტანდარდში" არ დატოვებდნენ. სათურიძეს კი კარგად ვიცნობ, მომწონს და მის დამატებაზე ვფიქრობდი. თუმცა კონკრეტული წინადადება არ გვქონია. კონკრეტულად ალავიძეს ვესაუბრე და დავიმატეთ კიდეც.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თქვენს დანიშვნაზე საუბარი წარსულს ჩაბარდა?**

- გეტყვით, რაც მოხდა - ამ თემაზე ნოდარ ახალკაცს ნაღდად ვესაუბრე. ამის მერე "სტანდარდმა" ახალი კონტრაქტი შემომთავაზა და ნოდარი საქმის კურსში ჩავაყენე - ასეთი წინადადება მაქვს და რა ვქნა-მეთქი.

მითხრა, ხელი მოაწერე, მაგრამ კარგი იქნება, თუ კონტრაქტში პუნქტს დაამატებო. ანუ, გუნდის მწვრთნელად დანიშვნის შემთხვევაში, ეროვნულ ნაკრებში მუშაობის უფლებაც უნდა შემენარჩუნებინა. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დღემდე არ დანიშნულა, ჩემი თემაც გაჩერებულია. თუმცა ახალკაცს აქვს სურვილი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა საბჭოში ვიმუშაო.

**- ანუ, შესაძლოა, შეთავსებით იმუშაოთ?**

- საქართველოში მხოლოდ ნაკრების თამაშებზე ვივლი. შეიძლება, ახალმა მწვრთნელმა ჩემთან მუშაობა არ ისურვოს, მაგრამ ახალკაცის წინადადება ძალაშია.

**- "სტანდარდი" ასეთ ვარიანტზე თანახმაა?**

- წინააღმდეგი არაა. მალე კონტრაქტს გავაფორმებთ და ჩემი თხოვნა იქაც გათვალისწინებული იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ოლიმპმა ლეგიონი დაითხოვა

რუსთაველი კლუბის ხელმძღვანელობა და მწვრთნელები მზად იყვნენ, გასასინჯად ჩამოსული ლეგიონერების ნაწილი დაეტოვებინათ, მაგრამ მათი მოწონება ვერც ერთმა დაიმსახურა. გუშინწინ "ოლიმპმა" ერთბაშად ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. დილას რუსთაველებმა ბაქოს "ოლიმპიკი" 3:0 გაანადგურეს, საღამოს კი ზაქათალის "სიმურგთან" 0:2 წააგეს. უცხოელებმა მხოლოდ მეორე შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა.

"ოლიმპი": **სტურუა – შალკაი, იზბერნერი, მანგა, ა. რეხვიაშვილი – გაგა ჩხეტიანი, კ. მახარაძე, დობროვოლსკი, სებისკვერაძე – მენდეში, მორაიში.**

**იზბერნერი, მორაიში** და **მენდეში** ბრაზილიელები არიან, **მანგა** გაბონელია, **შალკაი** კი უნგრელი.

*"ძალიან გვინდოდა, ჩამოსულებში საინტერესო ფეხბურთელები აღმოგვეჩინა, მაგრამ სამწუხაროდ, მათ შორის ასეთები არ აღმოჩნდნენ. მომდევნო მატჩში განელ ლეგიონერს დავაკვირდებით და უცხოელთა გასინჯვაც ამით დასრულდება. 15 ივლისს რუსთავში ცხინვალის "სპარტაკს" ვუმასპინძლებთ. ჯერჯერობით, ქართველთაგან გუნდი მხოლოდ დავით გიგაურმა დატოვა",* - განაცხადა "ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ვაჟა, შერიფი და უღალატო ტრადიცია

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის მე-3 ტურის მატჩში ტირასპოლის „შერიფმა" შინ 2:0 დაამარცხა ატაკის „ნისტრუ". გუნდის კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** სრულად ითამაშა. 78-ე წუთზე მან ყვითელი ბარათი მიიღო. სამი თამაშიდან 9 ქულით „შერიფი" ლიდერია, რაც უკვე ტრადიციად იქცა მოლდოვურ ფეხბურთში.



კლუბებმა საჩემპიონატო განაცხადები გამოაქვეყნეს, კიშინოვის „დაჩიას" განაცხადში სამი ქართველი ლეგიონერია, ნახევარმცველი **ლევან კორღალიძე** და ფორვარდი **ჯაბა დვალი** აქამდეც თამაშობდნენ მოლდოვის ვიცე-ჩემპიონთა რიგებში, მათ მცველი **სერგი ორბელაძე** დაემატა. „დაჩიაში" ვერ დარჩა სინჯებზე მყოფი **სოსო გრიშიკაშვილი**. მოლდოვის ჩემპიონატში სულ ხუთი ქართველი თამაშობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აფციაურმა თურქეთის წინ გაისროლა

თურქულ შეკრებაზე გამგზავრების წინ აზერბაიჯანულმა "კაბალამ" ბოლო საკონტროლო შეხვედრა გამართა. გუნდი მინგეჩაურში პირველი დივიზიონის "არაზს" შეხვდა. **რამიზ მამედოვის** შეგირდებმა მეტოქე 5:1 გაანადგურეს. კაბალელთა მესამე გოლი **თორნიკე აფციაურის** ანგარიშზეა. "კაბალა" დღეს თურქეთში გაფრინდება, სადაც მორიგ შეკრებას გამართავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ლილუაშვილმა უნგრელებს გაუტანა

სლოვაკეთის ჩემპიონატის სტარტისთვის მზადებას განაგრძობს მესამეადგილოსანი „ნიტრა", სადაც ქართველი ფორვარდი **ირაკლი ლილუაშვილი** ირიცხება. კოშეცკის საწვრთნელ ბაზაზე მატჩს მხოლოდ 200 მაყურებელი დაესწრო, „ნიტრა" 2:2 ეთამაშა უნგრულ „ფეჰერვარს". ლილუაშვილი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, ის მეორე ტაიმში გამოჩნდა. 78-ე წუთზე ქართველმა „ნიტრა" 2:1 დააწინაურა, თუმცა 82-ე წუთზე უნგრელებმა ფრეს მიაღწიეს – 2:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ ნედ ზელიჩთან

# შარდენზე გატარებული საღამოები არასოდეს დამავიწყდება

თბილისის "დინამომ" ორი წლის წინათ საინტერსო ტრანსფერი განახორციელა: საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი, ავსტრალიის ეროვნული ნაკრებისა და დორტმუნდის "ბორუსიის" ყოფილი მცველი ნედ ზელიჩი ჩამოიყვანა.

ზელიჩმა პირველი ქართული სეზონი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრა,მ შარშან თავი ბევრით ველარ გამოიჩინა. თურმე, მიზეზი მუხლის ქრონიკული ტრავმა ყოფილა, რომელმაც საბოლოოდ 37 წლის მცველს კარიერის დასრულება აიძულა.

"დინამო" ზელიჩთან განშორებას არ ჩქარობა, გამოცდილი ფეხბურთელისგან ახალგაზრდები ბევრს სწავლობდნენ და ასეთი კაცი, ყველა გუნდს სჭირდება.

**ყველამ იცოდა, რომ წასვლას აპირებდა, მაგრამ ფაქტის გაცხადებას იმ იმედით ერიდებოდნენ, იქნებ გადაიფიქროსო. ზელიჩმა წასვლა მაინც გადაწყვიტა და საკმაოდ მდიდარი კარიერა საქართველოს ჩემპიონ "დინამოში" დაასრულა – ბუცებს ადგილი კედელზე მოუჩინა.**

**ნედ ზელიჩს ავსტრალიაში დავუკავშირდით.**

**- დღეს კარიერის 40 წლამდე გაგრძელება პრობლემა აღარაა და თქვენ ფეხბურთიდან წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

- ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო, თუმცა, ვფიქრობ, დადგა დრო, როცა უკვე სხვა საქმითაც უნდა დავკავდე. უკვე 37 წლის ვარ და ზურგს უკან ხანგრძლივი კარიერა მაქვს. ჩემი ფეხბურთი ვითამაშე და ვფიქრობ, რომ "დინამოსთან" ერთად მოპოვებული ჩემპიონის ტიტულით კარიერის დასასრულებლად მშვენიერი დრო შევარჩიე.

**- თბილისის "დინამოსა" და საქართველოზე როგორი მოგონებები დაგრჩათ?**

- ბევრი სასიამოვნო მოგონება მრჩება, უამრავი მეგობარი და ახლობელი შევიძინე. შესანიშნავ მოგონებად მრჩება "დინამოსთან" მოპოვებული ჩემპიონობაც. თბილისი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და საინტერესო ქალაქია, სადაც კი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში მიცხოვრია. ზაფხულში შარდენზე, მეგობრებთან გატარებული საღამოები არასოდეს დამავიწყდება. "დინამო", ქართველი ხალხი და საქართველო სამუდამოდ ჩემს გულში დარჩება.



**- ქართული ფეხბურთის დონეზე რას გვეტყვით? ძალიან დაბალი დონისაა, არა?**

- ვერ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, რომ დონე საკმაოდ კარგია და რაც მთავარია, მზარდი პოტენციალი გააჩნია. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი ვნახე და ვფიქრობ, რომ დროთა გამავლობაში საქართველოს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელები ეყოლება. ქართველი ფეხბურთელები ტექნიკურად ძლიერნი რომ არიან, ეს თვალნათლივ ჩანს. აუცილებელია ტაქტიკის მხრივ სწორი და მიზანმიმართული სამუშაოს ჩატარება და სათამაშო დონე აუცილებლად ამაღლდება.

**- რომელიმე ფეხბურთელს თუ დაასახელებ, რომელსაც მაღალ დონეზე გამოსვლის პერსპექტივა გააჩნია?**

- "დინამოდან" გამოვყოფდი მათე ვაწაძეს და გიორგი მერებაშვილს, "ვიტ ჯორჯიიდან" კი ირაკლი კლიმიაშვილს. მათ ნაღდად შეუძლიათ მაღალ დონეზე ითამაშონ.

**- თქვენი აზრით, რომელ დინამოელს შეუძლია ცენტრალურ მცველის პოზიციაზე თქვენი ადგილის დაკავება?**

- მიმაჩნია, რომ გურამ კაშიაც და გულვერდ თომაშვილიც კარგი მცველები არიან და ყველა ის თვისება გააჩნიათ, "დინამოში" ამ პოზიციაზე რომ ითამაშონ. განვლილ სეზონში ეს ორივემ გვაჩვენა. მთავარია, რომ მთელი სეზონის განმავლობაში შეინარჩუნო ხარისხი და კარგი თამაში აჩვენო. ამ ორიდან ერთ-ერთს, ძირითადში ადგილის მოპოვების შანსი მიეცემა და შანსი უნდა გამოიყენონ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფესვები

# ოლიმპიკი ცეხით არ იქცევა

## კარლო მჭედლიძე: გამოსავალი სპორტის კანონია

**სადაც** ფესვი სალი არ არის, იქ საქმე კარგად ვერ გამოვა. ცხადია, ასეა სპორტშიც. ბავშვთა ფეხბურთში არაერთი პრობლემაა, თუმცა ახლა რაღაც-რაღაცები სასიკეთოდ იცვლება, თუნდაც ის რად ღირს, რომ შეიქმნა ტალანტების მოძიების პროგრამა, მიმდინარეობს ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისა და მწვრთნელების ლიცენზირება.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს ვერ უშველის საქმეს, ბავშვთა ფეხბურთი მთელი კომპლექსია, რომელიც სისტემურ მუშაობაში უნდა წარიმართოს.

ვფიქრობთ, აქტუალური იქნება "ლელოს" გაცოცხლებული რუბრიკა "ფესვები", რომელიც ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ავან-ჩავანს მოიცავს. რუბრიკის პირველი სტატია საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკზეა".

საფეხბურთო სკოლა თბილისში ბევრია. ზოგი გაპარტახებულია, ზოგი ღონიერია, ზოგი შესახედავად ლამაზია, ზოგიც სწორად მუშაობს, ზოგიც "ცეხის" პრინციპზეა.

მაგალითად, ერთ-ერთ ძალიან სახელიან სკოლაში ხელოვნურსაფარიანი ბევრი მოედანია და იმდენი ბავშვი ვარჯიშობს, ნემსი ვერ ჩავარდება - ამას ჰქვია "ცეხი".

"ოლიმპიკის" სკოლაში კი სხვა პრინციპებია. ხუთი ბალახსაფარიანი მოედანი, ერთიც სათადარიგო, რომელსაც ნალექიან ამინდში იყენებენ. არ არის ხელოვნურსაფარიანი სტადიონები - ბეტონზე გადაგლესილი ნოხი - უხარისხო მოედანი, რომელიც თითქმის ყველა სხვა საფეხბურთო სკოლაშია და რომელიც მშობელთა უმეტესობას ჰგონია, რომ კარგია.

შოტლანდია-საქართველოს მატჩისთვის გლაზგოში გახლდით და საგანგებოდ დავინტერესდი, როგორ მოედანზე ვარჯიშობდნენ "რეინჯერსის" საფეხბურთო სკოლაში. გლაზგო მზიანი ადგილი არ არის და აიბროქსელებმა ბავშვებისთვის ხელოვნური საფარი დააგეს, თუმცა ისეთი ფაფუკი და დრეკადი, რომ საუკეთესო მინდვრის ხარისხს გაუტოლდებოდა.

ჩვენთან კი მეტწილად უხეში საფარი, რაც მოზარდებში იწვევს შლატერის დაავადებას და ფეხის კუნთების არასწორად განვითარებას. რა თქმა უნდა, ყველა მოზარდს ასეთ მოედნებზე არ ექმნება პრობლემები, მაგრამ წესი და კანონი, ფაქტობრივად, მგლურია - ფეხბურთის თამაშს ის გააგრძელებს, რომლის ფეხები ქვიშამოყრილ ბეტონზე ბურთის დევნას გაუძლებს.

"ოლიმპიკი" 1997 წელს შეიქმნა, სკოლის დამფუძნებელი და პრეზიდენტი **კარლო მჭედლიძეა,** 1981 წლის ტრიუმფატორი "დინამოს" ერთ-ერთი მეკარე.

"ჩვენს სკოლაში დაახლოებით 250 ბავშვია. ერთ ვარჯიშზე 20-25 მოზარდზე მეტი არ დაიშვება. ვარჩევთ უფრო ნიჭიერებს და ამ ბავშვებისგან ვქმნით მეორე გუნდს, რომელთანაც ცალკე მიდის მუშაობა. ასეთი პრინციპით ვხელმძღვანელობთ ყველა ასაკში", - გვითხრა მჭედლიძემ.

ყველა მოზარდს ერთნაირი მონაცემები არ აქვს. "ოლიმპიკში" საქმე ისეა მოწყობილი, რომ ხელს არავის კრავენ, თუმცა რჩევას მაინც იძლევიან.

"ჩვენ ვარჩევთ ბავშვებს, მაგრამ ისე არ არის, რომ ვინმე "ოლიმპიკიდან" გავაგდოთ - მოზარდებს სათუთად ვეპყრობით და მშობლებს ვურჩევთ, ან სხვა სპორტში შეიყვანონ ბავშვი, ან სხვა გუნდში გადაიყვანონ. არ არის გამორიცხული, სხვა სკოლაში ბავშვი უკეთ გაიხსნას, ან ერთ-ორ წელიწადში მნიშვნელოვნად მოუმატოს თამაშს", - განგვიმარტა მჭედლიძემ.

"ოლიმპიკში" თვიური გადასახადი 30 ლარია, ზოგ სკოლაში თანხა 40 ლარამდეც აღწევს. მჭედლიძემ გვითხრა, რომ სწავლის საფასურით შემოსული თანხები სკოლის ხარჯებს ვერ ფარავს და ბიუჯეტი გარე ბიზნესით ივსება.

"ოლიმპიკი" ლიცენზირებული სკოლაა, სადაც სულ შვიდი მწვრთნელია, რომელთაც სამი ასისტენტი ჰყავს. სკოლის განკარგულებაშია ორი ექიმი, მასაჟისტი და ფიზმომზადების მწვრთნელიც.

"ჩვენი მწვრთნელების ანაზღაურება დიფერენცირებულია. მწვრთნელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნორმალური პირობებით, არ უნდა იფიქროს იმაზე, პურის ფული როგორ მიიტანოს სახლში. ორის გარდა ყველას აქვს სამწვრთნელო ლიცენზია და მალე ყველა ჩვენი მწვრთნელი ლიცენზირებული იქნება", - გვამცნო მჭედლიძემ.

"ოლიმპიკი" დიღმის მასივშია, საავადმყოფოების კომპლექსის ბოლოს, ყოფილ ქარხანა "მიონის" სიახლოვეს. იქ ტრანსპორტი ქალაქის თითქმის ყველა კუნჭულიდან მიდის და მჭედლიძემაც გვითხრა, "ოლიმპიკში" მხოლოდ დიღმის მასივიდან როდი დადიან, ახლა ავტობუსებიც უფასო გახდა ბავშვებისთვის და "ოლიმპიკში" მიმოსვლა პრობლემა არავისთვის არისო.

მჭედლიძემ თავისი საფეხბურთო სკოლისთვის ტერიტორია მეცნიერებათა აკადემიისგან აილო იჯარით. ახლა კი საკუთრებაში უნდა გადაეცეს.

"ასეთი მნიშვნელოვანი დახმარებისთვის მადლობა უნდა გადავუხადო მთავრობას და უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს, ასეთი თანადგომა ძალიან საჭიროა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის", - გვითხრა მჭედლიძემ.

"ოლიმპიკის" მთავარი მოედნით არაერთი გუნდი სარგებლობს ვარჯიშისთვის, საკონტროლო თუ ოფიციალური მატჩებისთვის. ამ მინდორზე ხანდახან ჩვენი ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებიც ვარჯიშობენ.

"ოლიმპიკის" მიზანია ისეთი პროფესიული გუნდის შექმნა, უმაღლეს ლიგაში რომ ითამაშებს, თუმცა ამისკენ ჯერ ეტაპები აქვს გასავლელი. 2006 წელს "ოლიმპიკი" რეგიონული ლიგიდან პირველში აღზევდა, წლეულს კი იქ გუნდი აღარ ეყოლება - "ოლიმპიკი" მხოლოდ ასაკობრივ ლიგაებში ითამაშებს. ახლახან "ოლიმპიკმა" ოთხი ფეხბურთელი მიაწოდა "ვიტ ჯორჯიას" - **გოგიშვილი, იაშვილი, დაუშვილი და ფურცელაძე.**

"ოლიმპიკი" მხოლოდ ქართული სატრანსფერო ბაზრის იმედად როდია. სკოლას ორი უცხოელი აგენტი ჰყავს - იტალიაში და გერმანიაში. ახლა მიდის მუშაობა იმაზე, რომ თემურ შონია (1990 წელს დაბადებული) და ნიკა მაისურაძე (1989 წელს დაბადებული) ერთ-ერთი სახელიანი გერმანული კლუბის ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხონ.

ბოლო დროს ისეთი ტენდენცია წავიდა, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა ქართულ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელები ერთმანეთს ჰგვანან, ძალიან ძნელია მათგან ვინმეს გამორჩევა. ვინძლო ეს ბავშვთა ფეხბურთის პრობლემატიკით იყოს გამოწვეული, მჭედლიძეს კი ამ საკითხზე ასეთი განმარტება აქვს.

"თუ ვინმე ოდნავ მაინც გამორჩეული მოთამაშეა, ყველა უცხოეთში მიდის, უმეტესად არც თუ ძლიერ ლიგებში და ეს იწვევს ასეთ ერთფეროვნებას ქართულ გუნდებში. გამოსავალი ისეთი სპორტის კანონის მიღებაა, რომელიც ჩვენს სიტუაციას მოერგება - გათვალისწინებული იქნება შეღავათები სპორტისთვის ფულის გამღები მეწარმეებისთვის."

**გიორგი მერებაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი ფეიქრიშვილი, კახა ალადაშვილი, ნუკრი მანჩხავა...** არასრული სიაა იმ ფეხბურთელეისა, "ოლიმპიკმა" რომ გამოზარდა. ყველაზე სახელიანი და ნიჭიერი მათგან მჭედლიძის 18 წლის ვაჟი ლევანია, იტალიური "ემპოლის" და საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევი. მამამისმაც დაგვიდასტურა, რომ ლევანს არაერთი შემოთავაზება აქვს წამყვანი ევროპული ლიგების გუნდებისგან და შესაძლოა, ტრანსფეიც მალე გაიჩარხოს.

**დავით თავართქილაძე**

# გივი ჩხეტიანი ბომბარდირობას აპირებს



ახალ სეზონში აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში კიდევ ერთი ქართველი ფორვარდი შეეცდება მეტოქეთა კარის დალაშქვრას – საუბარია 24 წლის გივი ჩხეტიანზე, რომელიც ამიერიდან დებიუტანტ „ბაქილის" წევრია. გივის ინტერვიუ აზერბაიჯანულმა „ექსტრა თაიმმა" ჩამოართვა.

**- სად თამაშობდით ბაქოში ჩამოსვლამდე?**

- ქუთაისის „ტორპედოში", „ამერში", ბოლოს კი – „ბორჯომში".

**- თქვენმა აგენტმა კი გვითხრა ჩხეტიანი ევროპაში ნათამაშებიაო..**

- დიახ, ერთი სეზონი ავსტრიის პირველი ლიგის „ჰარტბერგში" ვითამაშე.

**- როდის მოაწერეთ ხელი კონტრაქტს?**

- კონტრაქტისთვის ხელი ჯერ არ მომიწერია, ამ დღეებში ეს პრობლემა მოგვარდება. მწვრთნელი ჩემით კმაყოფილია, დარჩა მხოლოდ უმნიშვნელო დეტალები შესათანხმებელი.

**- რატომ არჩიეთ მაინცდამაინც აზერბაიჯანი?**

- სულ ორი წინადადება მქონდა, ერთი „ბორჯომში" დარჩენა იყო. მაგრამ ამ ეტაპზე დროა სტაბილურად უცხოეთში ვითამაშო.

**- ქართველებისთვის აზერბაიჯანი უკვე ჩვეული სამუშაო ადგილი გახდა, თქვენი კულტურის მოღვაწეებიც ხშირად ჩამოდიან..**

- ორი ფაქტორია, აქ სათამაშო პირობები უკეთესია და სამშობლოსთანაც ახლოსაა. ფინანსური საკითხიც ძალზე მნიშვნელოვანია.

**- ალბათ, გიორგი ადამიას მიღწევის გამეორებას შეეცდებით, ის ხომ ყველაზე წარმატებული ქართველი ლეგიონერია ამჟამად.**

- დიახ, გიორგი ადამიას დიდი პროგრესი ჰქონდა აზერბაიჯანში.

**- ალბათ იცით, რომ რისკავთ – „ბაქილი" იმ დონის კლუბი არ არის, როგორიც „ნეფთჩია"..**

- ყოველი ტრანსფერი რისკიანია. ყველაფერი მაინც ჩემზე და ჩემს ახალ თანაკლუბელებზე იქნება დამოკიდებული.

**- თქვენს თამაშს გატანილი გოლების რაოდენობით შეაფასებენ, რამდენი გოლის გატანას აპირებთ ჩემპიონატში?**

- ყველაფერს გავაკეთებ, რომ საუკეთესო ბომბარდირი გავხდე. ძალიან მსურს თავი პირველივე სეზონში გამოვიჩინო.

მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლეგიონერები

# ორი ქართველი ძირითადში

"შალკეს" მორიგ ამხანაგურ მატჩში კვლავ ორივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა. "ხუმარებმა" "ვატენშაიდს" **კრისტიან პანდერის** მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლით 1:0 სძლიეს, **ლევან კობიაშვილმა** და **ლევან ყენიამ** კი ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს. ორივე ნახევარდაცვის ცენტრში გაამწესეს. კობიაშვილი 72 წუთზე **ვენდელმა** შეცვალა, ყენია კი 46-ეზე **გროსმიულერმა.** ჩვენმა თანამემამულეებმა თითო რეალური საგოლე მომენტი გაუშვეს ხელიდან. განსაკუთრებით ეფექტური ყენიას შორეული დარტყმა იყო, რომელიც მეკარემ მოიგერია.

**ლევან ჯანეზაშვილი**






# ბერაია კაბალური ვარჯიშებით კმაყოფილია

ქართველი ნახევარმცველი გოგა ბერაია „ყარაბახიდან" „კაბალაში" გადავიდა, სადაც გასულ სეზონში ოთხი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა. „კაბალა" მინგეჩაურში ემზადებოდა, 12 ივლისს გუნდი თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება. მანამდე აზერბაიჯანულმა „ექსტრა თაიმმა" ბერაიას ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის შემოკლებულ ვარიანტსაც აქ გთავაზობთ:

**- როგორ შეეგუეთ კლუბს?**

- კარგად, რადგან აქ გადმოსვლამდეც ბევრს ვიცნობდი.

**- როგორი ურთიერთობა გაქვთ მწვრთნელ რამიზ მამედოვთან?**

- საქმიანი, ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშის დროს ვურთიერთობ მწვრთნელთა ჯგუფთან.

**- „კაბალა" საკონტროლო მატჩებს თუ თამაშობს?**

- აქ უფრო ფიზიკურ დატვირთვაზე გვაქვს აქცენტი, თამაშით ერთმანეთში ვთამაშობთ. მხოლოდ ერთხელ შევხვდით ადგილობრივ კლუბს, რომელიც პირველ ლიგაში გამოდის. ფიზიკურად ინტენსიურად ვემზადებით, სეზონის განმავლობაში ეს აუცილებლად გამოგვადგება.

**- რას გეგმავთ ახალ სეზონში?**

- უეფას თასის საგზურის მოპოვებას, ამისთვის კი გაძლიერება არ გვაწყენდა.

**- თქვენი ძმა ირაკლი შარშან „თურანში" თამაშობდა, ახლა სად არის?**

- „თურანთან" მას კონტრაქტი დაუსრულდა. ახლა ირაკლი რუსეთშია, თუმცა რამდენიმე აზერბაიჯანული კლუბიდან შემოთავაზება აქვს, უბრალოდ, მას მათი სათამაშო დონე არ მოსწონს. შესაძლოა, ირაკლიმ კარიერა რუსეთში გააგრძელოს. პირველი დივიზიონის ერთ-ერთ კლუბს სურს მისი შეძენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპული ბიბლიოთეკა

ფიფას პრეზიდენტი

# გაუშვით კრისტიანო რონალდო!

## ბლატერი მანჩესტერს საყვედურობს და სამხრეთ აფრიკას სამუნდიალო საკითხების დროულად მოგვარებას ურჩევს

ფიფას პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** ბრიტანულ სპორტულ ტელეარხ "სქაის" ვრცელი ინტერვიუ მისცა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა საფეხბურთო მალალჩინოსნის სტუმრობით კარგად ისარგებლეს და მრავალ საინტერესო თემაზე გაესაუბრნენ. ნისლიან ალბიონზე ახლა ყველაზე აქტუალური თემა **კრისტიანო რონალდოს** მოსალოდნელი ტრანსფერია. მოგეხსენებათ, "მანჩესტერი" ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავი "რეალს" არ დაუთმოს. სამეფო კლუბი კი უკან ჯიუტად არ იხევს და თავგანწირვით იბრძვის. უმაღლესი დონის ვარსკვლავების შეძენა ყოველთვის რთული იყო, მაგრამ ასეთი დაძაბული მოლაპარაკებები დიდი ხანია არ გვახსოვს. გემახსოვრებათ, ერთი თვის წინათ "იუნაიტედის" მესვეურებმა ესპანური გრანდის წინააღმდეგ ფიფაში საჩელი შეიტანეს. თუმცა, ამ საქმეს გამოხმაურება არ მოჰყოლია.

მსოფლიოს უმაღლეს საფეხბურთო ორგანოს არც ერთი მხარე არ გაუმტყუნებია. ბლატერმა ამ თემაზე მხოლოდ ახლა, სწორედ "სქაისთან" ინტერვიუში ისაუბრა: "ეს საქმე ძალიან გაიწელა. ინტერნეტში ხშირად ვიქექები და რომელ საიტზეც არ უნდა შევიდე, ყველგან ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ვეცნობი. ერთ დღეს წერენ, "რეალმა" კრისტიანო რონალდო ხელში ჩაიგდოო, მეორე დღეს კი ამტკიცებენ, რომ "მანჩესტერი" ფეხბურთელს არ უშვებს. კარგად მესმის, ჟურნალისტები ინფორმაციებს თავიანთი წყაროებიდან იღებენ და მათ არ ვამტყუნებ. ჩემი აზრით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა არასწორად იქცევა. კრისტიანო რონალდოს მათ წასვლის უფლება უნდა მისცენ. ფეხბურთი ალებმიცემობას ჰგავს. ფაქტობრივად, აღარ არსებობენ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც კარიერას ერთ გუნდში ატარებენ. გასაგებია, რომ ინგლისურ კლუბს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი არ ეთმობა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავად კრისტიანოს წასვლა უნდა და ამის შესაძლებლობას არ აძლევენ. როცა ადამიანი სამსახურში არაკომფორტულად გრძნობს თავს, შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ამჟღავნებს. ეს სრულიად ბუნებრივია და მეშინია, რომ "მანჩესტერში" დარჩენის შემთხვევაში, რონალდო ძველებური შემართებით ველარ ითამაშებს. ამით კი, უპირველეს ყოვლისა, თავად ის და მსოფლიო ფეხბურთი დაზარალდება."

ზეპ ბლატერს ევროპის ჩემპიონატზე ჰკითხეს. მისი თქმით, კონტინენტის პირველობამ მოლოდინი გაამართლა. თუმცა, ფიფას პრეზიდენტი კიდევ უფრო შთამბეჭდავ და სანახაობრივ მსოფლიო ჩემპიონატს ელის: "ევროპის პირველობაზე ძალიან საინტერესო თამაშები ვნახეთ. ესპანეთმა ჩემპიონის ტიტული სრულიად დამსახურებულად მოიპოვა. ჩემი აზრით, ესპანელებს ასეთი თამაშით 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვების შესანიშნავი შანსი ექნებათ. მხოლოდ პირენეელებზე რომ არ ვილაპარაკოთ, მოდით, სხვა გუნდებიც შევაქოთ. არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა თურქეთმა. ამ გუნდის პროგრესი აშკარაა. ხორვატიით მოხიბლული დავრჩი. ამ ორი ნაკრების მეოთხედფინალი სასწაული იყო. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა დამატებითი დროის ბოლო წუთზე ორი გოლი გავიდა. ძალიან მიხარია, რომ ევროპული ფეხბურთი ვითარდება. წლევანდელი ევროპის პირველობა წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, 2010 წლის მუნდიალზე გაცილებით უკეთეს თამაშებს ვიხილავთ. ამას აფრიკელი გულშემატკივრები შეუწყობენ ხელს. ფანების მიერ გამხნევებული ნაკრებები შესაძლებლობების მაქსიმუმს გაიღებენ. შესაძლოა, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ 2010 წელს აფრიკულ სასწაულს ველი. გულწრფელად რომ ვთქვათ, ფავორიტები უცვლელი იქნებიან, მაგრამ რადგან ტურნირი სამხრეთ აფრიკაში გაიმართება, ვვარაუდობ, რომ შავი კონტინენტის ნაკრებები უფრო კარგად იასპარეზებენ."

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, აფრიკულ მუნდიალზე შეყვარებულმა ბლატერმა ინგლისელ ჟურნალისტებთან 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში ჩატარების შესაძლებლობაზეც ისაუბრა: "ძალიან მინდა, არაფერი შეიცვალოს და ორი წლის შემდეგ ყველა ულამაზეს სამხრეთ აფრიკაში წავიდეთ. მაგრამ, თუ საორგანიზაციო კომიტეტი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას ვერ მოახერხებს, იძულებული გავხდებით, მუნდიალის მასპინძელი ქვეყანა შევცვალოთ. სავარაუდო კანდიდატებად სამი ქვეყანა განიხილება. მათ ვინაობას ვერ გავამხელ, მაგრამ შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ამ სახელმწიფოების მეთაურები მზად არიან, მუნდიალის ღირსეულად გასამართად ყველაფერი გააკეთონ. საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად მათ წელიწადი თავისუფლად ეყოფათ."



კრისტიანო რონალდოს ზერ ბლატერი გამოექომაგა

### რონალდომ ბლატერი შეაქო

ბლატერის განცხადებას კრისტიანო რონალდო იმავე დღეს გამოეხმაურა. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ფიფას პრეზიდენტი მართალი იყო, როცა "მანჩესტერ იუნაიტედის" სიჯიუტეზე საუბრობდა. საგულისხმოა, რომ რონალდოს ასეთი თამამი განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. ფეხბურთელმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ "ოლდ ტრეფორდიდან" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგება სურს. მოგეხსენებათ, "წითელი ეშმაკების" ფორვარდი ტერფზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ სამშობლოში ისვენებს. მას ძალიან ბევრი თავისუფალი დრო აქვს და მეგობრებთან ერთად ერთობა. თუმცა, კრისტიანომ გუშინ, პორტუგალიის საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხისთვისაც მოიცალა და სპორტულ რედაქციას ინტერვიუ მისცა. მისი თხოვნით, "რეალის" შესახებ ჰხოლოდ ერთი კითხვა დაისვა. ინტერვიუში ვარსკვლავმა ძირითადად ოჯახზე, პორტუგალიის ნაკრებსა და ევროპის პირველობაზე ისაუბრა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ახლა ყველაზე აქტუალური თემა მისი შესაძლო ტრანსფერია, თქვენს ყურადღებას მხოლოდ "რეალთან" დაკავშირებულ საკითხზე გავამახვილებთ. აი, რა განაცხადა კრისტიანო რონალდომ: "ამ თემაზე საჯაროდ არ მისაუბრია, მაგრამ მე მგონი, ყველა ხვდება, რომ "რეალში" გადასვლა მინდა. ამ ტრანსფერით დაინტერესებული რომ არ ვიყო, მადრიდელებს უარს შევუთვლიდი და ისინი ამას სწორად გაიგებდნენ, დასკვნებს გამოიტანდნენ და სატრანსფერო მოლაპარაკებებს შეწყვეტდნენ. მოკლედ, ესპანური გრანდისთვის უარი არ მითქვამს. ჩემი განწყობის შესახებ "მანჩესტერშიც" კარგად იციან, მაგრამ რატომღაც საკითხი ჭიანურდება. არა უშავს, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა. სანერვიულო არაფერი მაქვს, ინგლისში ვიქნები თუ ესპანეთში, მაინც ფეხბურთს ვითამაშებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გულშემატკივრები გავახარო."

ატლეტიკო

# ჰეიტინგა: მადრიდში ტიტულებისთვის

## პრიმერა დივიზიონი და ჩემპიონთა ლიგა ერთდროულად?

"ატლეტიკო" მომავალი სეზონისთვის მზადებას ინტენსიურად შეუდგა. მადრიდული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. ამიტომ, გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შემადგენლობა გაძლიერდეს. ამ თვალსაზრისით, მათ უკვე სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. დედაქალაქური გუნდის ერთ-ერთი ახალი სახე **ჯონი ჰეიტინგაა**. გუშინ, "ვისენტე კალდერონზე" ჰოლანდიელ ფეხბურთელს პრეზენტაცია მოუწყვეს. მასთან შესახვედრად სტადიონზე ათიათასამდე გულშემატკივარი მივიდა. ჰეიტინგა ასეთ დახვედრას არ ელოდა. როგორც ყოველთვის, მაყურებლების წინაშე ბურთის აკენწვლასა და ფოტოკორესპონდენტებისთვის პოზირებას პრესკონფერენცია მოჰყვა. ახალწვეულმა პირველ კითხვას ესპანურად უპასუხა. ჟურნალისტებს გაუკვირდათ, ჯონიმ კასტილიური რომ იცოდა, მაგრამ თავადვე განმარტა, რომ ამ ენას სკოლაში სწავლობდა და რალაც-რალაცები დღემდე ახსოვს. თუმცა, მისი ლექსიკური მარაგი საკმაოდ მწირი აღმოჩნდა და რამდენიმე წინადადების შემდეგ მშობლიურ ჰოლანდიურზე გადავიდა: "უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ "ატლეტიკოში" გადმოვედი. ჩემი ახალი გუნდი სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. დარწმუნებული ვარ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპს გადავლახავთ და ჯგუფურ სტადიაზე ვიასპარეზებთ. დღეს უამრავი გულშემატკივარი დამხვდა. მართალია, პროფესიულ ფეხბურთს უკვე დიდი ხანია ვთამაშობ, მაგრამ არ მეგონა, "ატლეტიკოს" ფანებში ასეთი პოპულარული თუ ვიყავი. ყველას მადლობას მოვახსენებ და პირობას ვდებ, რომ გაცემულ ავანსებს გავამართლებ."



ჯონი ჰეიტინგა

ამის შემდეგ ჰეიტინგას "აიაქსიდან" "ატლეტიკოში" გადასვლის მოტივის შესახებ ჰკითხეს. ჰოლანდიელს საკმაოდ საინტერესო პასუხი აღმოაჩნდა: "აიაქსში" 17 ლამაზი წელიწადი გავატარე. იქ ძალიან პატარა მიმიყვანეს და თანატოლებთან ერთად ფეხბურთის სწავლა დავიწყე. "აიაქსი" ყოველთვის ჩემს გულში იქნება, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და გუნდის გამოცვლა მჭირდებოდა. ამსტერდამული კლუბიდან არაერთი სახელოვანი ფეხბურთელი წასულა. მე მათ გამოცდილებას საგულდაგულოდ ვეცნობოდი და დავრწმუნდი, რომ უმრავლეს შემთხვევაში სხვა გუნდებში გადაბარგებამ მათთვის კარგი შედეგი გამოიღო. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შენით დაინტერესებულ კლუბს. "ატლეტიკო" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანია და მის წინადადებას გულგრილად გვერდს ვერ ავუვლიდი. ერთი სიტყვით, ახლა აქ ვარ და დარწმუნებული ვარ, არაფერს ვინანებ."

ჰეიტინგა ძალიან ამბიციური ფეხბურთელი ყოფილა. შესაძლოა, მან არ იცის, რომ ესპანეთის ჩემპიონატში პირველი ადგილის დაკავება ძალიან რთული საქმეა. მით უმეტეს, "ატლეტიკოსთვის". ამ გუნდს ბოლო დროს დიდი წარმატებები აქვს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, "ბარსელონისა" და "რეალის" კონკურენციის გადალახვა ხუმრობა არ არის. მიუხედავად ამისა, "როხიბლანკოს" ახალწვეული იმედიანადაა განწყობილი და გულშემატკივრებს დიდ გამარჯვებებს ჰპირდება: "ჩვენ ფანტასტიკური შემადგენლობა გვყავს. თუნდაც სერხიო აგუერო და დიეგო ფორლანი რად ღირს. ასეთ მოთამაშეებზე ნებისმიერი გრანდი იოცნებებდა. მწვრთნელიც ძალიან გამოცდილია. ჩემი აზრით, "ატლეტიკო" პრიმერა დივიზიონში გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატი იქნება. "ბარსელონას" ახლა სერიოზული პრობლემები აქვს, "რეალისთვის" კი ტიტულის შენარჩუნება მის მოპოვებაზე ბევრად უფრო რთული იქნება. მართალია, მადრიდელებმა ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვეს და ალბათ, თავდაჯერებულობა შეემატათ, მაგრამ ჩემი აზრით, "როხიბლანკოს" ბევრად უკეთესი შანსი ექნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ახალწვეულები გუნდის სქემაში კარგად ჩავეწერებით, "ატლეტიკო" ერთიორად გაძლიერდება და გამარჯვების შანსიც მოიმატებს. გულშემატკივრებს თავდადებულ თამაშს ვპირდები. ვინც კარგად მიცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ ნაგებას ავადმყოფურად აღვიქვამ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მინიმალური რაოდენობის მატჩი დავთმოთ."

პრესკონფერენციის მიწურულს ჰეიტინგას ჩემპიონთა ლიგაზეც მოუხდა საუბარი. გასაკვირი არ არის, რომ ამბიციური ფეხბურთელი ამ ტურნირსაც დიდი ოპტიმიზმით ხვდება: "ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება მეც მაქვს და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ყველაზე კარგად ორგანიზებული და უაღრესად პრესტიჟული ტურნირია. "ატლეტიკოს" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის დიდი გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ ეს სულაც არ მაშინებს. ისევე, როგორც პრიმერა დივიზიონში, აქაც ერთ-ერთი ფავორიტი ვიქნებით. არ გამოვრიცხავ, ფინალში გავიდეთ. ახლა შორს მიმავალ გეგმებზე საუბარი არასერიოზული იქნება, მაგრამ გული მიგრძნობს, "ატლეტიკოსთან" ერთად ამ სეზონში მართლაც ფენომენალურ წარმატებებს მივაღწევ."

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კლინსმანი თავის ტაქტიკას ამკვიდრებს

## იურგენმა გომესი საბოლოოდ გამორიცხა



ერთ კვირაში "ბაიერნი" ახალი სეზონისთვის მზადებას სრული შემადგენლობით გააგრძელებს. ამ პერიოდში, **იურგენ კლინსმანის** განკარგულებაში ის ფეხბურთელებიც გამოცხადდებიან, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობდნენ. კლინსი ძველ (ნაკრებიდან) და ახალ შეგირდებს სიახლეებით ხვდება...

ვიდრე ამ თემას შევეხებოდეთ, მანამდე ის ვთქვათ, რომ ჰერ იურგენმა **მარიო გომესისგან** შორს დაიჭირა თავი. "ბაიერნმა" "შტუტგარტს" ორჯერ მიმართა წინადადებით, მაგრამ დადებით პასუხს ვერ ელირსა. გუშინ, კლინსმანმა "კიკერს" უთხრა, რომ ბადენვიურტემბერგელ ფორვარდზე აღარ ფიქრობს. "შტუტგარტმა" მისი გაყიდვა არ მოისურვა და საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. თუმც კლინსი არ გამორიცხავს, რომ ერთი წლის შემდეგ "ბაიერნი" კვლავ დაუბრუნდეს ტრანსფერის თემას.

მოგეხსენებათ, რეკორდმაისტერი **ალექსანდრ გლების** ფრონტზეც აქტიურობს. ამ მხრივ, კლინსმანის პოზიციებს საიმედო არ ეთქმის. ბელარუსი გამთამაშებლისთვის, "არსენალს" "ბარსელონაც" ექიდავება. "მეთოფეები" გლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდიან, თუკი მსურველი კლუბი 21 მილიონ ევროს გადაიხდის. არ გვგონია, "ბაიერნმა" გლებში ამხელა თანხა გადაიხადოს. ჯერჯერობით, კლუბს ორი ახალწვეული ჰყავს: **ტიმ ბოროვსკი** "ვერდერიდან" და გოლეადორი მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი** "ბენფიკადან".

მთავარი ამბავი კი ტაქტიკას ეხება. ახალი სეზონიდან "ბაიერნისეული" მოდელი იქნება არა 4-5-1, არამედ 4-4-2. მაგრამ ტაქტიკური სქემა, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კონტიგენტიც გყავს. კლინსმანი ფიქრობს, რომ დღეს რეკორდმაისტერის ხელთაა სწორედ ის კონტინგენტი, რომელიც 4-4-2-ზე დამკვიდრების საშუალებას იძლევა. კლინსი ფიქრობდა 4-3-3-ზეც, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მიუნხენურ გრანდს ფლანგის ფორვარდები არ ჰყავს. იურგენის აზრით, პოპულარული 4-5-1, რომელსაც გერმანიის ნაკრებში ბოლო დროს **იოახიმ ლიოვი** ეყრდნობოდა, "ბაიერნში" გამოუსადეგარია.

*"ის მოთამაშეები, რომლებიც ახლა გუნდში გვყავს, საშუალებას გვაძლევს, 4-4-2 სისტემით ვითამაშოთ. "ბაიერნში" არ არიან სუფთა ფლანგის თავდამსხმელები, ამიტომ, 4-3-3-ით თამაში ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება. ტონი, კლოზე, პოდოლსკი ცენტრფორვარდები არიან"*, - განმარტავს კლინსმანი.

აქედან ჩანს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაბევებული უნდა ჰქონდეთ **ლუკა ტონისა** და **მიროსლავ კლოზეს**, ხოლო რაკი კლინსმანს **ლუკას პოდოლსკიც** ცენტრფორვარდად (ნაკრებში მას განაპირა ნახევარმცველად ათამაშებდნენ) მიაჩნია, გამოდის, რომ "პოლდი" კვლავ სკამის სახეხადაა განწირული. გამოსავალი შეიძლება იყოს სწორედ ნაკრების ვარიანტი, თუ კლინსმანი ლიოვის გზას გაჰყვება და პოდოლსკის ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე მიუჩენს ადგილს.

კლინსი განიხილავს ეგრეთ წოდებულ რომბისებურ წყობასაც, როცა გუნდში სამი შემტევი ნახევარმცველია. აქამდე, **მარკ ვან ბომელი, ზე რობერტო** და **ანდრეას ოტლი** ძირითადად დაცვითი ოპერაციებით იყვნენ დაკავებულნი. ეტყობა, მწვრთნელი მათ ახალ დავალებას მისცემს, საყრდენად კი **ჰამით ალთინთოფსა** და **ტიმ ბოროვსკის** გაამწესებს.

ბოლოს კი გეტყვით, რომ კვირას "ბაიერნი" პირველ ტესტმატჩს გამართავს. ჩემპიონის მეტოქე ერთ-ერთი სამოყვარულო კლუბი იქნება, 23 ივლისს კი სუპერთასზე დორტმუნდის "ბორუსიას" შეხვდება.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# რონალდო ეინდჰოვენში ბრუნდება?




როგორც ესპანური "ასი" გვამცნობს, **რონალდომ**, შეიძლება, "ეინდჰოვენს" მიაშუროს. "ფენომენის" მომავალი გაურკვეველია მას მერე, რაც თებერვალში, "ლივორნოსთან" მატჩის დროს, მძიმე ტრავმა მიიღო. გაურკვევლობაშია "მილანიც", რომელიც ფეხბურთელს 2009 წლის იანვრამდე ვერ დაიხმარს. არადა, რონალდოს კონტრაქტი ახლახან, 30 ივნისს ამოიწურა. მართალია, მარცხენა მუხლზე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ აშკარაა, რომ "როსონერი" ფეხს ითრევს. ისე ჩანს, თითქოს **კარლო ანჩელოტის** რონალდო აღარ უნდა, მით უფრო, რომ კლუბი ახალ თავდამსხმელს ელოდება. ამ დღეებში უნდა გადაწყდეს **ემანუელ ადებაიორის** საკითხი, სათვალავში რჩებიან **სამუელ ეტო'ო, ანდრეი შევჩენკო და დიდიე დროგბაც**. მაგრამ ზოგიერთი ვერსიით, არ არის გამორიცხული, კლუბმა რონალდოს მაინც შესთავაზოს ახალი ხელშეკრულება.

რაც შეეხება "ეინდჰოვენს". ესპანური გამოცემა გვარწმუნებს, რომ ჰოლანდიური გრანდის ბოსები უკვე დაუკავშირდნენ რონალდოს და ეცადნენ, დაერწმუნებინათ - კარიერის ამ ეტაპზე, "ეინდჰოვენში" თამაში მისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. "ფენომენი" სწორედ აქედან გაიცნო საფეხბურთო სამყარომ. "ფილიპსზე" ის 1994-96 წლებში თამაშობდა და დიდებულ შედეგსაც გამოჰკრა ხელი: 42 გოლი სულ რაღაც 45 მატჩში! შემდეგ ის "ბარსელონაში" გადავიდა...

ძნელი სათქმელია, დათანხმდება თუ არა რონალდო ჰოლანდიელთა წინადადებას. ცოტა ხნის წინათ, მისი მეგობრები იმაზეც საუბრობდნენ, თითქოს სამშობლოში ერჩივნა დაბრუნება. "კიჭას" იქ "ფლამენგო" ეპატიჟება. ვნახოთ, რას გადაწყვეტს...



# ადებაიორის გასაღები გურკუფი ყოფილა

"მილანმა" **ემანუელ ადებაიორის** ტრანსფერს გასაღები მოუძებნა. იტალიური სააგენტოების მტკიცებით, "არსენალს" 30 მილიონ ევროსა და ზედაც **იოან გურკუფს** შესთავაზებენ. ბოლოს და ბოლოს, ამ მოლაპარაკებებსაც უნდა დაადგეს საშველი. "მეთოფეები" ცოცხალი თავით არ აპირებენ ტოგოელი ფორვარდის გაშვებას, თუ სანაცვლოდ 40 მილიონ ევროს არ მიიღებენ. იტალიური გრანდის მესვეურებს ლონდონიდან ფაქსი მიუღიათ, ადებაიორზე მოსალაპარაკებლად მზად ვართო. ეს ინფორმაცია პრესას **ადრიანო გალიანიმ** გაუმხილა. მაგრამ გალიანიმ ადრე ისიც თქვა, "ჩელსიმ" **კაკაში** 78 მილიონი ევრო შემოგვთავაზაო და, "არისტოკრატებმა" კინაღამ სასამართლოში უჩივლეს. ჰოდა, ბევრი ფიქრობს, რომ გალიანის მაინცდამაინც არ დაეჯერება. ისე, ამ სატრანსფერო ვაკხანალიაში სად ტყუილი ითქმება და სად მართალი, ვერ გაიგებ კაცი...

"არსენალის" თავმჯდომარე **პიტერ ჰილ-ვუდიც** ამბობს - ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა ადებაიორი შევინარჩუნოთო, მაგრამ ბოლოს ისე ხდება ხოლმე, რომ თავს ზემოთ ძალა აღარ არის. ჰილ-ვუდის სიტყვებს იტალიელები გამოეხმაურნენ და, "არსენალი" "მილანს" ფასზე უკვე შეუთანხმდაო, თითქმის ყველა წყარომ დაწერა.

გურკუფზეც მოგახსენებთ. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ან უკვე ყოფილი წევრი "მილანში" 2006 წლის ზაფხულში გადავიდა. მას მომავლის ფეხბურთელად მიიჩნევდნენ, მაგრამ "როსონერიში" თავი ვერაფრით გამოიჩინა. ახლახან, "მილანმა" ის "ბორდოში" გაანათხოვრა, შესაბამისად, იტალიური მხარე მზადაა, ლონდონურ გრანდს გურკუფზე სრული სატრანსფერო უფლება დაუთმოს. ამ ოპერაციას "მილანი" 8 მილიონ ევროდ აფასებს. თან იმასაც ამბობენ, **არსენ ვენგერს** ეს შემტევი ნახევარმცველი ძალიან მოსწონსო. მაგრამ "ემირითსზე" ის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩავა, როცა "ბორდოში" არენდის ვადა ამოეწურება.




ჩელსი

# აბრამოვიჩს ლემპარდი ყელში ამოუვიდა

**რომან აბრამოვიჩი** გადარეულია. **ფრენკ ლემპარდმა** პატრონს იდეალურ პირობებზე უარი უთხრა. ჩუკოტკის ყოფილმა გუბერნატორმა ფრენკის ახალი კონტრაქტი პირად კონტროლზე აიყვანა და "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ კენიონს** სთხოვა, გუნდის ლიდერისთვის მაქსიმალურად მისაღები პირობები შეეთავაზებინა. მართლაც, ლემპარდის ასაკის (30) კვალობაზე კონტრაქტი ზღაპრული გამოვიდა - 4 წელიწადი და კვირაში 140 ათასი გირვანქა! ფრენკმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, წელიწადი და 10 ათასიც დაამატეთო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. შეიძლება, ჩვენი განსასჯელი არ იყოს, მაგრამ... დაგვეთანხმებით, ლემპარდი უსინდისოდ მოიქცა. უბრალოდ, მას გარკვევით უნდა ეთქვა, რომ "ჩელსიში" გაჩერება აღარ სურს და აბრამოვიჩი, ახალ-ახალი წინადადებებით, თავს ნულარ შეიწუხებს. მან კი ნამდვილი დახლი გახსნა.

აბრამოვიჩთან დაახლოებული პერსონა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა, "დეილი მეილთან" ინტერვიუში პირდაპირ აცხადებს, ბოსს ლემპარდი ყელში ამოუვიდაო: *"მას ეგონა, რომ ფრენკს ბრწყინვალე კონტრაქტს სთავაზობდა. და ასეც იყო, 30 წლის მოთამაშეს ამ ხანგრძლივობის ხელშეკრულებასა და ამხელა ანაზღაურებას არ აძლევენ. რომანმა ამით ხაზი გაუსვა, რომ ლემპარდის დატოვება სურს, მაგრამ არ მესმის, რატომ თქვა უარი ფრენკმა ამ კონტრაქტზე. უბრალოდ, წარმოუდგენელია"*.

მოკლედ, უნდა ვიფიქროთ, რომ ლემპარდის ლონდონური დღეები დათვლილია. და რაღას ნიშნავდა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** სიტყვები, - რჩებაო, პრესკონფერენციაზე რომ თქვა? ალბათ, იმას, რომ ჟურნალისტებთან პირველივე შეხვედრაზე სიტუაციის დაძაბვა არ სურდა.

დაბოლოს, "ჩელსის" ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებიც, რომელიც ასევე "დეილი მეილმა" დაბეჭდა და ესეც ინკოგნიტოდ დარჩა: *"ლემპარდი კლუბში თავის მომავალს ვერ ხედავს. ის დარწმუნებულია, რომ მისი ლონდონური ცხოვრება დასრულებულია"*.

ვალენსია

# ვილია არ იყიდება

## ახალ სეზონში ღამურები არწივებივით იფრენენ

"ვალენსიაში" ახალი ერა იწყება. შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ, "ღამურების" ახალმა ხელმძღვანელობამ კლუბს ამბიციური მიზნები დაუსახა. "ვალენსიამ" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოლოს და თუ შესაძლებელი გახდება, თავად ჩემპიონობაზეც არ უნდა თქვას უარი. ერთია სურვილი და მეორე, რეალური შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ამას კლუბის ახალი პრეზიდენტი **ხუან ვილიალონგა** კარგად აცნობიერებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პრობლემები აღმოიფხვრას. როგორც იცით, "ღამურების" ახალ თავკაცად **უნაი ემერი** დაინიშნა. ახალგაზრდა სპეციალისტს დიდ იმედებს უკავშირებენ და დარწმუნებული არიან, რომ მომავალი სეზონის ბოლოს გულშემატკივრები სულ სხვა შედეგებით მოიწონებენ თავს. თავად ემერიც ოპტიმისტურადაა განწყობილი. გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას კლუბში არსებული სიტუაცია გააცნო:

*"ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ დავიდ ვილიასა და დავიდ სილვას არ გავყიდით. ისინი ჩვენი გუნდის ლიდერები არიან და მათი გასხვისება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. ხელმძღვანელობისგან მყარი პირობა მივიღე, რომ ბიჭებს საკონტრაქტო პირობებს გაუუმჯობესებენ და დაინტერესებულ გუნდებს უარით გაისტუმრებენ. პერსონიფიცირება არ მიყვარს, არც იმას ვამბობ, რომ თავმოყვარე გუნდი ერთ ფეხბურთელზე უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. ვილია შეუცვლელი ფორვარდია. ის მსოფლიო დონის მოთამაშეა და გასაკვირი არ არის, რომ "ვალენსიას" მისი ღირსეული შემცვლელი არ ჰყავს. ერთობლივი ძალისხმევით "ინჩასებს" შარშანდელ წარუმატებელ სეზონს სამუდამოდ დავავიწყებთ. მერწმუნეთ, სექტემბრიდან აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდს იხილავთ. ჩვენ თანამედროვე ფეხბურთს ვითამაშებთ და სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ. ეს არ არის ლიტონი სიტყვები. გუნდში ყველა რგოლი კარგად არის დაბალანსებული. მთავარია, ფეხბურთელებს შესაძლებლობების გამოვლენაში დავეხმარო. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალური შანსი გვაქვს."*

ოპტიმიზმი პრეზიდენტ ხუან ვილიალონგასაც არ აკლია. როგორც უნაი ემერიმ აღნიშნა, "ღამურების" უმაღლესი ხელისუფალი **ვილიას** გაყიდვას არ დაუშვებს. გარდა ამისა, მას კიდევ არაერთი სასიხარულო ინფორმაცია აქვს: *"არ დავმალავ, რომ ფრიად რთული ფინანსური მდგომარეობა დამხვდა. გუნდს ვალები აქვს. დღესაც ძველ თანხებს ვიხდით, მაგრამ დაუღალავი შრომის ფასად სერიოზული სპონსორები ვიპოვეთ. რამდენიმე კომპანია მზადაა "ვალენსიაში" დიდი ინვესტიცია ჩადოს. ახლა მხოლოდ საბოლოო დეტალების შეთანხმებაა საჭირო. იმედია, გაუთვალისწინებელი პრობლემები არ წარმოიქმნება და მრავალწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ. ეს სერიოზულ ფულს მოგვიტანს, ფული კი წარმატების გარანტიაა".*



ვალენსიის ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან სოლერმა (მარჯვნივ) ხელისუფლება ხუან ვილიალონგას გადააბარა

ვარსკვლავი

# ბექჰემს ევროპა მოენატრა




დევიდ ბექჰემი

გუშინ, **დევიდ ბექჰემმა** "ლა გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტებს უმასპინძლა. იტალიელმა კორესპონდენტებმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს და ბექჰემი კითხვებით დაბომბეს. ინგლისელმა ვარსკვლავმა შეძლებისდაგვარად ყველა საკითხზე ისაუბრა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გაგაცნობთ. პირველ რიგში, იმას გეტყვით, რომ ბექსი ოქროს ბურთის ყველაზე რეალურ კანდიდატად **კრისტიანო რონალდოს** მიიჩნევს. თუ რატომ, ამას მისი განცხადებიდან გაიგებთ: *"ჩემი აზრით, დღესდღეობით პორტუგალიელზე კარგად ვერავინ თამაშობს. მართალია, მან ევროპის ჩემპიონატზე სასწაული ვერ მოახდინა, მაგრამ ამით არაფერი მტკიცდება. გაიხსენეთ კრისტიანოს მიერ "მანჩესტერში" ჩატარებული სეზონი. ჩემმა ყოფილმა გუნდმა პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. რონალდოს დამსახურება ამაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული იყო. დარწმუნებული ვარ, ევროპელი ჟურნალისტები სწორედ პორტუგალიელს მიანიჭებენ უპირატესობას. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მეორე და მესამე ადგილებს იკერ კასილიასსა და ფერნანდო ტორესს მივანიჭებდი."*

"ლა გაძეტა დელო სპორტთან" საუბარში ბექჰემმა ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი გაამხილა. ის მსოფლიო დონის ვარსკვლავია და ამერიკულ საფეხბურთო ლიგაში თავს ბოლომდე კომფორტულად ვერ უნდა გრძნობდეს. ასეც არის. დევიდი აპენინელებს გამოუტყდა, რომ ევროპულ ფეხბურთთან განუყრელი ვნება მოენატრა: *"აქ გულშემატკივრები დიდ პატივს მცემენ. ამერიკელები თბილი ხალხია და ყველას ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ დასამალი არ არის, რომ ევროპაში სულ სხვა დონის ფეხბურთს თამაშობენ. იქ გაცილებით მეტი კონკურენცია, დაძაბულობა და ინტრიგაა. ამასთან, გულშემატკივრები ეგრეთ წოდებულ სოკერში გაცილებით უკეთ ერკვევიან. მომენტრა "ოლდ ტრეფორდისა" და "სანტიაგო ბერნაბეუს" ტრიბუნების შეძახილები. თქვენ წარმოიდგინეთ, მოწინააღმდეგის გულშემატკივრების ყიჟინაც კი მენატრება. მიუხედავად ყველაფრისა, ამერიკაში წამოსვლას არ ვნანობ, უბრალოდ, ადამიანურ მომენტებზე გესაუბრებით. ნოსტალგიას ვერავინ გაექცევა."*

ბექჰემისა და "ლა გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტების შეხვედრა **ფაბიო კაპელოზე** საუბრის გარეშე როგორ ჩაივლიდა. ინგლისელმა სამეფო კლუბის ყოფილი მწვრთნელი კომპლიმენტებით აავსო: *"კაპელო საოცარი ადამიანია. მას სწორედ ის ვნება აქვს, რომელიც ამერიკულ ფეხბურთს აკლია. თქვენს თანამემამულეს ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაჭრა შეუძლია. მიხარია, რომ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ასეთი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ჩაიგდო ხელში. ეჭვი არ მეპარება, მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ეროვნული გუნდი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დიდ წარმატებებს მიაღწევს."*

ბოლოს, ბექსმა აღიარა, რომ "მილანში" გადასვლის შანსი ჰქონდა. თურმე "როსონერის" ხელმძღვანელობა მზად იყო საჭირო თანხა გადაეხადა, მაგრამ გარიგება გარკვეული მიზეზების გამო არ შედგა. დევიდი სევდანარევი ღიმილით ამბობს, სერია A-სა და "სან სიროზე" თამაში ძალიან საინტერესო იქნებოდაო.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# ესპანეთი 2018 სავსებით რეალურია

ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტი **ანხელ მარია ვილიარი** ფიფას პრეზიდენტს, **იოზეფ ბლატერს** შეხვდა და ორი საათის განმავლობაში ესაუბრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ესპანური ფეხბურთის მალალჩინოსანი ჟურნალისტების წინაშე წარდგა და საზოგადოებას სასიხარულო ინფორმაცია ამცნო: *"ზეპ ბლატერთან ძალიან ბევრ საინტერესო საკითხზე ვილაპარაკე. განვიხილეთ თანამედროვე ფეხბურთში მიმდინარე ტენდენციები. რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატიც გავიხსენეთ. მაგრამ მე ყველაზე მეტად ერთი საკითხი მაინტერესებდა. ჯერ კიდევ 2 წლის წინ განვაცხადე, რომ ესპანეთს მუნდიალის მასპინძლობა სურს. ჩემი აზრით, ყველა პირობა გაგვაჩნია იმისათვის, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ. ბლატერთან საუბრის შემდეგ ოპტიმიზმით აღვივსე. მასპინძლობის უფლების მოპოვება არ იქნება იოლი, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ბლატერის აზრით, ესპანეთს საკმაოდ კარგი შანსი ექნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, 10 წლის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობაზე მე აღარ ვიმუშავებ, მაგრამ ეს პასუხისმგებლობას არ ამცირებს. იმისათვის, რომ 2018 წლის მსოფლიო პირველობას ვუმასპინძლოთ, ახლა ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ. უახლოეს დღეებში სენიორ ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს შევხვდები. პრემიერთან ყველა საკითხს გავივლი და მის წინადადებებს მოვისმენ. დაზუსტებით ვიცი, რომ ესპანეთის პრემიერმინისტრი ჩვენს წინადადებას აღფრთოვანებით შეხვდა. საპატერო მაქსიმალურ დახმარებას გვპირდება. ტერორისტული აქტების გახშირების გამო გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის უსაფრთხოებას ენიჭება. მთავრობის დახმარების გარეშე ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ თუ ხელისუფლება მხარში დაგვიდგება, ფიფას უსაფრთხოების 100-პროცენტიან გარანტიას მივცემთ."*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**




ზეპ ბლატერი და ანხელ მარია ვილიარი

## ბენიტესი რობი კინის ტრანსფერზე მუშაობს

"ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** თავდამსხმელს ეძებს. მერსისაიდელებმა პიტერ კრაუჩი "პორტსმუთში" გაყიდეს. ვალენსიელებმა **დავიდ ვილიას** სანაცვლოდ 32 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. "ლივერპულმა" მისი შეძენა გადაიფიქრა. სამაგიეროდ, რობი კინის ტრანსფერზე დაიწყო ფიქრი. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, "ტოტენჰემი" მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა. ინფორმაცია ფინანსური დეტალების თაობაზე არ გავრცელებულა. გუშინ ბენიტესმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ვიცით, რომ ვილია ძალიან კარგი ფეხბურთელია. ვიცით ისიც, რომ დავიდი ძალიან ძვირი ღირს. მის შეძენას ვაპირებდით, მაგრამ როდესაც ფასი გავიგეთ და როდესაც ჩვენს შემადგენლობას გადავავლეთ თვალი, დავრწმუნდით, რომ შეგვიძლია, უფრო იაფადაც გავიდეთ ფონს. ამ ეტაპზე ვილია ჩვენს სიაში აღარ არის. რობი კინი? ის ერთი-ერთი კანდიდატია. სხვა ვარიანტებსაც განვიხილავთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები."*

ამასობაში, "ლივერპულმა" "ნიუკასლში" გაყიდა ახალგაზრდა ნახევარმცველი **დენი გუტრი**. გუტრი მერსისაიდელთა საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. 21 წლის ფეხბურთელმა "ლივერპულის" შემადგენლობაში მხოლოდ შვიდჯერ ითამაშა. გასულ სეზონში ის "ბოლტონში" იყო განათხოვრებული. ბოლტონელებმა პრემიერლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნეს. გუტრიმ ჯორდებთან კონტრაქტის პერსონალური დეტალები უკვე შეათანხმა. სააგენტოები არაფერს იუწყებიან იმის შესახებ, თუ რა თანხას გადაიხდის "ნიუკასლი". დენი გუტრი ნიუკასლელთა თავკაცის, **კევინ კიგანის** მეორე შენაძენია. მან "მალიორკის" არგენტინელი ნახევარმცველი **ხონას გუტიერესიც** წაიყვანა.

## ნასრი, ოფიციალურად არსენალელი

**სამირ ნასრი** არსენალელია. გუშინ ფეხბურთელი ლონდონში ჩაფრინდა და კონტრაქტის პერსონალური დეტალები განიხილა. "მეთოფეებს" ტრანსფერის დეტალები არ გაუხმაურებიათ. კლუბის პრესსამსახურმა მხოლოდ ის გვაუწყა, რომ 21 წლის ნახევარმცველი ხანგრძლივ კონტრაქტზე მოაწერს ხელს და სოლიდურ ხელფასს გადაუხდიან. **არსენ ვენგერმა** გარიგების სრულყოფის გამო კმაყოფილება ვერ დამალა: *"სამირ ნასრი ახალგაზრდა, სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელია. მარსელში მის მოღვაწეობას დიდი გულისყურით ვადევნებდით თვალს. დავრწმუნდით, რომ ფეხბურთელს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია."*

ნასრი "არსენალის" შემადგენლობაში პირველ ვარჯიშს 21 ივლისს ჩაატარებს. მას საფრანგეთის ნაკრებში 12-ჯერ ითამაშა. სამირი ევროპის ჩემპიონატზეც იმყოფებოდა. გუნდმა ტურნირზე უსახურად ითამაშა და ჯგუფური ეტაპიც ვერ გადალახა. ნასრიმ ორ შეხვედრაში იასპარეზა და ორჯერვე შეცვლაზე. აი, მისი კომენტარი: *"ეს ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია. "არსენალი" დიდი კლუბია. მასთან კონტრაქტის გაფორმება ბევრს ნიშნავს. მიხარია, რომ ლონდონში ვარ. შევეცდები, "არსენალის" იმედები გავამართლო."* ფრანგი მიმომხილველების ვარაუდით, ნასრი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. "მარსელს" კი 16.8 მილიონ ევროს გადაუხდიან.

## ბლაჟევიჩი ბოსნიაში დაინიშნა

ბოსნიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ხორვატი სპეციალისტი **მიროსლავ ბლაჟევიჩი** დაინიშნა. ბლაჟევიჩი ბოსნიაშია დაბადებული. ის ბოსნიელთა გუნდში **მეხო კოდროს** შეცვლის. ეს უკანასკნელი მაისში, სულ რაღაც ოთხთვიანი მოღვაწეობის შემდეგ გაათავისუფლეს. კოდრომ ირანთან ამხანაგური მატჩის დანიშვნა გააპროტესტა. მან თქვა, რომ მეტოქის ვინაობა მასთან არ შეუთანხმებიათ. ამიტომ ირანელთა წინააღმდეგ ნაკრების მომზადებაზე უარი განაცხადა. ბლაჟევიჩს ხორვატიის გარდა, ირანის ნაკრებშიც უმუშავია. მის გარდა, ბოსნიელები სხვა კანდიდატურებსაც განიხილავდნენ, მაგრამ საბოლოოდ უპირატესობა 73 წლის სპეციალისტს მიანიჭეს. მისი დებიუტი 20 აგვისტოს ბულგარეთთან ამხანაგური მატჩისას შედგება.

## მეჰმეთ აურელიო ბეტისს დარჩა

"ბეტისის" ხელმძღვანელობის ტანჯვას წერტილი დაესვა. ანდალუსიური კლუბი **მეჰმეთ აურელიოს** შესაძენად ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა. ესპანურ კლუბს ნატურალიზებული თურქის გადაბირება ძალიან გაუჭირდა. თუმცა, გუშინ, აურელიო ანდალუსიის დედაქალაქში ჩავიდა და "ბეტისთან" კონტრაქტი გააფორმა. ესპანეთში მას აგენტი **ბაირამ თუთუმლუ** ჩაჰყვა და კონტრაქტის საბოლოო ვარიანტს გაეცნო. მენეჯერმა კლიენტი დაამშვიდა და უთხრა, შეგიძლია დოკუმენტს ხელი მოაწეროო. აურელიო "მანუელ ლუის დე ლოპერაზე" მომდევნო ოთხ სეზონს გაატარებს. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. არც ის ვიცით, აურელიო ყოველწლიურად რამდენს გამოიმუშავებს. თუმცა, რადგან ხელშეკრულება გააფორმა, ესე იგი პირობები აკმაყოფილებდა. ოფიციალური ცერემონიის დასრულებისთანავე მეჰმეთი აეროპორტში წავიდა და ბრაზილიაში გაფრინდა. "ბეტისის" ხელმძღვანელობას მან პირობა მისცა, რომ ანდალუსიაში 24 ივლისს დაბრუნდება და პრეტემპორადას სრულფასოვნად ჩაატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოლკერ ფინკე: უნდა დავრწმუნდეთ,



ფრაიბურგის" ყოფილმა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ რომ საქართველოს ნაკრები შეიძლება ჩაიბაროს, ახალი ამბავი არაა. ის ერთ-ერთი კანდიდატია. ქართული ფეხბურთის მესვეურთა სურვილია, მოლაპარაკებების პარალელურად, ყველა პოტენციურ კანდიდატს გააცნოს ქართული გარემო. სწორედ ამ მიზნით გვეწვია ფინკე და ამიტომაც აპირებს ჩამოსვლას "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი ავრამ გრანტიც. მანამდე კი ფინკეს ვიზიტის შესახებ...

## ნაკრებში ფეხბურთელი კი არ უნდა მოდიოდეს, უნდა მოფრინავდეს...

ფინკე ახლაც "მეტეხშია" დაბინავებული, თუმცა ამჯერზე ტაქსი არ დასჭირვებია. გერმანელი მწვრთნელის გუშინდელი დღე საკმაოდ დატვირთული იყო. ინფრასტრუქტურის გაცნობა სტუმარმა ეროვნული სტადიონიდან დაიწყო. ქვეყნის მთავარ არენას ის 11 საათზე, ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცთან** და ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძესთან** ერთად ეწვია. მათ იქ სტადიონის ხელმძღვანელი **ირაკლი მეძმარიაშვილი** დახვდა. მოედანი, გასახდელები, საპრესკონფერენციო დარბაზი... ფინკემ ყველაფერი გულდასმით დაათვალიერა, კითხვებიც დასვა. კითხვები ჩვენც გვქონდა და ამისთვისაც მოიცალა.

- თქვენს ფეხბურთელებს, და საერთოდ, ქართულ ფეხბურთს, კარგად ვიცნობ. ჩემი ვიზიტი გაცნობითი ხასიათისაა. მინდა, საკუთარი თვალით ვნახო ის გარემო და ინფრასტრუქტურა, სადაც, შესაძლოა, მუშაობა მომიწიოს. ქართულ მხარეს უკვე მესამედ ვხვდები. ამ შეხვედრების მიზანი ისაა, დავრწმუნდეთ, თუ რამდენად რეალური შეიძლება იყოს ჩვენი თანამშრომლობა. ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად ჩავთვალე, თბილისში ჩამოვსულიყავი და ყველაფერი ადგილზე მენახა. აქაც გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს.

**- შეიძლება, ჩაითვალოს, რომ ეს მოლაპარაკებათა ბოლო ეტაპია?**

- ჩვენ ამ საკითხს პროფესიული თვალსაზრისით ვუდგებით. ასეთ შემთხვევაში კი, დასკვნის გამოტანა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყველა დეტალი შეთანხმებულია. თავად ის ფაქტი, რომ თბილისში ვარ, ჩემს ინტერესსა და დადებით განწყობაზე მეტყველებს. შესაბამისად, სერიოზულად განვიხილავ შესაძლებლობას, გავხდე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

**- რამ შეიძლება შეაფერხოს ან საერთოდ ჩაშალოს ეს გარიგება?**

- ახლა, სწორედ იმაზე ვმუშაობთ, რომ ორივე მხარე 100 პროცენტით ვიყოთ დარწმუნებული თანამშრომლობის მიზანშეწონილობაში. ფეხბურთში გარკვეული საიდუმლოებები არსებობს, რომლებზეც საჯაროდ საუბარი გამართლებულად არ მიმაჩნია. მთავარია ნდობა, სწორი მიდგომა და ყველა პირობა იყოს მუშაობისთვის. გარანტია უნდა მქონდეს, რომ ფეხბურთელებს ხმას მივაწვდენ.

**- თბილისში ჩამოსვლამდე თუ გქონდათ კონსულტაცია საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან?**

- სხვა უცხოელ მწვრთნელებს შორის, ალბათ, გამონაკლისი ვარ, ვინც ბევრი რამ იცის ქართული ფეხბურთის შესახებ. "ფრაიბურგში" მუშაობისას, წლების განმავლობაში, არაერთ ქართველ ფეხბურთელს ვწვრთნიდი. ყოველთვის ვცდილობდი, ქართველი მოთამაშის ხასიათს ჩავწვდომოდი. ასე რომ, დღეს ამაზე გარკვეული წარმოდგენა უკვე მაქვს.

**- განვლილ შესარჩევ ციკლში თუ ნახეთ საქართველოს ნაკრების მატჩები და რამდენად იცნობთ ჩვენს ახლანდელ გუნდს?**

- თქვენს ნაკრებს კარგად ვიცნობ. თუ საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელი გავხდები, ბევრი საზრუნავი მექნება, სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებს შორის ბალანსის მოსაძებნად. ჩემი აზრით, ეს ურთულესი ამოცანა იქნება, მაგრამ მწვრთნელისთვის გამოწვევაც ესაა...

**- "ფრაიბურგში" მთელი ეპოქა შექმენით, მაგრამ სანაკრებო დონეზე არასდროს გიმუშავიათ. როგორ გესახებათ ამ ამპლუაში მუშაობა?**

- ეს სულ სხვა სამყაროა, სხვა სპეციფიკაა. ნაკრების მწვრთნელს მხოლოდ რამდენიმე დღით ჰყავს ფეხბურთელები. ეროვნულ გუნდში ფეხბურთელის ჩამოსვლა არავითარ შემთხვევაში ვალდებულება არ უნდა იყოს, პირიქით, მოთამაშეები სიხარულით უნდა მოდიოდნენ, უნდა მოფრინავდნენ... ფეხბურთელები უნდა გრძნობდნენ, რომ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მათ მუდმივად აკონტროლებს. "ფრაიბურგში" მუშაობისას, ჩემს გუნდში სხვადასხვა ნაკრების ფეხბურთელები თამაშობდნენ. მათ მწვრთნელებს ჩემთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ. ამგვარი ურთიერთობა აუცილებელია. მთავარია, ფეხბურთელები კლუბისა და ნაკრების მწვრთნელებს შორის წნეხში არ მოყვნენ. საჭიროების შემთხვევაში, კომპრომისზე ორივე მხარე უნდა წავიდეს და ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ფეხბურთმა და თავად ფეხბურთელმა არ იზარალოს.

**- თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვითხარით თქვენს საფეხბურთო ფილოსოფიაზე...**

- "ფრაიბურგი" ორ საფუძველს ეყრდნობოდა: ბურთის კონტროლი და ტექნიკური, კომბინაციური თამაში მოკლე პასებით. გუნდში ქართველებისა და ტუნისელების ჯგუფი მყავდა. შეტევა აზარტულია და არ უნდა დაგავიწყდეს, რომ შენ გარდა, მოედანზე მეტოქეც თამაშობს. ის თავისას ცდილობს და ამიტომ, დაცვაზეც უნდა იზრუნო.

**- უცხოელი მწვრთნელები საქართველოში ხშირად აწყდებიან ქართული ხასიათის, მენტალიტეტის პრობლემას. ალბათ, ამ ფაქტორსაც გაითვალისწინებთ.**

- (იცინის) ამ საკითხში უკვე საკმაოდ გარკვეული ვარ. კარგად ვიცნობ თქვენი ფეხბურთელების მენტალიტეტს. მაგალითად, კობიაშვილი ტექნიკური ფეხბურთელია, მაგრამ აგრესიული თამაშიც შეუძლია და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია კიდეც.

**- ბარემ ალექსანდრე იაშვილზეც ვთქვათ, რომელიც ქართველებიდან პირველი წაიყვანეთ "ფრაიბურგში".**

- იაშვილი კარგი ფეხბურთელია. მას

## აეროპორტიდან სასტუმრო მეტეხამდე ტაქსი 100 დოლარი ღირს?

**ფოლკერ ფინკე** ქართველი ფეხბურთელებისადმი სიმპათიებს არასოდეს მალავდა. ამის დასტური იყო, რომ გუნდში არაერთი ჩვენებური ჰყავდა: **ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე...**

ადრეც, ორ-სამჯერ ყოფილა საქართველოში. დიახ, საქართველოში და არა მხოლოდ თბილისში. ის ჩვენი ეროვნული გუნდის საშინაო მატჩებსაც დასწრებია. ამ ვიზიტებისას, ჰერ ფოლკერი ჩვენს კულტურასა და ისტორიასაც გაეცნო, შეძლებისდაგვარად, რა თქმა უნდა... თუმცა ერთხელ გულდაწყვეტილი გაფრინდა თბილისიდან. ტაქსიში მომხდარი ამბავი, წლების წინათ, თავადვე გამიმხილა.

. საქართველო-იტალიის (2001 წელს 1:2 რომ წავაგეთ) მატჩის წინა დღეს ფინკე თბილისში ჩამოფრინდა. მაშინაც "მეტეხში" დაბინავდა. მისი ჩამოსვლის ამბავი ადრევე ვიცოდი და სასტუმროს ფოიეში შეხვედრაზე შევუთანხმდი. ინტერვიუს დაწყებამდე, ფინკემ მკითხა - სანამ კითხვებს დამისვამ, ერთ რამეში გამარკვიეო. რა გაინტერესებთ-მეთქი, ვკითხე:

- როგორ ფიქრობთ? თბილისის აეროპორტიდან "მეტეხამდე" ტაქსის რა თანხა ეყოფა?

- მაქსიმუმ 20 დოლარი, - მივუგე.

- მართლა? მართლა ასე იაფია? - გაოცდა.

- დიახ. რატომ მეკითხებით?

- გამთენიისას ჩამოვფრინდი და ერთმა ტაქსისტმა, სასტუმროში რომ მიმიყვანა, 100 დოლარი მომთხოვა... რალას ვიზამდი, გადავუხადე...

ეს ნამდვილი ამბავია. კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომ ერთმანეთს ვჭირდებით









**თუ მწვრთნელად დავინიშნე, სხვადასხვა თაობის სინთეზს გავაკეთებ**

სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში. გუნდში ნამდვილად საჭირო ფიგურაა. ახლახან დასრულებულმა ევროპის ჩემპიონატმაც აჩვენა, რომ მხოლოდ ტანმაღალ მოთამაშეებს არ შეუძლიათ დიდი ფეხბურთის თამაში.

**- "ფრაიბურგი" და საქართველო ბევრით ჰგავს ერთმანეთს. ორივე პატარაა და არც თუ დიდი შესაძლებლობები გააჩნია. "ფრაიბურგში" მუშაობისას არაერთხელ "გაისროლეთ" კიდეც. შეძლებთ საქართველოდანაც შესთავაზოთ მეტოქეებს სიურპრიზები?**

- (იცინის) როცა მუშაობას დავიწყებ, სჯობს, ამაზე მერე ვისაუბროთ.

## ფრაიბურგში, ჩვენს მოედანზე, ამერიკულ ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, საფარს ვცვლიდით...

ფინკე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოედნის საფარს. თავის დროზე, მასთან მოთამაშე ჩვენი ფეხბურთელებისგან მსმენია, ჰერ ფოლკერმა ლევერკუზენიდან მინდვრის სპეციალისტი ჩამოიყვანაო. კლუბისთვის ეს იაფი სიამოვნება ნამდვილად არ იყო, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ის თანხა ტყუილად არ გადაუყრიათ.

ეროვნული სტადიონის მონახულების შემდეგ, ფინკემ და მისმა მასპინძლებმა საგურამოს ბაზას მიაშურეს. იქ მათ ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** დახვდათ. გერმანელ მწვრთნელს მოედნის საფარი ძალიან მოეწონა - თითქმის იგივეა, რაც ფრაიბურგშიო. როცა სტუმარმა გაიგო, რომ ეროვნულ სტადიონზე საფეხბურთოს გარდა მორაგბეთა ნაკრებიც თამაშობს, გაოცდა - ფრაიბურგში, ჩვენს სავარჯიშო მოედანზე, ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეები სავარჯიშოდ იშვიათად, მაგრამ მაინც შემოდიოდნენ, მათი ვარჯიშის შემდეგ კი მოედნის საფარი გამოსაცვლელი იყოო.

საგურამოს შემდეგ, სტუმარ-მასპინძელი ტექნიკურ ცენტრ "ბასას" ეწვია. ფინკემ იქაც ყველაფერი დეტალურად დაათვალიერა. საპრესკონფერენციო და სატრენაჟორო დარბაზები, აუზი, საუნაშიც შეიხედა, საცხოვრებელი ნომრებიც ნახა და მზარეულ ქალებსაც თბილად გამოელაპარაკა, მერე იქვე, ბაზაზე, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფი 16-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებს მიესალმა და მათ თავკაც **გიორგი დევდარიანს** წარმატებები უსურვა.

"ბასადან" წამოსვლამდე, ფინკემ მის სიახლოვეს გაშენებულ ხეივანშიც გაისეირნა. იქ სარბენი ბილიკის გაკეთებაა დაგეგმილი...

## სეგრტიც არ უნდა დაგვავიწყდეს

სამწვრთნელო საკითხებზე, იქვე მყოფ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცსაც** ვკითხეთ...

- ფინკესა და გრანტთან ერთად, სეგრტიც არ უნდა დაგვავიწყდეს. გამგზავრებამდე, ფინკესთან კიდევ გვექნება საუბარი. ყველა კანდიდატთან ვიმსჯელებთ შესაძლო თანამშრომლობის პირობებზე და მერე საკითხს აღმასკომზე გავიტანთ. საბოლოო გადაწყვეტილებასაც სწორედ აღმასკომი მიიღებს.

**- გრანტი როდისღა ჩამოვა?**

- ძალიან გვინდა, რომ ჩამოვიდეს. საერთოდ, უკეთესია, თუკი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატები სიტუაციას ადგილზე გაეცნობიან.

"ბასას" შემდეგ, ფინკე სადილზე მიიპატიჟეს. მერე, სტუმარმა მცირე ხნით მოისვენა, საღამოს 7 საათზე კი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების დასკვნითი რაუნდი შედგა, ხოლო 9 საათის შემდეგ ფინკემ საღამო ფრაიბურგელ ქართველებთან ერთად გაატარა.

**დავით ცაბაძე**
ავტორის ფოტოები

სახელგანთქმული მსაჯი

# დოქტორი მარკუს მერკი

## შვიდი შემთხვევა საექიმო პრაქტიკიდან



ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე მარკუს მერკს დიდი ფეხბურთიდან აცილებს

რაინლანდპფალცელი მარკუს მერკი 1962 წლის 15 მარტს, კაიზერსლაუტერნში დაიბადა. შეგვეძლო, ასევე მშრალად მოგვეთხრო თქვენთვის მისი ბიოგრაფიის დეტალები, მაგრამ არ იკმარებს. ეს ადამიანი არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა სამსაჯო სამყაროში. სხვანაირი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, როცა თვალს გადაავლებ მის კარიერას: მერკი ფიფას მიერ 2004, 2005 და 2007 წლებში დასახელებულია წლის არბიტრად, ხოლო გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ის ექვსჯერ - 1995, 1996, 2000, 2003, 2004 და 2006 წლებში აღიარა საუკეთესოდ.

ჰერ მარკუსი რეკორდსმენია ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით. განსაკუთრებული დამსახურებებისთვის ის დაჯილდოებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღირსების ორდენით. აღსანიშნავია, რომ ბუნდესმიწები ასეთ ორდენს თავადაც გასცემენ, მაგრამ მარკუს მერკს თვით ფედერალურმა მთავრობამ დასდო პატივი, თუმცა უშუალოდ, ჯილდოს გადაცემის პატივი მაინც რაინლანდელ პოლიტიკოსს ხვდა.

მარკუს მერკს ყველა დოქტორ მერკს უწოდებდა. მოგეხსენებათ, ის განათლებით დანტისტია და საექიმო პრაქტიკა, რიგ გარემოებათა გამო, მხოლოდ 2005 წელს შეწყვიტა. მოდით, ერთად გავიხსენოთ მერკის კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები.

### ინტერი–მილანი 0:1. შეწყდა

**სერია A-ს 2004-05 წლების სეზონი**

**მარკუს მერკზე** ყოველთვის ამბობდნენ, რომ ის ხასიათის სიმტკიცეს არასდროს უჩიოდა. მართალსაც ამბობდნენ. მისი ეს თვისება სწორედ ხსენებულ მატჩში დადასტურდა. ალბათ, გახსოვთ, რა აჟიოტაჟი უძღოდა წინ საევროთასო მილანურ დერბის. მილანური დერბი განსაკუთრებული მოვლენაა, მით უფრო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. პირველ მატჩში "როსონერიმ" 2:0 გაიმარჯვა და შემდგომი ეტაპზე გასვლა, პრაქტიკულად, გაინაღდა.

განმეორებით შეხვედრაში, რაც დრო გადიოდა, მასპინძლების მდგომარეობა გამოუვალი ხდებოდა, ფანებში კი დუღილის ტემპერატურა მატულობდა. "მილანმა" ცეცხლზე ნავთი დაასხა და ანგარიში გახსნა. სტადიონს ასაფეთქებლად მცირე მიზეზიღა უნდოდა და აი, ისიც — მატჩის 72-ე წუთზე მერკმა არგენტინელი **ესტებან კამბიასოს** გოლი გააუქმა. მორჩა. ვინლა დაგიდევდათ მიზეზს. ულტრასები აფეთქდნენ და მოედანზე დიდი თუ პატარა საგნების სროლა დაიწყეს. ერთ-ერთი ასეთი საგანი მეკარე **დიდას** მხარში მოხვდა. ექიმების მიერ ბრაზილიელისთვის დახმარების გაწევის შემდეგაც სიტუაცია უფრო დაიძაბა.

მერკმა მიიღო ის გადაწყვეტილება, რასაც მისი კოლეგები ასე უფრთხიან ხოლმე: მატჩი დროებით შეწყვიტა. გუნდებმა მცირე ხანი გასახდელებში გაატარეს და მატჩის გაგრძელება სცადეს, თუმცა ხელახლა ფრონტის ხაზზე აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ თამაში საბოლოოდ შეწყდა. უეფამ "ინტერს" 3:0 წაგება ჩაუთვალა. თამაშის შემდეგ კიდევ დიდი ხანი იტალიელი ვაიგულშემატკივრები მზად იყვნენ, მერკის ტელეფონის ნომრის, ელექტრონული ფოსტისა, თუ უშუალოდ მის მშობლიურ ქალაქ ოტერბახში მისამართის შეტყობის სანაცვლოდ დიდი ფული გადაეხადათ. მიზანი ალბათ, გასაგებია - პირადი ანგარიშსწორება. საერთოდ ამ წლის ჩემპიონთალიგურმა კამპანიამ უხვად დაგვასაჩუქრა ასეთი სკანდალებით. გეხსომებათ, რომაელმა ფანებმა შვედ არბიტრ **ანდერს ფრისკს** თავში ლითონის მონეტა მოარტყეს და საბოლოო ჯამში, აიძულეს, რომ კარიერა დაესრულებინა.

### პორტუგალია–სერბეთი 1:1

**ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი**

სამსაჯო კარიერის დასრულების შემდეგ, მერკი ალბათ, გაიხსენებს ყველაზე უცნაურ მატჩებს, რაც ოდესმე განუსჯია. ვფიქრობთ, ის ამ თამაშსაც აუცილებლად დაასახელებს. შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სერბმა **ბრანისლავ ივანოვიჩმა** ანგარიში გაათანაბრა. რამ მოუარა თავში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** და რატომ გადაწყვიტა საფეხბურთო მატჩისას მუშტი-კრივით გაერჩია მტყუან-მართალი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ბრაზილიელი მწვრთნელი **ივიცა დრაგუტინოვიჩს** მოკრივის ილეთით გაუსწორდა. ამას კიდევ უფრო არასპორტული საქციელი მოჰყვა: ბრაზილიელი საკუთარი შეგირდების ზურგს უკან დაიმალა და "მოწინააღმდეგეს" შელახული თავმოყვარეობის რეაბილიტაციის საშუალება წაართვა.

თამაშის შემდეგ სკოლარიმ გადაწყვიტა, რომ საზოგადოებისთვის თვალებში ნაცარი შეეყარა და განაცხადა, რომ ის დრაგუტინოვიჩისგან **რიკარდო კვარეშმას** დაცვას ცდილობდა. არადა, ვიდეოჩანაწერი სულ სხვა რამეში გვარწმუნებდა. გასაგებია, რომ ჩანაწერის ნახვის საშუალება მერკს არ ჰქონია. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მან მოედნიდან მხოლოდ საბრალო სერბი გააძევა, რადგან საკუთარი თვალით ორთაბრძოლის მხოლოდ ის მონაკვეთი იხილა, როცა ბალკანელს სკოლარიზე კონტრიერიში მიჰქონდა.

მარტო სერბის დასჯამ საფეხბურთო საზოგადოების უმწვავესი კრიტიკა გამოიწვია. თუმცა გერმანელის მდგომარეობაში შესვლა ძნელი არაა. როგორი დასაჯერებელია ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, სამხრეთამერიკული ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული მწვრთნელი ამას იკადრებდა? **ნემანია ვიდიჩმა** განაცხადა, რომ ის აღშფოთებული იყო მსაჯის მოქმედებით და მეორედ ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში მასობრივი ჩხუბის ორგანიზებით დაიმუქრა.

### ჰამბურგი–ბაიერნი 1:1

**2000-01 წლების სეზონი, ბუნდესლიგის 34-ე ტური**

მას ბუნდესლიგის ერთი ლეგენდარული მატჩიც აქვს განსჯილი. ლაპარაკია თამაშზე, რომელმაც გერმანიის ჩემპიონატების ისტორიაში, ალბათ, ყველაზე დრამატული ჩემპიონი შვა. სიტუაცია შემდეგნაირად განვითარდა. 33-ე ტურის შემდეგ "ბაიერნსა" და "შალკეს" შორის სხვაობა სამ ქულას შეადგენდა. უკანასკნელ ტურში ბავარიელებს ჩემპიონობისთვის ქულაღა სჭირდებოდათ. ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. სასურველი სცენარი მხოლოდ მატჩის 90-ე წუთზე დაირღვა, ბოსნიელმა **სერგეი ბარბარესმა** თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ჩემპიონობის გადასარჩენად რეკორდმაისტერს დამატებული სამი წუთი რჩებოდა.

უკანასკნელ წამებზე მცველის მიერ მეკარისთვის დაგორებული ბურთი მეკარე **მათიას შობერმა** ხელში აიღო. მერკმა ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო და თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ნერვები ყველას დაწყვეტაზე აქვს. მასპინძელთა პროტესტს რკინის ნერვების პატრონი ექიმი, რა თქმა უნდა, მშვიდად ხვდება. შვედმა **პატრიკ ანდერსონმა** ანგარიში გაათანაბრა, 1:1. ბავარიელებმა მსაჯს გაბედული ნაბიჯისთვის მოკრძალებული მადლობა უთხრეს, ხოლო გელზენკირხენელთა გულშემატკივრებმა მერკი სამუდამოდ შეიძულეს. იმდენად ძლიერად, რომ მას მერე დოქტორ მერკს "შალკეს" საშინაო მატჩი ერთხელაც არ განუსჯია. ამხელა რისკზე წასვლა არ ღირდა.

მხოლოდ აქა-იქ გაჟღერდა მოსაზრება, რომ მერკი შეცდა, რომ "ასეთი საჯარიმო დარტყმები, ასეთ დროს არ ინიშნება". წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, მერკმა იდეალურად გაართვა თავი საკუთარ მოვალეობებს. სწორედ ასეთი თამამი გადაწყვეტილებებისთვის იმსახურებს ეს ადამიანი აპლოდისმენტებს.

### ვერდერი–დორტმუნდი 2:0

**2007-08 წლების სეზონი, ბუნდესლიგის 22-ე ტური**

ერთი შეხედვით, ეს იყო ჩვეულებრივი მატჩი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდსა და აუტსაიდერად ქცეულ პოპულარულ კლუბს შორის, თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით. განსაკუთრებულის სტატუსი მას სწორედ მარკუს მერკის თვალსაჩინო შეცდომამ, მისმა აღიარებითმა ჩვენებამ და შემდგომმა განცხადებამ შესძინა.

ბრემენელმა **მარკუს როზენბერგმა** ორიდან ერთი გოლი 100-პროცენტიანი თამაშგარიდან გაიტანა. მატჩის შემდეგ მერკმა განაცხადა: მივხვდი, რომ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე უსუსური შეცდომა დავუშვიო, მაგრამ უკან დახევა ძალიან გვიანი იყო. ამიტომ თამაში ცენტრიდან განახლდა. ისედაც გაჭირვებული დორტმუნდელების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია.

იმავე საღამოს მერკმა კატეგორიული განცხადება გააკეთა - ფეხბურთი ისეთი სწრაფი სპორტი გახდა, რომ დროა, ვიდეოგამეორებები დაინერგოსო. მოგეხსენებათ, ფიფა იდეას ყველანაირად ეწინააღმდეგება.

### განა–აშშ 2:1

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი**

ჩემპიონატის დაწყებამდე, დოქტორს ფინალის განსჯის უმთავრეს კანდიდატად ასახელებდნენ (ბუნებრივია, თუკი ფინალში გერმანიის ნაკრები არ გავიდოდა). თავად მერკი ასე არ მიიჩნევდა და აი, რატომ:

დაეჭვების პირველი მიზეზი, მისი უნგრელი კოლეგის მაგალითი იყო: შანდორ პულმა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი შესანიშნავად იმსაჯა. ის ორი წლის შემდეგაც არანაკლებ ფორმაში გახლდათ, მაგრამ ევრო 96-ის ფინალის განსჯა იტალიელ **პიერლუიჯი პაირეტოს** ანდეს. პულის მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მერკს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი ჰქონდა ნამსაჯი და ძნელად წარმოსადგენი იყო, ორი წლის შემდეგ, ის მეორე საფეხბურთო ფორუმის ფინალშიც გვეხილა.

ჰერ მარკუსს გერმანიის ფინალში გასვლა სურდა. მისმა საყვარელმა გუნდმა თითქმის მიაღწია მიზანს, მაგრამ ნახევარფინალის დამატებულ დროში იტალიასთან დამარცხდა. თავად მერკს კი არათუ ფინალის, პლეი ოფის არც ერთი თამაში არ განუსჯია. მიზეზი ჯგუფურ ეტაპზე, განისა და ამერიკის ნაკრებების მატჩში დანიშნული საეჭვო პენალტი გახლდათ. მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს და ტურნირიდან ნაადრევად დაითხოვეს. მოგვიანებით, მერკმა ეს შემთხვევა ასე შეაფასა: მე ცხოვრების ორი კვირა მომპარესო.

### მილანი–იუვენტუსი 0:0 პენ 3:2

**2002-03 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალი**

ჯერ კიდევ ზემოთ აღწერილ მილანურ დერბიმდე, მარკუსმა არანაკლები პასუხისმგებლობა იტვირთა და ჩემპიონთა ლიგის ფინალში, იტალიურ დერბის გაუძღვა. თამაშმა სრულად გაამართლა იტალიური ხასიათი. დაცვაზე კონცენტრაცია, სწრაფი კონტრიერიშები და მინიმალური ოდენობის მომენტები. პირველ ტაიმში, მერკმა **ანდრეი შევჩენკოს** გოლი გააუქმა. მან მიზეზად ის დაასახელა, რომ **რუი კოშტა** თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა და **ჯანლუიჯი ბუფონს** ხედვის არეს უმცირებდა. გერმანელის ოპონენტები ამტკიცებდნენ - მილანელთა პლეიმეიქერი მეკარესთან დიახაც უფრო ახლოს იყო, ვიდრე უკანასკნელი ტურინელი მცველი, მაგრამ პასი მისი მიმართულებით არ გაკეთებულა და საერთოდაც, პორტუგალიელი ბურთის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდა, რაც თამაშგარიდან გამოსვლის აშკარა მცდელობა გახლდათო. ასეთი მომენტები, მხოლოდ და მხოლოდ, მსაჯის განსჯას ექვემდებარება და ძნელია მერკს შეეკამათო. მან ხსენებული ეპიზოდი ასე განსაჯა.

### პორტუგალია–საბერძნეთი 0:1

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი**

მარკუს მერკი კარიერის უმთავრეს თამაშს ისე გაუძღვა, რომ პრეტენზია არავის გასჩენია.

*პ.ს. სიმბოლურია, რომ 2008 წლის 17 მაისს, მიუნხენის "ალიანს არენაზე" გერმანელებმა სამი ვეება პერსონა გააცილეს. გენერალმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** სამუდამოდ დატოვა საკლუბო ფეხბურთი და პენსიაზე გასვლამდე, შვეიცარიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ტიტანმა **ოლივერ კანმა** დაასრულა მოთამაშის კარიერა და ახლა დიდი ხნით დასვენებას გეგმავს. დოქტორმა მარკუს მერკმაც იმ დღეს ინება უკანასკნელი თამაშის გაძღოლა. ამაღელვებელი იყო მომენტი, როცა მოედნიდან გასვლის წინ "ტიტანი" ოლი კანი მერკს გადაეხვია და თბილად დაემშვიდობა.*

*იმ საღამოს ფეხბურთი, ალბათ, ცოტათი მაინც გალარიბდა...*

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ვარსკვლავი

# რობი ფაულერი დაბრუნდა

## ლივერპულის ყოფილი ვარსკვლავი ერთი წელიწადი ბლექბერნში ითამაშებს

**რობი ფაულერი** პრემიერლიგაში ბრუნდება. "ბლექბერნმა" ვეტერან თავდამსხმელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. 33 წლის ფეხბურთელი "ივუდ პარკზე" მომავალ ზაფხულამდე დარჩება. წარმატების შემთხვევაში, მის ხელშეკრულებას კიდევ ერთი წლით გააგრძელებენ. ფაულერმა შარშანდელი სეზონი კარდიფ სიტიში გაატარა. "კარდიფი" ინგლისის ასოციაციის თასის აღმოჩენად იქცა. მან ფინალში გააღწია და "პორტსმუთთან" მინიმალური ანგარიშით წააგო.

ფაულერი უელსურ კოლექტივში გასულ ზაფხულს გადავიდა. მის სანაცვლოდ ერთი პენსიც არ გადაუხდიათ, რადგან რობის "ლივერპულთან" კონტრაქტი ჰქონდა ამოწურული. მერსისაიდელებმა კი თანამშრომლობის გაგრძელება არ შესთავაზეს. ფაულერს სერიოზული ტრავმის გამო, დეკემბრის შუა რიცხვების შემდეგ არ უთამაშია. იქამდე მან მხოლოდ 16 შეხვედრის ჩატარება მოასწრო და ექვსი გოლი გაიტანა. კარდიფელებს მისი შენარჩუნება სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა ინგლისური ვარიანტი აირჩია. მისი აგენტის სიტყვებით, რობიმ კარიერა ინგლისის პრემიერლიგაში დაიწყო და ლოგიკურია, რომ იქვე დაამთავრებს.

"ბლექბერნის" ახალი მწვრთნელი **პოლ ინსი** რობის ძველი თანაგუნდელია. ისინი "ლივერპულში" გვერდიგვერდ თამაშობდნენ. ფაულერი მერსისაიდელების ლეგენდად ითვლება. მისი დებიუტი 1993 წელს შედგა. რობიმ "ლივერპულის" შემადგენლობაში 330 თამაში ჩაატარა და 171 გოლი შეაგდო. 2001 წელს, 11 მილიონ გირვანქად ის "ლიდს იუნაიტედში" გადავიდა. 2003 წელს, "ლიდსის" გაკოტრების შემდეგ, "მანჩესტერ სიტიმ" ფორვარდი 6 მილიონ გირვანქად შეიძინა. 2006 წლის იანვარში ფაულერი "ლივერპულში" დაბრუნდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა და ბოლოს "კარდიფში" ამოჰყო თავი. რობის კარიერა დასასრულს უახლოვდება. ბოლო ხანს მას ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ამიტომაც, მიმომხილველების აზრით, არც "ბლექბერნის" ძირითად მოხვედრას უნდა ელოდოს.




რობი ფაულერი

# ლელო წარმოგიდგენთ
# საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

### მეხიკო. XIX ოლიმპიადა
## მეხიკო, მეხიკო...


რომან რურუა



ვიქტორ სანეევი






როგორც წინა წარდგინებაში ვწერდით, 1964 წელს, პირველად, აზიის კონტინენტზე ტოკიოს მიეცა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. მომდევნო ოლიმპიადა კი, ასევე პირველად, ლათინური ამერიკის ქვეყანაში ჩატარდა. ეს იყო მექსიკა და მისი დედაქალაქი მეხიკო.

დაკვირვებული მკითხველი „ლელოს" პუბლიკაციებითაც უთუოდ შენიშნავდა, როგორ პროგრესირდებოდა ოლიმპიური თამაშები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მეხიკოში 1968 წელს უკვე 112 ქვეყნის 5498 რჩეული სპორტსმენი ჩაება სპორტის 19 სახეობაში წარმატებისთვის ბრძოლაში. გათამაშდა მედლების 172 კომპლექტი. მონაწილეთაგან 780 ქალი იყო. ამ თამაშებზე პირველად გამოჩნდა ბევრი ისეთი ქვეყანა, რომლის არსებობა მსოფლიოს ერთმა ნაწილმა მხოლოდ ოლიმპიადის მონაწილეთა ჩამონათვალიდან შეიტყო. პირველად ამ თამაშებზე, უკვე ომისშემდგომ, ორად გახლეჩილ გერმანიას, ცალცალკე მიეცა ოლიმპიადაში ასპარეზობის უფლება. ეს გადაწყვეტილება თამაშებამდე 3 წლით ადრე მიიღო სოკ-ის სესიამ.

ვინაიდან ოლიმპიური თამაშები პირველად ტარდებოდა "ცასა და დედამიწას" შუა, ანუ ზღვის დონიდან 2400 მ. სიმაღლეზე, სპეციალისტები შიშობდნენ, რომ შედეგები ვერ იქნებოდა სპორტსმენთა შესაძლებლობების ადეკვატური. სხვათა შორის, სპორტის ზოგიერთ სახეობაში საბჭოთა ნაკრებმა საქართველოს მაღალმთიან კურორტებზე ამჯობინა ბოლო მოსამზადებელი შეკრების ჩატარება. შიში არ გამართლდა, ჟანგბადიც საკმაო აღმოჩნდა და ჟინიც - დამყარდა 82 ოლიმპიური და 26 მსოფლიო რეკორდი. მარტო მძლეოსნების წილად მოდის 27 ოლიმპიური და 14 მსოფლიო უმაღლესი მიღწევა.

საქართველოდან საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში ადგილი დაიმკვიდრა თოთხმეტმა ათლეტმა. შესანიშნავ სპორტულ კონდიციებში იყო სოხუმელი სამხტომელი **ვიქტორ სანეევი**. იგი თავს რომ არ შეირცხვენდა, ბევრს სჯეროდა. გამართლდა ოპტიმიზმი - ვიქტორ სანეევმა, ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა, თანაც ოლიმპიური რეკორდით. საერთოდ კი, ჩვენების მონაგარი ორ-ორი "ოქრო"-"ვერცხლი"-"ბრინჯაო" იყო. მეორე სპორტსმენი საქართველოდან, ვინც თამაშების უმაღლესი ტიტული მოიპოვა **რომან რურუა** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) გახლდათ. მან შვიდი ორთაბრძოლა ჩაატარა და შვიდივეჯერ გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი. მეორე ადგილზე გავიდნენ **დიტო შანიძე** (ძალოსნობა) და **შოთა ლომიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), მესამე პრიზიორები კი კალათბურთელები **ზურაბ საკანდელიძე** და **სერგეი კოვალენკო** გახდნენ. მეოთხე ადგილი ხვდათ წილად **შოთა ქველიაშვილს** (ტყვიის სროლა), **ომარ ფხაკაძეს** (ველო), **თინათინ ლეკვეიშვილსა** (ცურვა) და **ლუდმილა იევლევას** (მძლეოსნობა). **ზორბეგ ბერიაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) მეხუთე იყო, **ბორის პოლულიახი** (წყალში ხტომა) - მეოცე, **გურამ გუდაშვილი** (მძლეოსნობა) ფინალში ვერ მოხვდა, **იგორ დელა-როსამ** (მძლეოსნობა) შეჯიბრება ვერ დაამთავრა.

მეცხრამეტე ოლიმპიადა მეხიკოში 1968 წლის 12-27 ოქტომბერს ჩატარდა. იმ სახელმწიფოებიდან, ვისი წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ თამაშებში, 69 ქვეყანა დარჩა უმედლოდ. მათგან ტაივანმა და ინდოეთმა მხოლოდ თითო "ბრინჯაო" დაიმსახურა. ოქროს მედლების საზომით თუ მივუდგებით და შევაფასებთ მიღწევებს, დავინახავთ, რომ საქართველო იმ ქვეყნების რიცხვში შევიდოდა, ვისაც ორ-ორი ჩემპიონი ჰყავს და მე-18-23 ადგილებს იყოფს. "ვერცხლით" 22-ე ვიქნებოდით, "ბრინჯაოთი" - 28-ე.

საერთო მონაგრით მეხიკოშიც, ისევე, როგორც ტოკიოში, ამერიკელებმა იპირველეს. აქვე საუკეთესო სამეულის მონაცემებს გთავაზობთ და თავად დარწმუნდებით როგორია მედლების შეფარდება.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 45 | 26 | 35 | 106 |
| სსრკ | 29 | 33 | 29 | 91 |
| უნგრეთი | 10 | 11 | 11 | 32 |

თენგიზ გაჩეჩილაძე

## რა ხდებოდა ოლიმპიადის დღეებში

*"ოლიმპიადამდე რამდენიმე კვირით ადრე უნივერსიტეტის სტუდენტობამ მკაცრი სოციალური ულტიმატუმი წაუყენა მთავრობას. ადრე მექსიკის დედაქალაქში ასეთი რამ არ მომხდარა და მთავრობამაც იგი უყურადღებოდ დატოვა.*

*კონფლიქტმა კი სერიოზული ხასიათი მიიღო. ქალაქის ზოგიერთ უბანში იგი შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა სტუდენტობასა და პოლიციას შორის. სროლას მსხვერპლი მოჰყვა, მსხვერპლს - რეპრესიები, მაგრამ მეამბოხენი დარწმუნებულნი, რომ ერთი წარუმატებლობით ცხოვრება არ თავდება, ბრძოლას განაგრძობდნენ. ოლიმპიადის დღეებში ძველბერძნული ტრადიციების მსგავსად მთავრობასა და სტუდენტებს შორის ზავი დაიდო. მაგრამ აქა-იქ შეპორჩენილი ლოზუნგები ცხადყოფდა, რომ ბრძოლა დროებით იყო შეწყვეტილი. "ოლიმპიადა ეროვნული ღირსების საქმეა და ამ ღირსებას არ შევბღალავთ. ჩვენ წავალთ, მაგრამ ყველამ იცოდეს, ისევ დავბრუნდებით." ეს მართლაც საშიში და სერიოზული გაფრთხილება იყო..."*

*ნ. გუგუშვილის წიგნიდან "ოლიმპიური ემბლემით სამყაროს გარშემო".*

■ ■ ■

* თანამედროვე ოლიმპიადების პროგრამაში არის რამდენიმე ისეთი სახეობა, რომელიც ყველა თამაშების პროგრამაში შედიოდა. ესენია: ველოსპორტი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა და ფარიკაობა.

* ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირში ტანმოვარჯიშე **ლ. ბურდაა**. იგი სულ 15 წლისა იყო, როცა მეხიკოში ოქროს მედალი მოიპოვა გუნდური გამარჯვებისთვის. ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონი მოჭიდავე **ა. მეკოკიშვილი** იყო. ჰელსინკის ოქროს მედალი მან 40 წლის ასაკში მოიპოვა.

### ოლიმპიური ვიქტორინა
#### ეძღვნება 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებს

*პასუხებს შეიტყობთ 1972 წლის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ მომდევნო გამოშვებაში*

1. დაასახელეთ 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი

ა - მიუნხენი
ბ - მონრეალი
გ - ლოს-ანჯელესი

2. რამდენი ოლიმპიელი მონაწილეობდა საქართველოდან აღნიშნულ თამაშებში?

ა - 14
ბ - 15
გ - 16

3. ვინ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული საქართველოდან მეორედ?

ა - ლევან თედიაშვილმა
ბ - ვიქტორ სანეევმა
გ - რომან რურუამ

4. სპორტის რომელ სახეობაში გახდა საბჭოთა კავშირიდან და საქართველოდან ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი სპორტსმენი?

ა - მშვილდოსნობაში
ბ - საწყლოსნო სლალომში
გ - ძიუდოში

5. რამდენი ათლეტი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან 1972 წელს?

ა - 4
ბ - 5
გ - 6

### ძიუდო

### პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი. დავით ქევხიშვილი
## ბედი ისეთი რამაა



ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიბადა (1983 წლის 5 იანვარს) და გაიზარდა. ჭიდაობა 5 წლისამ **როინ მაღალდაძესთან** დაიწყო, 1998 წლიდან **გურამ მოდებაძე** ავარჯიშებს. 2002 წელს ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობა მოიგო, ხოლო უფროსებში ვერცხლის მედალი მოიხვეჭა. მსგავს წარმატებას 2007 წელსაც მიაღწია. ორჯერ ბრინჯაოს მედალი (2005, 2008 წ.წ.) ერგო; კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატებზე 2002-2003 წლებში პირველი იყო, 2006 წელს კი მსოფლიო თასს დაეუფლა.

ერთი შეხედვით, თითქოს, მოკრძალებული შედეგია, რადგან დავით ქევხიშვილს, ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მეტის მიღწევა შეეძლო, მაგრამ, როგორც ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა, როგორღაც უიღბლო და უცნაური ბედის მოჭიდავეა. ზოგჯერ მსაჯებიც არ სწყალობენ. ეგ დალოცვილი არბიტრები, რატომღაც, უფრო ხშირად ჩვენი სპორტსმენების მეტოქეთა სასარგებლოდ ცდებიან, თვით ოლიმპიურ თამაშებზეც კი. ასე იყო ათენში, "ანო ლიოსიას" დარბაზში, სადაც ბევრი ქართველი ფალავანი განბილებული დატოვეს, მათ შორის - ძიუდოისტი დავით ქევხიშვილი. მსგავსი სიტუაცია შარშან კინაღამ მსოფლიო ჩემპიონატზეც გამეორდა. სანუგეშო წრის პირველ შეხვედრაში ქართველი ფალავანი ფრანგ მსოფლიო ვიცე-ჩემპიონ **დანიელ ფერნანდესს** დაუპირისპირდა. დათოს არა ერთხელ დაუმარცხებია იგი. წინა მსოფლიო ჩემპიონატზეც სძლია ეგვიპტეში. ამჯერად ორთაბრძოლის დასაწყისში ფრანგი დაწინაურდა, მაგრამ ქევხიშვილმა მალევე ხელთ იგდო ინიციატივა და ამოსმით მეტოქე ბეჭებზე დაახეთქა. არბიტრებმა გდგება რატომღაც ფერნანდესს ჩაუთვალეს და გამარჯვების ნიშნად ხელი მისკენ გაიშვირეს.

- აღშფოთდა დარბაზი, ხაბარელიც გადაირია, - იხსენებს დათო. - მთავარი მსაჯი იძულებული გახდა, არბიტრები მოეხმო. მოთათბირების შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და გამარჯვებულად გამომაცხადეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უსაგზუროდ ვრჩებოდი...

ეს მოხდა 2007 წლის 15 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ზედიზედ დაამარცხა გაესპანელებული იაპონელი, ევროპის ჩემპიონი **უემაცუ**, ბერძენი **არისტოფან კოტაიდისი**, ჰოლანდიელი **ბრაიან ვან დიკი** და მოულოდნელად თურქ **სერეზ ჰუიზუსთან** დამარცხდა. სანუგეშოში ფერნანდესის შემდეგ ახალგაზრდა გერმანელ **რობერტ გეესს** მოუგო. "ბრინჯაოსთვის" პაექრობა კი, ასევე მოულოდნელად, ტაჯიკ **რასულ ბოგიევთან** დათმო. საბოლოოდ მე-5 ადგილითა და პეკინის ოლიმპიადის საგზურით დაკმაყოფილდა. სამაგიეროდ, ქევხიშვილმა უკეთ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა. ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან პოლონელი **პაველ ზიდაკი**, მოლდოველი **ვიტალი ბივოლი**, ავსტრიელი **ქრისტოფ შტანგლი**, პორტუგალიელი **ჟოაო პინა** და ფინალში რუსეთელ **სალამუ მეჯიდოვს** დაუპირისპირდა. დათომ ამ სპორტსმენს 2006 წლის პრაღის საერთაშორისო ტურნირზეც მოუგო და მსოფლიო გუნდურ პირველობაზეც, მაგრამ ამჯერად მეჯიდოვის დასამარცხებლად ძალა არ იყო. არც არის გასაკვირი - წინა წლის შემოდგომაზე მენისკის ოპერაცია გაიკეთა და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ბელგრადში "ვერცხლამდე" უფრო გამოცდილების ხარჯზე მიაღწია.

დავით ქევხიშვილი უმედლოდ არც წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე დარჩენილა. ლისაბონში მან ჯერ იტალიელი **მარკო მადალონი** ჩამოაშორა კვარცხლბეკისკენ და ჩინეთის დიდი კედლისკენ მიმავალ გზას, მერე - ბულგარელი ოლიმპიური პრიზიორი **გეორგ გეორგიევი** და ფრანგი ფერნანდესი. ნახევარფინალში კი თავად დამარცხდა უემაცუსთან. გადამწყვეტი შეხვედრა ჩეხ **იარომირ იჟეკს** მოუგო და კიდევ ერთი "ბრინჯაო" შემატა საკუთარ კოლექციას.

- პორტუგალიის დედაქალაქში დავით ქევხიშვილის ჭიდაობით კმაყოფილი ვარ, - მითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა**. - იგი ნელ-ნელა ოპტიმალურ სპორტულ ფორმას იბრუნებს და, ჯანმრთელობამ თუ არ დაალალატა, ჩინეთის დედაქალაქში ფავორიტთა შორის იქნება. მართალია, 73 კილოში აღიარებულმა ლიდერებმა - ესპანელმა უემაცუმ, უნგრელმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა **აკოშ ბრაუნმა**, ფრანგმა ფერნანდესმა, ბულგარელმა გეორგიევმა და იტალიელმა მადალონიმ პეკინის ლიცენზიები ვერ მოიპოვეს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ქევხიშვილს ოლიმპიადაზე იოლი გასეირნება ელის. ამ წონაში რუსებს, იაპონელებს, კორეელებს, ჩინელებს, სხვა ქვეყნებს, ძლიერი წარმომადგენლები ეყოლებათ.

ახლა ბორჯომში ვემზადებით თამაშებისთვის. დათო მონდომებით ვარჯიშობს და ოპტიმისტურადაა განწყობილი. აქაური შეკრების შემდეგ ყაზახეთში გადავინაცვლებთ, რათა ჩინეთში აკლიმატიზაცია უკეთ შევძლოთ. ყველაფერს ვილონებთ კვარცხლბეკზე ასასვლელად.

ვაჟა დანელია

■ ოლიმპიური თამაშების პირველი ტელერეპორტაჟი მოეწყო 1936 წელს ბერლინში.

■ ოლიმპიურ თამაშებში დიდი წარმატებებისთვის სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი მხოლოდ ორ სპორტსმენს. ფინელ პაავო ნურმის, რომელმაც სამ ოლიმპიადაში ოქროს 9 და ვერცხლის 3 მედალი მოიპოვა და მის თანამემამულეს კ. ტუნბერგს - ზამთრის ოლიმპიადების ხუთგზის ჩემპიონს.

■ სპორტის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლები გადაეცათ სპორტსმენებს, რომლებსაც არასდროს მიუღიათ მონაწილეობა თამაშებში. უფრო მეტიც, სპორტის ეს სახეობა არასდროს ყოფილა ოლიმპიადების პროგრამაში. 1931 წელს გერმანელმა მთამსვლელებმა ძმებმა ფრანც და ტონი შმიდებმა მატერხორნის მთის მასივზე ასვლისთვის მიიღეს ოლიმპიური ოქროს მედლები.

ჭადრაკი

# კუბელებს ქართველი უშლის ხელს...



ქეთი წანალაშვილი

ესპანეთში, კერძოდ კატალონიის ალაქ ბარბერაში ყოველწლიური საადრაკო ტურნირი მიმდინარეობს, ომელშიც ოთხი ქართველი ქალბატო- ი თამაშობს. ტურნირში მამაკაცები იდი უმრავლესობით არიან წარმოდენილი და, მართალია, არც ერთი მათ- ანი არ განეკუთვნება მსოფლიო საადრაკო ელიტას, მაინც საკმაოდ ძლი- რი შემადგენლობაა შეკრებილი. პირ- ელ რიგში აღსანიშნავია კუბელი დი- ოსტატი **ლაზარო ბრუსონი** - მისი ეიტინგი დღეისთვის 2592-ის ტოლია ა კუბელთა უპირველეს ვარსკვლავად ოვლება. აღსანიშნავია, რომ ლაზაროს ამდენიმე თვის წინათ ბევრად უკეთე- ი რეიტინგმაჩვენებელი ჰქონდა, მაგ- ამ, როგორც ჩანს, მცირე ჩავარდნა ქვს და 2600-იანთა ოჯახიდან გამოვი- ა. ეჭვი არ არის, ეს დროებითია, რადნაც მისი კვალიფიკაცია ბევრად ტს უდრის... მეორე ნომრადაა განთე- ლი ესპანელი დიდოსტატი **მარკ ნარ- ისო** - 2525. მესამე განთესვა აქვს პო- ონელ **იაკუბ ჩაკონის** - 2510. ჩვენი ალბატონების განთესვის ნომრები მდეგია: **ანა მათნაძე** - 13; **სოფიკო ურამიშვილი** - 22; **ქეთი წანალაშვი- ი** - 26 და **მარიამ დანელია** - 38.

ქართული კვარტეტი ესპანური ურნირების ხშირი სტუმარია და ამაში ამნაშავე", უპირველესად, ანა მათნა- ა, რომელიც ძირითადად ბარსელონა- ი ცხოვრობს და იქაურ საჭადრაკო ფე- ერაციასთან მჭიდროდ თანამშრომ- ობს. ანას მონდომების გამოა, რომ ნი- ერ ქართველ გოგონებს კარგი საჭად- აკო პრაქტიკის საშუალება ეძლევათ. ქვე ვიტყვი, რომ ამ ტურნირის შემდეგ კიდევ რამდენიმე შეჯიბრებაში მიიღებენ ჩვენებურები მონაწილეობას.

რაც შეეხება მიმდინარე ასპარეზობას, თავმოსაწონი საკმაოდ გვაქვს: უკვე ექვსი ტურია განვლილი და 5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ანა მათნაძე ლაზარო ბრუსონთან იყოფს; კიდევ ერთი კუბელი კი - **იური ვიდალ გონსალესი** 5.5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ანამ ქულათა მარაგი საკმაოდ ძლიერი მეტოქეების ძლევის შემდეგ შეივსო: სტარტზე რეიტინგით დაბალი მეტოქეების დამარცხების შემდეგ მეხუთე და მეექვსე ტურში მეექვსე და მესამე ნომრები - კუბელი **ფიდელ კორალესი** და პოლონელი იაკუბ ჩაკინი დაამარცხა; თანაც ორივეს შავი ფერით მოერია.

ოდნავ ნაკლები ქულათა მარაგი აქვს ქეთი წანალაშვილს, მაგრამ ასეთ კომპანიაში 4 ქულა ექვსიდან ძალიან კარგ შედეგად ითვლება. ქეთის დღეისთვის მეცამეტე ადგილი უკავია. სამ-სამი ქულა აქვთ მარიამ დანელიას და სოფიკო გურამიშვილს. მათ შესაბამისად, უფრო სწორად, კოეფიციენტის მიხედვით 26-ე და 28-ე ადგილები უჭირავთ.

ტურნირის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი. დანელია-გურამიშვილი ზედა ეშელონებში შეღწევას ალბათ ველარ შეძლებენ, მაგრამ მძლავრი ნაბიჯის გადადგმა და კარგი ადგილის დაჭერა კი ხელეწიფებათ; ქეთი წანალაშვილს, ცხადია, მეტი პერსპექტივა აქვს, მათნაძეს კი სულაც ჩემპიონობისთვის შეუძლია ბრძოლა. ვნახოთ, ვინ როგორ გამოიყენებს შანსებს.

**ზვიად შათირიშვილი**

კალათბურთი

# ვლადიმერ ბოისას ორი ვარიანტი: აზოვმაში და შიაულიაი



ვლადიმერ ბოისა

გუშინ უკრაინულმა სააგენტოებმა აიტაცეს ბერძნული საიტების ინფორმაცია, რომლის თანახმად საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვლადიმერ ბოისა** სალონიკის "არისის" დატოვებას აპირებს. თუკი გაინტერესებთ, რატომ დაინტერესდნენ უკრაინელები საქართველოს ნაკრების წევრით, მოგახსენებთ, რომ ვოვას გადაბირების სურვილი მარიუპოლის "აზოვმაშს" აქვს. ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად 2007 წლის ბოლოს სლოვენიელი **მეჰმეთ ბეჩიროვიჩი** დაინიშნა, რომელიც ბოისას ზედმიწევნით იცნობს - ვოვა ხომ ხუთი წლის განმავლობაში სლოვენიაში თამაშობდა, ჯერ "სლოვანში", შემდეგ - "ოლიმპიაში".

აი, სწორედ "ოლიმპიის" შემდეგ ბოისას საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც მას სურდა - ორი სეზონი იტალიურ "მონტეპასკიში" გაატარა და გუნდთან ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, თუმცა ქართველი სათამაშო დროის ნაკლებობას უჩიოდა.

გასულ სეზონში ბოისამ ორი კლუბი გამოიცვალა - ვლადივოსტოკის "სპარტაკი" და საბერძნეთის "არისი". არისელთა მთავარი მწვრთნელის, **გორდონ ჰერბერტის** პოსტიდან დათხოვნის შემდეგ ვოვას საბერძნეთში დარჩენის საკითხსაც კითხვის ნიშანი დაესვა.

ახლა რაც შეეხება "აზოვმაშს". ამ კლუბმა უკრაინის რეგულარულ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა ჩემპიონატისა და თასის ფინალში **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევს" პირველობა არ დაუთმო.

ბერძნული საიტის მტკიცებით, "აზოვმაშს" ბოისას ლიტვური "შიაულიაი" ეცილება. ეს კლუბი ბოლო წლებში ლიტვური კალათბურთის ფლაგმანია და სამეულში ხშირად შედის. გასულ სეზონში შიაულიაიელებმა ნახევარფინალში შეაღწიეს, სადაც "ჟალგირისთან" 0:2 დამარცხდნენ.

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმაც, რომ "აზოვმაშისა" და "შიაულიაის" გარდა ვლადიმერ ბოისას სხვა რეალური ვარიანტებიც აქვს. სად გააგრძელებს კარიერას, ამას მალე შეიტყობთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

პლაჟბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# საქა-რთველოს ბედი მარსელში გადაწყდება



გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ევროპის პლაჟბურთელთა ჩემპიონატი დაიწყო. რაკილა ჩვენი კაცების დუეტს (**გეორ-გია**) პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზური უკვე განაღდებული აქვს, ჰამბურგში მხოლოდ ქალთა წყვილით (**საქა-რთველო**) წარვდექით.

ჩვენმა გოგონებმა მასპინძლებთან (გოლერი-ლუდვიგი) მარცხით დაიწყეს - 0:2 (9:21, 17:21), მაგრამ შეჯიბრების წესების თანახმად, ბრძოლა მაინც გააგრძელეს. მეორე წრეში, საქა-რთველოს არ გამოუცხადდა ფრანგული დუეტი (ჟემისი-ჟიროდანო), რისთვისაც 2:0 (21:0, 21:0) მოგება ჩაგვეთვალა. ამას მოჰყვა ზედიზედ ორი გამარჯვება. კონკრეტულად, ჩვენებურებმა ჯერ გერმანელებს (ბენკი-გუენტერი) დააყრევინეს ფარხმალი სამ სეტში (16:21, 21:19, 15:13), მერე კი ავსტრიელებს (მონტანიოლი-სვობოდა) მოუგეს - 2:0 (21:16, 21:18).

სამწუხაროდ, საქა-რთველოს ძლევამოსილი სვლა ფრანგებმა (პოლირაუ) შეაჩერეს და მედლებისკენ გზა გადაგვიკეტეს. ფრანგებთან მატჩი ორ სეტში დავთმეთ - 13:21, 16:21.

საბოლოოდ, საქა-რთველომ 320 სარეიტინგო ქულა და 3000 ევრო მიიღო. საოლიმპიადო კლასიფიკაციაში კი 80 ქულა მიითვალა და ახლა 1680 ქულით 23-ე ადგილზეა.

პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიანტთა საბოლოო სია კი მომავალი კვირის ბოლოს მარსელის ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა. დარჩენილი სამი საგზურისთვის ოთხი წყვილი იბრძვის. საქა-რთველოს ოლიმპიადის ლიცენზიას კანდელას-გარსია(მექსიკა)-1660 ქულა, კუნი-შვერი(შვეიცარია)-1650 და საიკიკაშუჰარა(იაპონია)-1620 ეცილებიან. მარსელის ეტაპი, სადაც ყველა ეს წყვილი ძირითად ბადეშია დაშვებული, მათ შორის ერთ-ერთ ზედმეტს გაარკვევს.

**კობა ხატისაშვილი**

ბადროს ტყორცნა

# მსოფლიოს ბადრო ვტყორცნეთ

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში ძლეოსანთა მსოფლიოს მე-12 ახალზრდული ჩემპიონატში, ორმა ქართ- ელმა სპორტსმენმა დაასრულა ასპა- ეზობა. შეჯიბრების პირველ დღეს ადროს მტყორცნელმა **გიორგი ბე- ოშვილმა** იასპარეზა. 18 წლის გიორ- ი საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმე- ად მიიჩნევა. 14 ივნისს მან თბილისში რადი რეკორდი დაამყარა – 1,75 კგ. მძიმის ბადრო 54,17 მეტრზე ისრო- ა. ამიტომაც მოხვდა ქართველი ბიდ- ოშჩის ტურნირის საკვალიფიკაციო ტაპზე A ჯგუფში, თუმცა მან ჩვენი იმედები ვერ გაამართლა – ბადრო 3,91 მეტრზე ისროლა და A ჯგუფში კანასკნელი, მე-16 ადგილი დაიკავა, ერთო ჩათვლაში კი 30 მონაწილიდან ოლოდ ორს აჯობა. არადა თავისივე ეკორდი რომ გაემეორებინა, ბედოშვილი ფინალში გავიდოდა. გიორგის პირველი ცდა გაუცუდდა, მეორეში ზემოაღნიშნული შედეგი აჩვენა, მესამე ცდა კი უხეირო გამოუვიდა – 46,15 მ.

გუშინ მსოფლიო ჩემპიონატში ბადროს მტყორცნელი **სალომე რიგიშვილი** გამოვიდა. თიანეთელი რიგიშვილი 18 წლისაა. 22 ივნისს მან ბანსკა ბისტრიცაში ბადრო 47,68 მეტრზე ისროლა და მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მიიღო. გუშინდელი შედეგი, 47,06, მის საუკეთესო მიღწევას ნახევარი მეტრით ჩამორჩება. საბოლოო ჯამში ქართველმა 21-ე ადგილი დაიკავა 34 მონაწილეს შორის და ფინალში ვერ გავიდა. მსოფლიო პირველობაზე კიდევ ორი საშეჯიბრო დღე დარჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი. მსოფლიო უნივერსიადა

# დღეს მეხუთესთვის ვითამაშებთ



ვლადიმერ რუსია

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო უნივერსიადაზე გუშინ მორიგი გამარჯვება მოიპოვა. სამწუხაროდ, წინა ნომერში უნებლიე შეცდომა გაგვეპარა, რაშიც დამნაშავე ტურნირის ვებ-გვერდის არაოპერატიულობა და ვენეციიდან შეცდომით მოწოდებული ცნობა გამოდგა. საქმე ის არის, რომ გუშინ სერბეთს კი არა, იტალიას ვხვდებოდით.

სასიამოვნოა, რომ მეოთხედფინალში თურქებთან წაგებამ ჩვენი გუნდი არ გატეხა და გუშინ მასპინძლების წინააღმდეგ მაქსიმალურად მობილიზებული გავიდა მოედანზე. პირველი ტაიმი **ირაკლი კეკელიძის** შეგირდებმა 17:8 მოიგეს და ფაქტობრივად, იქვე გადაწყდა ყველაფერი. დასკვნით 30 წუთში იტალიელებმა მხოლოდ სხვაობის სამ ბურთამდე შემცირება შეძლეს. საბოლოოდ, 30:27 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ და დღეს მეხუთე ადგილისთვის მატჩში სერბეთი-პოლონეთს შორის წაგებულს ვხვდებით.

ჩვენდა გასაოცრად, გუშინ უნივერსიადის ვებ-გვერდზე ოპერატიულად დაიდო საქართველო - იტალიის მატჩის ოქმი. გთავაზობთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას და გატანილ გოლებს:

**თევზაძე, ანდრიაძე, ჭანტურია (7), მსხვილიძე, რუსია (4), წივწივაძე (2), ი. ჩიქოვანი (2), ბერძენიშვილი (5), გოგალაძე (4), მაისურაძე (4), გ. კობახიძე, მ. კობახიძე (1), ყიფიანი (1)**

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# დღეს და ხვალ თასი დაიოთხება

დღეს და ხვალ რაგბში საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები შედგება.

დღეს, 17 საათზე, ქუთაისში "აია" თბილისურ "ლოკომოტივს" დაუხვდება, 19 საათზე კი ავჭალის "სინათლეზე" დედაქალაქური დერბი გაიმართება "ლელოსა" და "დინამოს" შორის.

დასკვნითი ორი მეოთხედფინალური ჯახი ხვალ გველის. 16 საათზე, "ყოჩები" და "აკადემია" იბურთავებენ "სინათლეზე", 19 საათზე კი ამავე მოედანზე "უნივერსიტეტი" მცხეთის "არმაზს" უმასპინძლებს.

ხვალვე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი ლიგის ორი გამოტოვებული მატჩი: "ლოკომოტივი-2" - "ბათუმი" (17:00) და "ხულიგანა" - "ლელო-2" (19:00)

**კობა ხატისაშვილი**

# ევროპის ხუთეულისთვის

12-13 ივლისს გერმანიის ქალაქი ჰანოვერი ევროპის შვიდკაცას ფინალურ ტურნირს, იგივე ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ჰანოვერში ძლივს მოხვდა, რადგან სოპოტისა (პოლონეთი) და თბილისის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მე-5 და მე-3 ადგილები აილო შესაბამისად და ბოლო, მე-12 საგზური მოიპოვა. **კახა ალანიას** გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა გერმანიაში: **შალვა სუთიაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი შკინინი, ჯაბა ბრეგვაძე, ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე, ირაკლი გეგენავა** და **ბექა ნიკლაური**. ბოლო ორმა მორაგბემ უკანასკნელ მომენტში ჩაანაცვლა **ირაკლი გუნდიშვილი** და **ირაკლი მაჩხანელი**.


მერაბ კვირიკაშვილი

12 ნაკრები გერმანიაში ორ პულად არის განაწილებული. საბოლოო შედეგების მიხედვით პირველი ხუთი ნაკრები მარტში გასამართ დუბაის მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებს. ჩვენები A პულში ითამაშებენ, ევროპის ჩემპიონ პორტუგალიასთან, მასპინძელ გერმანიასთან, ესპანეთთან, რუსეთთან და რუმინეთთან ერთად. მოკლედ, ბედის ირონიით, ზუსტად ისეთი შემადგენლობა გამოვიდა, როგორიც 15-კაცა რაგბიში ერთა თასზე თამაშობს. B პულში ითამაშებენ: უელსი, ირლანდია, იტალია, უკრაინა, პოლონეთი და ბელგია.

საქართველოს ნაკრები, შაბათს, 13 საათზე რუსეთს დაუპირისპირდება, 15:30 საათზე – გერმანიას, 18 საათზე – რუმინეთს, 21 საათზე – ესპანეთს. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი „ბორჯღალოსნებს" კვირას 13 საათზე ექნებათ პორტუგალიასთან. თასისთვის ბრძოლას პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ (მათ მსოფლიო თასზე წასვლა გარანტირებული ექნებათ), მე-3 და მე-4 ადგილზე გასული ნაკრებები სინისთვის იბრძოლებენ (სწორედ სინის მფლობელი მიიღებს მსოფლიო თასის მე-5 საგზურს). პულში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები ფინალისთვის შეერკინებიან ერთმანეთს.

სხვათა შორის, ევროპის ჩემპიონატზე ქართველები მარტო ჩვენს გუნდში არ ითამაშებენ. ბელგიის ნაკრებში თამაშობს **დავით ნემსაძე**, უკრაინის ღირსებას იცავენ: **გიორგი გეგიძე, ჯაბა მალაღურაძე** და **გიორგი თოდრაძე**. რუსეთის ნაკრებს საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი, ფრანგი **კლოდ სორელი** წვრთნის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტიმ ლეინის იდეა

## ქართველი პირველხაზელები ავსტრალიის ნაკრებში


ტიმ ლეინი

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავსტრალიელი **ტიმ ლეინი** ამჟამად შვებულებაშია და სამშობლოში იმყოფება. ახლახან ბორჯღალოსანთა თავკაცი ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს შეხვდა და საკმაოდ ორიგინალური, ჩვენთვის მოულოდნელი იდეა შესთავაზა.

რაც უნდა საკვირველი იყოს, მსოფლიო რაგბის ერთ-ერთი ყველაზე ბობოლა გუნდი, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი ავსტრალიის ნაკრები, შერკინების პირველ ხაზში სერიოზულ პრობლემებს განიცდის. სწორედ ამას მიაწერენ სპეციალისტები "ვოლაბების" ბოლოდროინდელ წარუმატებლობას. კრიზის დაძლევის გზა კი ავსტრალიური რაგბის მამებს ტიმ ლეინმა დაანახა.

*"გაიხედეთ აღმოსავლეთ ევროპისკენ. იქ ერთი პატარა ქვეყანაა, რომლის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელიც მე ვარ. საქართველოში პირველხაზელების ოქროს საბადოა. ხშირად ვესწრებოდი როგორც ჩემპიონატის შეხვედრებს, ისე საბავშვო ფესტივალებს, რომლებიც რეგულარულად იმართება ყველა უქმეებზე. გარწმუნებთ, იქ უამრავი, უზარმაზარი ბავშვია. ძალიან, ძალიან ძლიერები არიან."*- უთქვამს ტიმ ლეინს.

ავსტრალიელებში ქართველთა გურუს მოსაზრებებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რის შემდეგაც ლეინი "ვოლაბების" მთავარ მწვრთნელს **პატ ჰოვარდსაც** შეხვედრია:

*"აუცილებლად უნდა ჩამოხვიდეთ საქართველოში და საკუთარი თვალით ნახოთ ეს ბავშვები. ძალიან კარგი იქნება თუ რამოდენიმე მათგანს შეარჩევთ. ვფიქრობ, ქართველ პირველხაზელებს ავსტრალიის ნაკრებში წარმოქნილი პრობლემის გადაჭრა რეალურად შეუძლიათ.*

*საქართველოში შერკინების მოთამაშეების პრობლემა საერთოდ არ გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია ნაკრებში მე-10 ან მე-12 ნომრები ვათამაშოთ ერთა თასზე და გარწმუნებთ ამით არაფერს წავაგებთ. ქართული რაგბის პოტენციალი ამ პოზიციის მოთამაშეებთან დაკავშირებით ამოუწურავია."*

ჩამოვა თუ არა პატ ჰოვარდი საქართველოში ძნელი სათქმელია. საქართველოს ნაკრების ვიზიტი კი მომავალი წლის ივნისში ავსტრალიაში სავსებით რეალურია:

*"ჩვენ გვინდა მინიმუმ სამი შეხვედრა გავმართოთ. საქართველოს ნაკრების მეტოქეები სავარაუდოდ "ვესტერნ ფორსი", "ქვინზლენდ რედსი" და ავსტრალიის A ნაკრები იქნება. ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელები მოხარული არიან, ბორჯღალოსნებს უმასპინძლონ. ჩვენ კი ვეცდებით, ავსტრალიელ მორაგბეებს ცოტაოდენ მაინც ვასწავლოთ შერკინებაში თამაში"*-თქვა ტიმ ლეინმა.

ჩოგბურთი

# ლაბაძე: ყველაფერი, ან არაფერი


ირაკლი ლაბაძე

27 წლის **ირაკლი ლაბაძემ** ჰოლანდიის ქალაქ სხევინგენში დაასრულა ასპარეზობა „სიმენს ოუფენზე". ტურნირი „ჩელენჯერის" სერიისაა და მისი საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ირაკლისთვის ტურნირის მეოთხედფინალში გასვლა, ამ ეტაპზე, დიდი წარმატებაა. მეოთხედფინალში ლაბაძე მეტოქედ მესამე ნომრად განთესილ **კრისტოფ როხუსს** ელოდა, მაგრამ მოულოდნელად მან დათმო ჰოლანდიელ **ტიემო დე ბაკერთან** – 6:1, 1:6, 2:6. ასე რომ, გუშინ ლაბაძეს 19 წლის დე ბაკერი (304) დაუპირისპირდა, რომელიც სხევინგენში „უაილდ ქარდით" მოხვდა. ორი წლის წინათ დე ბაკერი მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო 18-წლამდელთა შორის.

პირველი სეტი ლაბაძემ 6:4 მოიგო, თუმცა შემდეგ უპირატესობა ხელთ ახალგაზრდა ჰოლანდიელმა იგდო – 6:4, 3:6, 1:6. მატჩის შემდეგ დე ბაკერმა შემდეგი თქვა: *„ძალიან რთული მატჩი იყო. ვერაფრით დავიჭირე ჩემი თამაშის რიტმი, მიზეზი კი ლაბაძის თამაშის სტილია. როცა აწოდებს, ან ეისს ჩაგიგდებს, ან ზედიზედ ორ შეცდომას დაუშვებს, აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი ჩოგბურთელია. მისი დევიზი კორტზე- ყველაფერი, ან არაფერია. თუ შენც ასე არ ითამაშებ, უბრალოდ შანსი არა გაქვს. ყველანაირად შევეცადე, რომ, რაც შეიძლება მეტი მერბინებინა ლაბაძე. მოხარული ვარ, რომ ასეთ მეტოქეს გავცდი"*. ლაბაძემ მეოთხედფინალში გასვლისთვის 19 სარეიტინგო ქულა და 3 ათასი დოლარი მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჩიხლაძე: მესამე გამარჯვება


ლადო ჩიხლაძე

**ლადო ჩიხლაძე** წარმატებით დაბრუნდა ჩოგბურთში, რვათვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ 23 წლის ქართველი ჩოგბურთელი ძველებურად ათამაშდა. ბაქოს საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჩიხლაძე პირველ ნომრად არის განთესილი, ლადომ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და 10-ათასიანი ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალში ლადოს მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი ლიბანელი **ქარიმ ალაილი** (1020) იყო. ლადომ ორ სეტში იმარჯვა – 7:5, 6:4. ბაქოს ტურნირის ნახევარფინალში ლადოს პირველად ეყოლება შედარებით სერიოზული მეტოქე, მე-5 ნომრად განთესილი 22 წლის რუსი **მიხაილ ვასილიევი** (755) იქნება, რომელმაც ორი ქართველი ჩოგბურთელი დაამარცხა, ჯერ **ნოდარ ითონიშვილი**, შემდეგ – **დემეტრე თაქთაქიშვილი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ორი ლევანი იწყებს


კოკაი

ხვალ ნაგოიაში სუმოს სუპერტურნირი (ბაშო) იწყება. ელიტურ დივიზიონში ორი ქართველი სუმოისტია: **ლევან ცაგურია (კოკაი)** და **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)**. კოკაი მე-10 მაეგაშირას რანგით იჭიდავებს, ხოლო ტოჩინოშინი კვლავ მე-14 მაეგაშირაა. ბაშოს პირველ დღეს კოკაი აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირა **ტამანოშიმას** შეხვდება, რომელიც ყოფილი სეკივაკეა. ტოჩინოშინის მეტოქე აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირა **ტოსანოუმია**. 36 წლის ტოსანოუმიც კარიერის ზენიტზე სეკივაკე (რანგით მესამე ტიტული სუმოში) იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ATP-ის რეიტინგი

# ყველაფერი ნადალის ხელშია

## 11 აგვისტოს მამაკაცთა ჩოგბურთს, შეიძლება, ახალი ლიდერი მოევლინოს

უიმბლდონზე **რაფაელ ნადალის** გამარჯვების შემდეგ, მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი პოზიციისთვის ბრძოლა ძალიან დაიძაბა. ამ სეზონში ასე უკვე მეორედ მოხდა, არადა, წინა წლებში, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** არავისთვის მიუცია იმის საბაბი, რომ ეჭვი შეეტანათ ATP-ის რეიტინგში მის ლიდერობაზე. შეგახსენებთ, რომ მარტის დასაწყისში, დუბაის ტურნირზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, როჯერმა საშუალება მისცა ნადალს 350 ქულამდე შეემცირებინა ჩამორჩენა. ეს ყველაფერი ამერიკული მასტერსების წინ მოხდა, რომლებზეც ფედერერმა ნადალზე უკეთესი შედეგი აჩვენა და მოახერხა, ცოტათი გაეზარდა ესპანელზე უპირატესობა.

გასაგებია, რომ სათიხნარო სეზონის დროს, ნადალს გაუჭირდებოდა ფედერერის გასწრება. საქმე ისაა, რომ 2007 წელს, რაფამ თიხნარის ტურნირებზე, პრაქტიკულად, მაქსიმალური ქულები მოაგროვა, ამიტომაც, წლეულს, მის მარაგს არაფერი მიემატებოდა - ნადალის ამოცანა იყო, დაეცვა ეს ქულები და კიდევ უფრო მეტად არ ჩამორჩენოდა როჯერს. მას მხოლოდ იმის იმედი უნდა ჰქონოდა, რომ შვეიცარიელი ვერ შეძლებდა შარშან მოპოვებული ქულების დაცვას. მაგრამ შვეიცარიელმა წლევანდელი სათიხნარო სეზონი უკეთ განვლო, ვიდრე შარშან - გავიდა მონტე კარლოსა და როლან გაროსის ფინალში, რომში მეოთხედფინალს მიაღწია (შარშან, აქ ფედერერმა მერვედფინალში წააგო), ხოლო ჰამბურგში რაფასთან წაგებულ ტიტულს, ეშტორილში მოგებული ტურნირით გაუკეთა კომპენსირება.

რაც შეეხება ნადალს, მართალია, ჰამბურგში მოგებით მან თავის აქტივს 150 ქულა შეჰმატა, მაგრამ რომში, ტრავმის გამო **ხუან-კარლოს ფერეროსთან** პირველ წრეში დამარცხების შემდეგ, ერთბაშად 495 ქულა დაკარგა. საბოლოოდ, ნადალს არა ფედერერის დაწევა, არამედ ნოვაკ ჯოკოვიჩი უფრო აღელვებდა, რომელიც სერიოზულად დაემუქრა მის მეორე ადგილს. ჰამბურგის მასტერსსა და როლან გაროსზე მათი ნახევარფინალები, გადამწყვეტი აღმოჩნდა რეიტინგის მეორე საფეხურისთვის ბრძოლაში - ერთ-ერთში მაინც სერბ ჩოგბურთელს რომ გაემარჯვა, სწორედ ის ხდებოდა ფედერერის მთავარი მდევარი. მაგრამ ჯოკერმა ამის გაკეთება ვერ შეძლო და როლან გაროსის შემდეგ, ნადალმა შეინარჩუნა მეორე ადგილი, მაგრამ ფედერერთან ჩამორჩენამ 1090 ქულა შეადგინა.

ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ რაფაელი ბალახის სეზონში შეძლებდა ამ ჩამორჩენის შემცირებას. მაგრამ ნადალმა, პრაქტიკულად, შეუძლებელი შესძლო - ფედერერი ბალახზე დაამარცხა, სადაც ლეგენდარულ შვეიცარიელს, 2002 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ 65 მატჩი ჰქონდა მოგებული. ასე რომ, დღეისთვის ნადალს პირველ ადგილამდე 545 ქულა აშორებს. თუმცა ორშაბათს ეს ჩამორჩენა 795 ქულამდე გაიზრდება, რადგან ამ კვირას, ნადალი ვერ იცავს შტუტგარტში შარშან მოპოვებულ ქულებს (უიმბლდონზე ტრიუმფის შემდეგ, რაფას ექიმებმა დასვენება ურჩიეს). და მაინც, სეზონის დასაწყისთან შედარებით, ფედერერის უპირატესობა ორჯერ შემცირდა. თანაც, როჯერმა, ჯერჯერობით, ვერაფრით გატეხა ნავსი და წლეულს, "დიდი სლემის" არც ერთი ტურნირი და არც ერთი მასტერსი არ აქვს მოგებული.

აი აქედან იწყება ყველაზე საინტერესო. შარშან, მონრეალისა და ცინცინატის ორ მასტერსზე, ფედერერმა 1000 შესაძლებლიდან 850 ქულა დააგროვა. ნადალმა კი, თავის აქტივში მხოლოდ 230 ქულა ჩაიწერა, როცა ერთხელ გავიდა ნახევარფინალში და მეორედ, ტრავმის გამო პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

ამ სეზონში, ოლიმპიადის გამო, ეს მასტერსები შარშანდელზე ადრე, ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში ჩატარდება. და უკვე 11 აგვისტოს, საჩოგბურთო სამყარომ შეიძლება ახალი ლიდერი მიიღოს. ამისთვის, ნადალმა აუცილებლად უნდა მოიგოს ტორონტოსა და ცინცინატში, რაც მას 770 ქულას მოუტანს. ასეთ შემთხვევაში, როჯერს ორივეგან ფინალში გასვლაც არ უშველის - ის 150 ქულას მიიღებს და შესაბამისად, პირველ პოზიციას დაკარგავს, რომელსაც ზედიზედ 232 კვირის განმავლობაში ინარჩუნებს.

და თუ მაინც, რაფა უახლოეს თვეში ვერ შესძლებს ფედერერის გასწრებას, შვეიცარიელს მაინც არ ექნება მშვიდი ცხოვრება. ნადალი აუცილებლად შეამცირებს ჩამორჩენას ცინცინატში და შემდეგ, პეკინში შეეძლება ლიდერობისთვის ბრძოლა. დაბოლოს, ესპანელს თადარიგში აშშ-ის ღია პირველობაც რჩება - სწორედ იქ შეეძლება მას გადამწყვეტი დარტყმის მიყენება. შარშან, ნადალმა ამერიკის ღიაზე მერვედფინალში წააგო და მხოლოდ 150 ქულა გამოიმუშავა, იმ დროს, როცა ფედერერმა გამარჯვებისთვის, ერთბაშად 1000 ქულა მიიღო. ანუ, თუ გავითვალისწინებთ ქულათა იმ სხვაობას, რომელიც ახლა ამ ორ ჩოგბურთელს შორის არის, "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ჩემპიონატში, ნადალს ფინალში გასვლაც ეყოფა ფედერერის ტახტიდან ჩამოსაგდებად, თუნდაც გადამწყვეტი მატჩი წააგოს შვეიცარიელ ჩოგბურთელთან.

რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ **ნოვაკ ჯოკოვიჩიც**. ამ სეზონში მას ფედერერისა და ნადალის პოზიციების დაკავების მიზერული შანსი აქვს - ძალიან დიდია პირველ და მეორე ნომრებთან ჩამორჩენა. მაგრამ სერბს ის კი შეუძლია, რომ თუნდაც ფედერერს მაქსიმალურად მიუახლოვდეს და საგაისოდ მოახერხოს როჯერის უკან ჩამოტოვება. მაგრამ ამისთვის, სერბმა უნდა გაიმეოროს შარშანდელი შედეგი - გაიმარჯვოს კანადურ მასტერსზე და გავიდეს აშშ-ის ღიას ფინალში, წარმატებით ითამაშოს ცინცინატში და ილოცოს ფედერერის წაფორხილებაზე.

ზემოთ ნათქვამს თუ ერთგვარ ანალიზს გავუკეთებთ, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მამაკაცთა ჩოგბურთში ლიდერის შეცვლა, როგორც არასდროს, ძალიან რეალურია. ნადალს, რომელმაც ამ სეზონში უკვე "დიდი სლემის" ორი ტურნირი მოიგო, არ სჭირდება იმის ლოდინი, თუ როდის წაიფორხილებს ფედერერი - სიტუაცია ისეთია, რომ ყველაფერი ესპანელის ხელშია. და თუ ნადალი პირველი ნომერი გახდება, იმის გათვალისწინებით, რომ ფედერერი დაკარგულის დაბრუნებას მოინდომებს და მათ ბრძოლაში ჯოკოვიჩიც ჩაერევა, გაისად ძალიან საინტერესო სეზონის მომსწრენი გავხდებით.




მასტერსის თასი

# დიდი სამეული შანხაიში მიდის

ამა წლის 9 ნოემბერს, წლის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი შანხაიში შეიკრიბება, რათა სეზონში საბოლოოდ გაარკვიონ, თუ ვინ არის წლის უძლიერესი მოთამაშე.

უიმბლდონის ტურნირის შემდეგ, ცნობილი გახდა სეზონის შემაჯამებელი ტურნირის სამი მონაწილე. ესენი არიან - სეზონის ლიდერი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**, რომელმაც მიმდინარე წელს "დიდი სლემის" ორი ტურნირი მოიგო, რეიტინგის პირველი ნომერი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და მსოფლიოს მესამე ჩოგანი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

*"ახლახანს გავიგე, რომ შანხაიში თამაშის უფლება მოვიპოვე,* - განაცხადა ნადალმა. - *იმედი მაქვს, წლის ბოლოს შევძლებ ჩემი საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას და კარიერაში პირველად, მასტერსის თასის მოგებას"*. ესპანელი აწ მომენტისთვის ATP-ის საჩემპიონო რბოლის ლიდერია. სწორედ ამ რეიტინგში ჯამდება სეზონის განმავლობაში მოპოვებული ქულები და დგება შემაჯამებელი ტურნირის ბადე. რაფა ამ კლასიფიკაციას როლან გაროსის შემდეგ ჩაუდგა სათავეში, უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ კი, კიდევ უფრო დაშორდა კონკურენტებს.

წლევანდელი მასტერსის თასი განსაკუთრებული იქნება როჯერ ფედერერისთვის. შვეიცარიელს ოთხჯერ აქვს მოგებული სეზონის დასკვნითი ტურნირი (2003-04, 2006-07) და თუ წელსაც შეძლებს გამარჯვებას, ტიტულების რაოდენობით ყველა დროის რეკორდსმენებს - ამერიკელ **პიტ სამპრასსა** და შვედ **ბიორნ ბორგს** (მათ ხუთ-ხუთჯერ აქვთ მოგებული მასტერსის თასი) გაუთანაბრდება.

ასევე გარანტირებული აქვს შანხაიში თამაში ნოვაკ ჯოკოვიჩს. წლეულს, სერბმა კარიერაში პირველად მოიგო "დიდი სლემის" ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა, აგრეთვე ინდიან უელსისა და რომის მასტერსებზეც იმარჯვა.

ამ ტრიოს ამბავი გარკვეულია. დანარჩენი საგზურებისთვის ბრძოლა კი, ჯერ წინ არის. ყველაზე ახლოს მიზანთან რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** და და შარშანდელი ფინალისტი, ესპანელი **დავიდ ფერერია**. ამ მომენტისთვის, საუკეთესო რვა ჩოგბურთელს შორის შედიან, ამერიკელი **ენდი როდიკი**, ბრიტანელი **ენდი მარეი** და სეზონის აღმოჩენად მონათლული ესპანელი, **ნიკოლას ალმაგრო**.

ტურნირი შანხაიში 9-16 ნოემბერს გაიმართება და მისი საპრიზო ფონდი 3 700 000 დოლარი იქნება.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# რაიკონენი: გაისად ფერარიში ვიქნები



ესპანურ პრესაში ბევრს წერენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **ფერნანდო ალონსოს** "ფერარიში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. ამით ისინი ხაზს უსვამენ, სეზონის შემდეგ იტალიური გუნდიდან **კიმი რაიკონენის** წასვლის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ფინელი ასევე ხშირად უარყოფს ჭორებს "ფერარიდან "აბარგების შესახებ.

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის სიტყვები მოჰყავს "გაძეტა დელო სპორტს": *"არაერთხელ მითქვამს იმის შესახებ, რომ "ფერარისთან" 2009 წლის ბოლომდე მაქვს ხელშეკრულება. ჩემი კარიერის განმავლობაში საკონტრაქტო პირობები არასოდეს დამირღვევია, ასე რომ, 2009 წელს ისევ "ფერარიში" მიხილავთ"*.

როგორც ჩანს, ესპანელებმა დაიჯერეს ფინელის განცხადებები, მაგრამ მათ ისე უნდათ "ფერარიში" ალონსოს გადაყვანა, რომ ახლა სხვა ვერსიას ავრცელებენ. კერძოდ, "Diario AS" წერს, რომ 2009 წელს, სკუდერიაში ალონსოსა და რაიკონენს ვიხილავთ, ხოლო ბრაზილიელ **ფელიპე მასას** სხვა გუნდის მოძებნა მოუწევს.

## სხვადასხვა

ჰოკეი

### დემიტრა ვანკუვერში გადავიდა

ახალი სეზონისთვის მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა "ვანკუვერ კენაქსმა". უკვე დიდი ხანი წერდნენ იმის შესახებ, რომ კანადური კლუბი სლოვაკ ფორვარდთან, **პავოლ დემიტრასთან** აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას. და აი ახლა, "კენაქსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა ეს გარიგება, თუმცა კონტრაქტის დეტალები არ გაახმოვანა.

დემიტრამ ბოლო სეზონი "მინესოტას" შემადგენლობაში გაატარა - 68 მატჩში 54 ქულა (15 გოლი+39 პასი) დააგროვა. სულ კი, NHL-ში მის ანგარიშზე 750 მატჩში მოპოვებული 699 ქულა (281+418) მოდის.

კრივი

### კლიჩკო 8 მილიონს მიიღებს

12 ნოემბერს, ჰამბურგში სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლა გაიმართება. ორი ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი (WBO და IBF), უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ამერიკელ **ტონი ტომპსონს** შეხვდება.

**ამ საინტერესო ბრძოლამდე 3 დღით ადრე, პრესისთვის ცნობილი გახდა მოკრივეთა ჰონორარების შესახებ. რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს ეს შეხვედრა, უკრაინელი მოკრივე 8 მილიონ ევროს მიიღებს. ეს იმ დროს, როცა ტომპსონის ჰონორარი, სულ რაღაც 500 ათას ევროს უტოლდება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ტური მორიგ სკანდალს გადაურჩა



გუშინ, ტურზე მთავარ მოვლენად ის ამბავი იქცა, რაც რბოლის ორგანიზატორებმა მორიგი ეტაპის სტარტამდე გამოაქვეყნეს – ველომარათონის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ჩატარებულმა ტესტებმა, ოც ველომრბოლს სინჯში აკრძალულ ნივთიერებათა არანორმალური შემცველობა აღმოუჩინა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ოც სინჯში დადებითი შედეგი დაფიქსირდა.

საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელ **ფილიპ საგოს** არ დაუკონკრეტებია იმ ველომრბოლთა ვინაობა, რომელთა სინჯებზეც არანორმალური შედეგები მიიღეს. თუმცა, ისვე დასძენს, რომ თითქმის ყველა სინჯში, ჰემატოკრიტის დასაშვებ ნორმასთან მიახლოებული შემცველობაა დაფიქსირებული. სინჯში ჰემატოკრიტის მაღალი დონე შესაძლო დოპინგდარღვევის მანიშნებელია, მაგრამ ის ვერ ამტკიცებს, რომ სპორტსმენმა აკრძალული საშუალება გამოიყენა.

საგოს თქმით, ველომრბოლები თავიანთი ტესტების შედეგებს მოგვიანებით მიიღებენ. ამასთან, არანორმალური შედეგების მქონე ველომრბოლებს ექიმთან დამატებითი გასინჯვის რეკომენდაცია მიეცემათ, რადგან საგოს თქმით, ჰემატოკრიტის ჭარბი შემცველობა შეიძლება სპორტსმენის ჯანმრთელობისთვის საშიში იყოს.

გუშინდელი ეტაპი კი ესპანელი **ლუის ლეონ სანჩესის** გამარჯვებით დასრულდა. დროზე ინდივიდუალურ რბოლაში ესპანეთის ჩემპიონმა გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე წამოიწყო, რაზეც მდევრებისგან საკადრისი პასუხი ვერავინ გასცა. ჩვენ დღეს დავამტკიცეთ, რომ ვალვერდს ძლიერი თანაგუნდელები ჰყავს და რომ ტურის მოგება შეგვიძლიაო, - ნაფინიშევს განაცხადა სანჩესმა, ვინც თავისი მიღწევა დაღუპული ძმის ხსოვნას მიუძღვნა.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

მე-7 ეტაპი.
ბრიოდან ორილაკამდე (159 კმ)

**1. ლუის ლეონ სანჩეს ხილი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 3:52.53 (40.964 კმ/სთ); 2. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.06; 3. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკვიგაზი) 0.06; 4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 0.06; 5. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.06; 6. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.06; 7. სამუელ სანჩეს გონსალესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.06; 8. ხოსეპ ხუფრე პუო (ესპანეთი, სონიე დუვალი) 0.06; 9. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.06; 10. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.06...**

კლასიფიკაცია 7 ეტაპის შემდეგ

**1. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, კოლუმბია) 28.23.40; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.06; 3. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.16; 4. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.44; 5. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.03; 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.12; 7. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, გარმინ-ჩიპოტლე) 1.14; 8. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, ქვიკ სტეპი) 1.21; 9. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.21; 10. ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, კოლუმბია) 1.21...**

## კრივი. პეკინი 2008

# დე ლა ჰოია ისევ ოლიმპიელია



...ოღონდ, არა პირდაპირი მნიშვნელობით. უბრალოდ, მან და მისმა კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშნმა" ოლიმპიადის წინ, აშშ-ის (სამოყვარულო) კრივის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულების ძალით, "გოლდენ ბოი" სრულად გააკონტროლებს ამერიკულ სამოყვარულო კრივს. ხელში აიღებს მის სამარკეტინგო საქმიანობას, დაგეგმავს ტურნირებს, მათთვის მოსამზადებელ ბანაკებს და, რა თქმა უნდა, ყოველივესთვის საჭირო სპონსორებს მოიზიდავს.

აშშ-ის კრივის ფედერაციისა და "გოლდენ ბოი პრომოუშნის" ერთობლივ პრესკონფერენციაზე, **ოსკარ დე ლა ჰოიამ** განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ, აშშ-ის ოლიმპიელ მოკრივეებთან კონსულტაციებს გამართავს და მათ მაღალი მიზნების მიღწევაში დაეხმარება. ამერიკელი ოლიმპიელი მოკრივეების მოსამზადებელი ბანაკი კოლორადო სპირნგსში მდებარეობს, სადაც მათ ორკვირიანი შეკრება აქვთ.

*"ამიერიდან, "გოლდენ ბოის" წარმატება ამერიკაში სამოყვარულო კრივის განვითარების საწინდარი იქნება. ამ კომპანიის საქმისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივია, რაც მხოლოდ წინ თუ წაგვწევს. "გოლდენ ბოი" ორგანიზებას გაუწევს ტურნირებს და სამოყვარულო კრივს თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანს. რა თქმა უნდა, ის თავის საქმესაც აკეთებს, მაგრამ ამის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, თუ ამით მოგებული ორივე მხარე დარჩება. და ჩვენ გვჯერა, რომ ასეც იქნება"*, - განაცხადა აშშ-ის სამოყვარულო კრივის ფედერაციის მთავარმა აღმასრულებელმა **ჯიმ მილმანმა**.

შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოიამ, ვინც "ოქროს ბიჭის" (გოლდენ ბოი) მეტსახელითაა ცნობილი, 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა. იმ ოლიმპიადაზე ის ერთადერთი ამერიკელი მოკრივე იყო, ვინც ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. სწორედ მაშინ დაიწყო მისი ბრწყინვალე კარიერა, რომელიც პროფესიულ რინგზე გაგრძელდა. ამ კარიერის განმავლობაში, რომელიც, ალბათ, წლეულს დასრულდება, ოსკარმა ექვს სხვადასხვა წონაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ქამრები.

მაგრამ მას შემდეგ, მსგავსი აღმასვლა არც ერთ ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონს არ ჰქონია. მაგალითად, ათენის ოლიმპიადის გამარჯვებულ **ანდრე უორდს** პროფესიულ რინგზე ბევრი არავინ იცნობს. არადა, სპეციალისტები ამბობენ, რომ მას კარგი მომავალი უნდა ჰქონოდა. ბევრი ამის მიზეზად, აშშ-ში კრივის პოპულარობის შემცირებასა და მენეჯმენტის სისუსტეს ასახელებს.

ბოლო ექვს წელიწადში მილმანი აშშ-ის კრივის ფედერაციის მეშვიდე შეფია. ის ამ თანამდებობაზე შარშან დაინიშნა და აქამდე მხოლოდ იმის გამო გაძლო, რომ მისი ორგანიზაციის ფინანსური პრობლემები მოაგვარა და ძირეული რესტრუქტურიზაცია გაატარა. მიღწეული წარმატებების შემდეგ, მან საკმაოდ სარისკო ნაბიჯი გადადგა – ფედერაცია პროფესიულ კრივში მოღვაწე საპრომოუტერო კომპანიას დაუკავშირა. მილმანს იმედი აქვს, რომ აშშ-ის ოლიმპიური ნაკრებიდან, პროფესიულ რინგს ახალი **კასიუს კლეი** (მუჰამედ ალი), **შუგარ რეი ლეონარდი**, **ევანდერ ჰოლიფილდი**, **ფლოიდ მეივეზერ უმცროსი** და მათი მსგავსი ვარსკვლავები მოევლინება.

*"ეროვნული საფეხბურთო ლიგისა და გოლფისგან განსხვავებით, სადაც ნიჭიერი სპორტსმენები არ იკარგებიან, კრივში სხვა სიტუაციაა. აქ უმაღლეს დონეს მხოლოდ ერთეულები აღწევენ. ჩვენი ერთობლივი მიზანი სწორედ ასეთი თვითნაბადი ვარსკვლავების აღმოჩენა და მათთვის წინ წაწევაში დახმარებაა"*, - დასძენს მილმანი, ვისაც თავის დროზე, ჰოლიფილდის ვარსკვლავურ აღმასვლაში მონაწილეობა აქვს მიღებული.

რაც შეეხება "გოლდენ ბოის", მისი მთავარი აღმასრულებელი **რიჩარდ შეფერი** ამბობს, რომ აშშ-ის კრივის ფედერაციასთან თანამშრომლობის დასაწყისშივე, მისი კომპანია სამენეჯერო კორპორაცია AEG-თან ერთად, სამოყვარულო ტურნირებისთვის უფრო პოპულარული არენების შერჩევასა და სრულყოფილი პრომოუშენის ჩატარებას გეგმავს. გარდა ამისა, საქმეში ჩაერთვება მედია-საშუალებანიც, რასაც სამოყვარულო კრივის პოპულარიზაციაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. "გოლდენ ბოიმ" ცოტა ხნის წინათ, ჟურნალი "რინგ მეგზინი" იყიდა, რომელსაც სამოყვარულო კრივის წამოსაწევად გამოიყენებს.

დაბოლოს, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესახებ. გუნდს რამდენიმე მედლის მოპოვების იმედი აქვს. ამის საფუძველს თუნდაც ის ფაქტიც იძლევა, რომ მასში მსოფლიოს ორი ჩემპიონი ირიცხება. ესენი არიან **დემეტრიუს ანდრადე** (ე.წ. როჭოს წონა, 66.68 კგ-მდე) და **რაუ'ში უორენი** (ე.წ. ბუზის წონა, 50.80 კგ-მდე). ამ ორიდან, უორენი უკვე მეორე ოლიმპიადაზე იასპარეზებს.

დე ლა ჰოია კი აცხადებს, რომ პროფესიულ რინგზე ერთადერთ ბრძოლასღა გამართავს. თავიდან, მას ამ ბრძოლის თარიღად სექტემბერი ჰქონდა შერჩეული, მეტოქედ კი ფლოიდ მეივეზერ უმცროსი შეერჩია, მაგრამ ამან რინგი მიატოვა, რის გამოც, რემატჩი არ შედგება. ჰოდა, ახლა ოსკარმა თავისი ბოლო ბრძოლა დეკემბერში გადაიტანა, მეტოქედ კი ან პუერტო რიკოელ **მიგელ კოტოს** აირჩევს, ვინც როჭოს წონის ჩემპიონია და პროფესიულ რინგზე ჯერ არ დამარცხებულა, ან ისევ **ფელიქს ტრინიდადს** შეხვდება.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

## TV სპორტი

### 12 ივლისი. შაბათი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**14:10** საფეხბურთო კლუბი.
**15:05** FUTBOL MUNDIAL
. საფეხბურთო ჟურნალი.
**15:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**15:50** რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ცსკა (LIVE).
**18:00** ევრო 2008. ფინალი. გერმანია-პოლონეთი.
**20:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:25** ევრო 2008. ფინალი. რუმინეთი-საფრანგეთი.
**22:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:40** ამხანაგური მატჩი - "გოლი აფრიკისთვის". მალდინის გუნდი-რონალდოს გუნდი (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ბაიერნი.
**08:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბასტადი. შვედეთი.
**11:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჯენოა-იუვენტუსი.
**12:45** სპორტის სამყარო.
**13:15** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
**19:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ჰამბურგი.
**20:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-მილანი.
**22:40** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ტოტენჰემი-ჩელსი.
**00:25** მძლეოსნობა. რიბოკის გრანპრი.
**01:20** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ვიტორია (LIVE).
**03:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჯენოა-იუვენტუსი.
**05:00** სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
**05:30** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.

#### EUROSPORT

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. IV დღე. იაპონია (LIVE).
**11:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ეტაპი.
**12:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. IV დღე. იაპონია.
**13:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. IV დღე. იაპონია (LIVE).
**15:00** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. I რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**15:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი (LIVE).
**19:30** რალი. რალის ახალი სერია IRC. II დღე. რუსეთი (LIVE).
**20:00** სნუკერი. მსოფლიო სერია. I დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი.
**01:00** ცხენოსნობა. Global Champions. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**02:00** სნუკერი. მსოფლიო სერია. I დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**03:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VIII ეტაპი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**09:45** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**10:00** ახალი ამბები.
**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** რალი. რალის ახალი სერია IRC. II დღე. რუსეთი (LIVE).
**12:30** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. პრაქტიკა.
**13:45** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი.
**14:45** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. IV დღე. იაპონია.
**16:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
**18:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**18:45** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. IV დღე. იაპონია.
**20:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კონფერენციის ფინალი (LIVE).
**22:30** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**22:45** ახალი ამბები.
**23:00** არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. კონფერენციის ფინალი (LIVE).
**01:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ (LIVE).
**02:30** ახალი ამბები.
**03:15** რალი. რალის ახალი სერია IRC. II დღე. რუსეთი.
**03:45** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**04:00** ახალი ამბები.

### 13 ივლისი. კვირა

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**11:30** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**11:50** ამხანაგური მატჩი - "გოლი აფრიკისთვის". მალდინის გუნდი-რონალდოს გუნდი.
**13:35** ევრო 2008. ფინალი. რუმინეთი-საფრანგეთი.
**15:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**15:50** რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-ლოკომოტივი (LIVE).
**18:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
**20:10** ევრო 2008. ფინალი. პოლანდია-იტალია.
**22:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ჰამბურგი.
**09:00** სპორტდოსიე. სკეიტინგი.
**09:25** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ტოტენჰემი-ჩელსი.
**11:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. რომა-მილანი.
**13:00** სპორტის სამყარო.
**13:30** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წყვილები. ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ერთეულები. ფინალი. ბასტადი. შვედეთი (LIVE).
**18:05** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
**19:45** სპორტკლუბი.
**20:00** ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტავრია-ტირასპოლი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**23:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი (LIVE).
**00:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლაციო-რომა.
**02:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შტუტგარტი-ბაიერნი.
**04:25** სპორტდოსიე. სკეიტინგი.
**04:50** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-დეტროიტი.
**06:30** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

**10:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. V დღე. იაპონია (LIVE).
**11:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. ხერესი (LIVE).
**12:45** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. 125 cc. (LIVE).
**14:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. 250 cc. (LIVE).
**15:15** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. მოტოგრან-პრი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი (LIVE).
**19:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**21:00** სნუკერი. მსოფლიო სერია. II დღე. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IX ეტაპი.
**01:00** მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
**01:30** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. V დღე. იაპონია.
**03:00** მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**09:45** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**10:00** ახალი ამბები.
**11:45** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**12:00** ავტოსპორტი. SEAT-ის ევროთასი. I რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**12:30** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**13:00** ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. V დღე. იაპონია (LIVE).
**15:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**17:00** ავტოსპორტი. SEAT-ის ევროთასი. II რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**17:45** ახალი ამბები.
**18:15** ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**19:15** სუპერმოტო. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
**20:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
**22:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიუპორტი. აშშ (LIVE).
**23:45** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მიუნხენი. გერმანია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
**01:30** მულტისპორტი.
**02:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მორავცე-ვიქტორია | 0:0 |
| ბაბელსბერგი-დინამო (დრ) | 0:1 |
| კოტბუსი-მიდტიულანდი | 0:1 |
| არაუ-ვოლფსბურგი | 1:1 |
| ბოხუმი-ბეშიქთაში | 2:3 |
| ბორდო-აიაჩო | 2:1 |
| ბრენტფორდი-იფსვიჩი | 0:2 |
| იორკი-ლიდსი | 1:1 |
| ჰაიდუკი-ნაპოლი | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუსტენაუ-გრატკორნი | 1:1 |
| შვადორფი-აუსტრია A | 0:1 |
| სტ. პოლტენი-ზალცბურგი A | 2:0 |
| გრიოდიგი-აუსტრია (ლ) | 2:0 |
| ფოკლაბრუკი-ლეობენი | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| დერი-ბრეი | 4:0 |
| გალვეი-სლიგო | 1:1 |
| უნივერსიტი-შემროკი | 0:2 |
| ფინ ჰარპსი-კორკი | 0:1 |
| **ბრაზილია** | |
| იპატინგა-კრუზეირო | 2:2 |
| პალმეირასი-ფიგუერენსე | 1:1 |
| ვასკო-სპორტ რესიფე | 4:0 |
| **აშშ** | |
| კანზასი-ნიუ იორკი | 2:1 |
| ლოს ანჯელესი-ჩივასი | 1:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბასტადი | |
|---|---|
| ბერდიხი-სტარაჩე | 6:3, 6:2 |
| ვერდასკო-რენკვისტი | 2:6, 6:1, 6:0 |
| ფერერი-სიოდერლინგი | 7:5, 6:7, 6:1 |
| რობრედო-ნიემინენი | 6:2, 7:6 |
| **ATP. გშტაადი** | |
| შარდი-ჰანესკუ | 3:6, 6:7 |
| იუჟნი-გარსია ლოპესი | 6:4, 5:7, 3:6 |
| ვავრინკა-კანიასი | 4:6, 6:4, 7:6 |
| ანდრეევი-ჩილიჩი | 7:6, 6:3 |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| სპეიდი-პეია | 7:6, 7:5 |
| სანტორო-ნავარო პასტორი | 6:3, 7:6 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| გასკე-მონტანიესი | 6:3, 7:6 |
| კალერი-ბერერი | 6:4, 6:2 |
| შვანკი-ჰერნიხი | 6:0, 4:6, 6:3 |
| კოლშრაიბერი-დელ პოტრო | 6:7, 3:6 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| კვიტოვა-კლეპაჩი | 6:7, 0:6 |
| კორნე-გრონეფელდი | 6:2, 6:3 |
| შპრემი-მაროში | 6:0, 6:1 |
| ზაკოპალოვა-არნი | 1:6, 0:6 |
| **WTA. პალერმო** | |
| პავლიუჩენკოვა-კორიტცევა | 6:7, 3:6 |
| სუარეს ნავარო-ერანი | 1:6, 0:6 |
| მედინა გარიგესი-გარბინი | 6:0, 3:6, 6:0 |
| პენეტა-ჩახნაშვილი | 6:1, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცურვა. პეკინი 2008

# პირველი ადამიანი მარსზე

**ამერიკელი** მაიკლ ფელპსი პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარი გმირი უნდა გახდეს. 23 წლის მოცურავე ოლიმპიადის ყველა დროის რეკორდს უმიზნებს. ESPN-ის მიმომხილველი პეტ ფორდი მარკ სპიტცის ფანტასტიკურ მიღწევას იხსენებს, ფელპსის მომქანცველ გრაფიკზე გვიყვება და მას ბალისტიკურ რაკეტას ადარებს.



## უნივერსალური მეფე

ამერიკული სპორტის სამეფო ტახტი ოლიმპიადამდე თავისუფალი იქნება. რა თქმა უნდა, ამ ადგილის დაკავების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი **მაიკლ ფელპსი** გახლავთ. მაგრამ ამ კვირების განმავლობაში - სანამ გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** ტრავმას მკურნალობს, ხოლო საფეხბურთო სეზონი ჯერ არ დაწყებულა - სპორტული სამყარო უკვე მაიკლს ეკუთვნის. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, ფელპსი პეკინის ოლიმპიური თამაშების მთავარი ვარსკვლავი უნდა გახდეს. ის უკვე ამშვენებს ჟურნალების გარეკანებს, მუდმივად ჩანს სატელევიზიო ეკრანებზე და ნამდვილი სუპერვარსკვლავივით იქცევა. ისტორიაში ყველაზე ნიჭიერ მოცურავეს (ათენის თამაშებზე, მის ანგარიშზე ოქროს ექვსი (!) და ბრინჯაოს ორი მედალი მოდის) კარგი შანსი აქვს, ოლიმპიადების ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი გახდეს.

ფელპსმა შეიძლება იმდენი მედალი მოიგოს, რომ თუ მათ ყველას ერთად კისერზე დაიკიდებს, იქნებ ხერხემლის გამრუდებაც კი მიიღოს: ერთ ოლიმპიადაზე სარეკორდო ოქროს რვა მედალი და ასევე სარეკორდო ოქროს 14 მედალი თავისი არანორმალური კარიერის განმავლობაში. *"ვფიქრობ, გამიჭირდება, მაგრამ ამავდროულად, ეს ყველაფერი ძალიან მხიარული უნდა იყოს. ამისთვის მთელი ოთხი წელიწადი ვემზადებოდი. ერთადერთი, რაც მჭირდება - გავიკეთო სათვალე, დავიხურო საცურაო ქუდი და ბრძოლაში ჩავება. სულ ეს არის, რაც ბედს უნდა ვთხოვო"*, - ამბობს ფელპსი.

სინამდვილეში, მაიკლი ბევრს ითხოვს. სპორტის სახეობაში, სადაც უმეტესობა ერთ-ორ დისციპლინაში სპეციალიზირდება, ფელპსი ნამდვილი უნივერსალია, რომელიც ცდილობს, ყველაფერში გამოიჩინოს თავი. მისი ნიჭი იმდენად მრავალფეროვანია, რომ გამორიცხული არ არის, ფელპსი სინქრონული ცურვის გუნდშიც ვიხილოთ. *"მას სულ მარტივად შეუძლია ნებისმიერი სტილით გაცურვა. მისთვის თვალის დევნება, უბრალოდ, სიამოვნებაა"*, - აღფრთოვანებას ვერ მალავს ამერიკელი მოცურავე ქალი **ნატალი კაფლინი**.

## მინუს ორი

პეკინში სხვა კითხვებზეც ველით პასუხებს, მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელზეც პასუხი, უკვე დღეს ცხადზე ცხადია. ყველასთვის ცნობილია, ვინ იქნება მომავალი გრანდიოზული შოუს მთავარი ვარსკვლავი. ეს არის მაიკლ ფელპსი. *"ის ამერიკულ სპორტში ნომერ პირველი პერსონაა"*, - ამბობს მოცურავე **ბრენდან ჰანსენი**. სავსებით შესაძლებელია, რომ მარტო ამერიკაში კი არა, ის მთელს მსოფლიოშია პირველი.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე მან უკვე გამოსცადა გამოსვლების მომქანცველი გრაფიკი. ახლა მაიკლს განტვირთვა სჭირდება. შესარჩევში ფელპსმა სხვებზე მეტი იცურა და სავარაუდოდ, ასე იქნება აგვისტოშიც. მან ორი დისტანციიდან მოხსნა თავისი კანდიდატურა. ერთ-ერთი დისციპლინაა 400 მეტრი თავისუფალი სტილით ცურვაში, რომლითაც მას თავი უნდა დაეზღვია იმ შემთხვევაში, თუ სარეკორდო პროგრამაში რაიმე შეფერხება იქნებოდა. მეორე - 100 მეტრი გულაღმა ცურვა.

სპორტსმენის მწვრთნელი **ბობ ბოუმენი** აცხადებს, რომ 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ფელპსმა "საკმაოდ კარგად" გადაიტანა არაბუნებრივად დატვირთული პროგრამა. მაშინ ის 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით, 200 და 400 მეტრზე კომპლექსური სტილით ცურავდა. პეკინში მაიკლი ხუთ ინდივიდუალურ დისციპლინაში და სამ ესტაფეტაში გამოვა. და თუ ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ დავემშვიდობებით **მარკ სპიტცის** "მუდმივ" რეკორდს - ოქროს შვიდი მედალი ერთ ოლიმპიადაზე. ცოტა ხნის წინათ, სპიტცს ეკითხებოდნენ - რა იქნება, თუ ფელპსი შვიდ ოქროს მოიპოვებს? *"მაშინ მაიკლი მეორე ადამიანი იქნება მთვარეზე. თუ რვა ოქროს მოიპოვებს? ის იქნება პირველი ადამიანი მარსზე"*, - განაცხადა რეკორდის მოქმედმა მფლობელმა.

## ადამიანი-რაკეტა

ფელპსმა მარსზე თავისი ტელესკოპი ჯერ კიდევ 2004 წელს, ათენში მომართა. მაშინ, 19 წლის ვუნდერკინდი მაქსიმალურად მიუახლოვდა სპიტცის რეკორდს - მოიგო ოქროს ექვსი და ბრინჯაოს ორი მედალი. ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამერიკელს ლეგენდარული საბჭოთა ტანმოვარჯიშის, **ალექსანდრ დიტიატინის** მიღწევა გაემეორებინა, რომელმაც 1980 წლის თამაშებზე რვა მედალი მიიღო. მაგრამ ეს საკმარისი არაა სრულყოფის მისაღწევად.

2007 წელს, მელბურნში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ფელპსი ბალისტიკურ რაკეტას დაემსგავსა: მან მოიგო შვიდი გაცურვა და დაამყარა მსოფლიოს ოთხი რეკორდი. ამერიკის ნაკრებს, ერთ-ერთ ესტაფეტაში დისკვალიფიკაცია რომ არ მიეღო, ის მერვე ოქროსაც მიითვლიდა. შარშანდელი გამოსვლის შემდეგ, მისგან უკვე ყველაფერია შესაძლებელი. *"მაიკლი განუმეორებელია. დიდი პატივია მასთან ერთად ერთ აუზში ცურვა და მის გუნდში ყოფნა"*, - ამბობს **რაიან ლოჰტე**, რომელიც პეკინში ფელპსის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნება.

ადრე, მაიკლს დასახული მიზნების სია ჰქონდა ჩამოწერილი. ის არ ამხელს ამ მიზნებს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ დღეს ეს სია ძალიან შეცვლილია. *"ხუთი წლის წინათ რომ გეკითხათ, ვიქნებოდი თუ არა იქ, სადაც ახლა ვარ, გიპასუხებდით: "ამის არანაირი შანსი არ არსებობს". ეს ახდენილი ზღაპრივითაა"*, - მოკრძალებით საუბრობს ფელპსი.

მაიკლ ფელპსის ზღაპარი გრძელდება. თუ ყველაფერი პროგნოზის მიხედვით წავიდა, ამ ზაფხულს, ჩვენ მას რვაჯერ ვიხილავთ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

კალათბურთი. NBA. სატრანსფერო ბაზარი

# კლიპერსმა დევისი წარადგინა

## მაგეტი და ტურიაფი მეომრები გახდნენ, ბერი ჰიუსტონისთვის გაისვრის




გუშინ, "ლოს ანჯელეს კლიპერსმა" ოფიციალურად წარადგინა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი, "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ყოფილი წევრი **ბაირონ დევისი**. 29 წლის კალათბურთელი ლოს ანჯელესშია დაბადებული. მან ლიგაში 9 სეზონი გაატარა და პირველად მიეცა მშობლიურ ქალაქში თამაშის საშუალება.

"კლიპერსმა" თავის ახალ ლიდერს 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა და დევისის წლიური ხელფასი 10 მილიონი დოლარი იქნება. ბაირონმა ამ გუნდში გადასვლა გასულ კვირას გადაწყვიტა და მაშინ იმედი გამოთქვა, რომ კალიფორნიელთა რიგებში **ელტონ ბრენდის** მხარდამხარ მოუწევდა თამაში, მაგრამ, როგორც წინა ნომერში ვწერდით, ბრენდმა "ფილადელფიაში" გადასვლა არჩია.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დევისმა განაცხადა, რომ შეეცადა ბრენდის "კლიპერსში" დატოვება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: *"მე მას ვუთხარი, რომ ერთად ბევრის მიღწევას შევძლებდით, მაგრამ მაინც სხვაგან წასვლა გადაწყვიტა"*.

ბაირონმა შარშანდელ რეგულარულში 82 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 21.8 ქულა, 7.6 პასი, 4.7 მოხსნა და 2.33 ჩაჭრა დააგროვა. ცხრაწლიან კარიერაში მისი მონაგარი კი, 17.1 ქულას, 7.2 პასს, 4.1 მოხსნასა და 1.95 ჩაჭრას უტოლდება.

ბრენდის გარდა, "კლიპერსმა" ვერც ფორვარდ **კორი მაგეტის** შენარჩუნება შესძლო და ამ ორი ლიდერის გაშვების შემდეგ, სახელფასო ფონდში გვარიანი თანხა გამოუთავისუფლდა. ამიტომაც, კალიფორნიელები თავისუფალი აგენტების ბაზარზე ისევ აქტიურები იქნებიან - "კლიპერსი" **ჯოშ სმიტისა** და **ემეკა ოკაფორის** აყვანას აპირებს.

■ ■ ■

კორი მაგეტს დავუბრუნდეთ. იმავე, გუშინდელ ნომერში გითხარით, რომ ამ ფორვარდის "გოლდენ სტეიტში" გადასვლა ოფიციალურად ჯერ არ იყო დადასტურებული. ახლა კი, უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ მაგეტი გაისად "მეომრების" რიგებში იქნება.

28 წლის ფორვარდმა ზუსტად ისეთივე კონტრაქტი მიიღო, როგორიც დევისმა "კლიპერსში" - 5 წელიწადი და 50 მილიონი დოლარი. შარშან, მაგეტმა სამ კატეგორიაში დაამყარა კარიერის რეკორდები - 22.2 ქულა, 5.6 მოხსნა და 2.7 პასი.

გუშინვე, "გოლდენ სტეიტმა" კიდევ ერთი თავისუფალი აგენტი დაიმატა - "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფრანგი ლეგიონერი **რონი ტურიაფი**. მან ოთხწლიან და 17-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

"უორიორზის" ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფრანგი ფორვარდი მნიშვნელოვნად გააძლიერებს დაცვით ხაზს, რაც წლების განმავლობაში, ამ გუნდის სუსტი წერტილი იყო.

ამ ზაფხულს, "გოლდენ სტეიტის" წამყვან კალათბურთელებს შორის, მხოლოდ ორს ჰქონდა მოქმედი კონტრაქტები - **სტივენ ჯექსონსა** და **ელ ჰარინგტონს**. როგორც კლუბის გენერალური მენეჯერი **კრის მულინი** ირწმუნება, სულ მალე ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტები გაფორმდება მცველ **მონტა ელისთან** და ცენტრ **ანდრის ბიედრინშთან**.

■ ■ ■

ერთი საინტერესო შენაძენი გააკეთა "ჰიუსტონ როკეტსმა". მან ორი წლით გაიფორმა სამქულიანების ოსტატი, "სან ანტონიო სპურსის" ყოფილი მცველი **ბრენტ ბერი**.

*"ბრენტმა უკვე დაამტკიცა, რომ გამარჯვებულის ხასიათი აქვს. ჩვენ ძალიან გვჭირდება მისი საჩემპიონო გამოცდილება. ბერის გამთამაშებლის თვისებები და შორეული ტყორცნები, იდეალურად მოერგება რიკ ადელმანის სათამაშო სქემას"*, - ამბობს "როკეტსის" მფლობელი **ლესლი ალექსანდერი**.

36 წლის ბერი ორჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი "სან ანტონიოს" რიგებში. გარდა ამისა, ის "კლიპერსის", "მაიამის", "ჩიკაგოს", და "სიეტლის" შემადგენლობაში თამაშობდა. ლიგაში 856 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 9.7 ქულა დააგროვა.

სხვათა შორის, თავის დროზე "ჰიუსტონის" რიგებში უთამაშიათ ბრენტის მამას, **რიკ ბერის** (1978-80) და ძმას - **იონს** (2004-06).

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**